

652

1920



1

2

7

•

5

# ურაკობელი

ფ. ხალვაში — მესხორო. ლექსი	3
გ. სალურვაძე — პოეზია. ლექსი	4
ჯ. ჩათაშავა — ლექსები	5
პ. ლორდა — საიტი? მოთხრობა.	7
გ. ვარგაციძე — თავის ალავ- რდი! ლექსი	22
ჩ. მშავიძე — გამოღვიძება. ლექსი	25
ნ. მალაზონია — ლექსები	26
გ. გორგოლაძე — ორმეტისაკვენ. მოთხრობა.	28
რ. ართილაშვილ — *** უცდა ილოცხლო გივრი. ლექსი	36
ჰ. კეშერაძე — ვაზი. ლექსი.	37
ნ. ჩხაიძე — სეანის ქული. მოთხ- რობა.	38
უ. ჭობიძე — ლექსები.	50
ა. გურგეგიძე — ლექსები.	51
ბ. ბრეხტი — აუგსბურგული დარცის წრე. მოთხრობა. 'თარგ- მია გ. შაჟუტაძემ.	52

## პრიტიკა და

## კუბლიცის ტიკა

ა. კურიძე — გამოლით უთაგო- ნისაღი	63
--------------------------------------	----

## გულის გული ინერბას

ა. შორია — ავარა-მესხეთის გზებზე.	74
--------------------------------------	----

## წერილები

კ. ცოხაძა — ლენის მუზათა დყენერეთა და მისი გამოყახი- ლი აკარაში.	82
--	----

ი. გვერდიშვილი — ალექსი ტოლსონის სამი იცხოვის ავარაზე	90
---	----

## შინების მიმოხილვა

ა. სურელაძე — საინტერისო გამოკვლევა	93
--	----

ლიტერატურულ-წარადგული და  
საზოგადოებრივ-კოლეგიკური  
უწრევალი

საქართველოს საგზოთა  
მფლობელის პავილინისა და  
ავარის განყოფილების  
ორგანო

## ଲେଖକ ପରିଚୟ

სარედაქციო კოლეგია: ხ. ახვლედანი, მ. ვარშანიძე (3. მკ-  
მდივანი), პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო  
კომიტეტის მთავრობილი რაზმრეწვის ბათუმის სტამბა № 9  
(ლუქსემბურგის, 22).



## მ ა ს ხ უ რ ო

მესხეთო, ჩემო მესხეთო,  
ხმაო, უკვდავო, მესხურო,  
შენს სახეს მინდა შევხედო,  
სიტყვასაც შენგან ვსესხულობ.

ჩვენ ჩვენი ციხე-ტაძრებით  
ერთად გვწვეს, ერთად გვეომნენ,  
ჩვენს ჭირსა შიგან გაძლებით  
ხომ ვიცნობთ ერთიმეორეს.  
შენ, ქვაო სულშთაბერილო,  
მესხური მზერით გამობარო.  
მესხეთო, შოთას წიგნივით  
საესევ, გაშლილო მთა-ბარო.

გოდერძი გადმოვიარე,  
სახლი შევაღე ახლობლის,  
მე ხომ ერთი ძმა იქ ვიყავ,  
მეორე აქა ვსახლობდი.

მესხეთო, ჩემო მესხეთო,  
ხევ, მსხმოიარევ, მესხურო,  
შენი მზე ჩამომეწვეთა,  
სიტყვასაც შენგან ვსესხულობ.

ზარი ზარზმული გვეძახდა,  
ხომ გახსოვთ, სხალთა-ხიხანო.  
ჩვენ გაშინ ერთად ვეწამეთ,  
ჩვენ ახლა ერთად ვიხაროთ!



Ց Ր Ե Ց Ո Յ

Ցոյնօ — ՄՅՈՒՋԵԼԵՍ ԿՈՎԼՈՍԵՏ  
ՑԱԼԱԿԴՈՆՆ

ՄԵ ԵՐԸ ՏԻՐՈՅՆՆ ՎՈՄԵՌԵՅՑ ԿՈՎԵԼՉՈՅՆ,  
ՄԵՍՄՈՍ ՍՈՒԿԱ ԿԱՑՈՍ — ԿԱՏԱ ԾՈԼՈՍԱ.  
ՏԱՄԿԱՆՆ ՎԱՐԱՍԽԵՍ ՑՈԵՐԻ —  
„ՑՈԵՆՕ — ՄՅՈՒՋԵԼԵՍ ԿՈՎԼՈՍԱ!“  
ՄԱԴԱՑ ԵՐԸ ԹԱԳՐԻ ՑՐԿՆՈՅՆ ԱՄԱՆԴԵՑ  
ՄՅԱԼԸՆ ՄՖՎԵՐՎԱԼՈՍԿԵՆ ԸՐԸՆՈՎՈՍԱ —  
ԻՆ ՎԱՐԴՈ, ԻՆ ՎԱՐԴՎԱ ՎԱՍԱ ԺԵՑՏՍ? —  
ՑՈԵՆԸ — ՄՅՈՒՋԵԼԵՍ ԿՈՎԼՈՍԱ!  
ԹՈՄԼՈՋՈՆ ԹԵՋԸ ՍՍՈԼԸ ԳԱՆԳՈՅԸ,  
ԵԵՐԻՇԵՅ ԾԱՎԼԱՋ ՈՈՍ ԿՈՎԼՈՍԱ;  
ԸԵԼՈ ՑԱԼՈ ԳԱՆԳԸՆ ԳԱՂՆՈՅԸ —  
ՑՈԵՆԸ — ՄՅՈՒՋԵԼԵՍ ԿՈՎԼՈՍԱ!  
ԼԵՋՏՈՍ ԳԱՄԼԱ ԹՈՃՈՅՆ ԿԱՆԵՑԱՋ,  
ԹՈՆԱԾԻՇԵՅ ՍՈՎՄԱՎՈՅՈԼՈՍ ԹՈՎԼՈՍԱ,  
ՍՈՒԿԱ ԼԱԼՈ, ՄԵՋԸ ԴԱ ՏԱՎԵՐԵՅ —  
ՑՈԵՆԸ — ՄՅՈՒՋԵԼԵՍ ԿՈՎԼՈՍԱ!  
ՏԱՄՇՈՅԸ ՌՈՄ ՎԵՄՏԱԿՄՐՋ ԱԼԱԼԱՋ,  
ԱՄԱՄԼԵՐԵ ԼԵՋՏՈ, ՍՍՈԼՑԵ ԹՈՎՈՍՎԱ՛Ռ!  
ԹՈՄԵՇՎԵԼԵ ԿՎԱՅՈԼԵՅԸ ԱՄԱԼԱՎ, —  
ՑՈԵՆԸ — ՄՅՈՒՋԵԼԵՍ ԿՈՎԼՈՍԱ!  
ՆՇՐԱՏՈԸ ԸԱԳՎԵՇՌՈՒԹՈՆ ՍՈՄԼԵՐԱ,  
ՇՎԵՇՆԸՆ ԾՈԽ ՍՈՒԿԱ ԸՄԵՐԻՇԵ ՑՐԿՆՈՎՈՆ.  
ՑՈԵՆԸ ԼՄԱՋ ՑՎԱՍԱՎՈՇ ԹՈՎԵԼԱՎՏ,  
ՑՈԵՆԸ — ՄՅՈՒՋԵԼԵՍ ԿՈՎԼՈՍԱ!





## ს პ მ ჟ ო ბ ლ ო ვ !

მე რისთვის მინდა  
ქება ანდა დიდი სიმაღლე,  
მე ხომ მგზავრი ვარ  
ამ ბილიკზე ერთხელ მავალი.  
შენ იყავ დიდი  
სიყვარული,  
ძალა,  
სიმაგრე,  
რომ დაამწიფო კიდევ  
ბევრი შთამომავალი.

## ს უ რ ა თ ი

ცაზე იწვიან	ზღვა არის წყნარი
ვარსკვლავნი მორცხვნი,	და მწვანე ქონცხი
ლამეა თეთრი,	მოგავს ფარშვანგს
მთვარით ნაფერი.	ქარში გაფრენილს.

## რ ა ც მ ა ბ ა დ ი ა ...

ქვეყნად რამდენი გული ჩამქრალა,  
რამდენი გაქრა ქვეყნად სახელი...  
მე მინდა ვიყო ლია ფანჯარა  
დიდ სიმაღლიდან გადასახედი,  
გადავიარო ქარივით სივრცე,  
დიდი თვალებით სითბო ვითხოვო,  
რაც მაბადია, ყველა ხალხს მივცე,  
და რაც მაკლია, ხალხში ვიპოვო.

## დ ი ლ პ

წითელმა ფერმა მორთო ქალივით  
მთები და ხევში ხმები გაისმა.  
ზღვაში ისროლა ფორთოხალივით  
ფერმკრთალი მთვარე უცებ დაისმა-  
ზღვამ შეაპარა ნაპირს უბეში  
თეთრი და მუდამ ანცი ხელები.  
ნიაგი პალმას შეხვდა ნუგეშით:  
მომეფერები?  
მოგეფერები!  
და მზესუმზირამ პატარა ყელი  
მზეს მიუშვირა დასაკოცნელად.  
კუკულოს მოწყდა ანკარა ცრემლი  
და გაიშალა ათას ოცნებად.

## ც ი ხ ი ს ძ ი რ ი

ჩემი ბავშვობის მწვანე სავანე,  
ჩემი სოფელი რარიგ კარგია.  
აქ სიოს ტაშზე პალმა კანკალებს  
და მზეს ბალები დაუქარგია.  
ჩემოდან მოჩანს ზღვა დიდებული,  
ქვიშა ბევრჯერ რომ დაუტორია.  
პეტრას ციხეზე მაქვს მიღებული  
ყური და ვუსმენ ჩვენს ისტორიას-





პერენ ღორგი

# ს ა ი თ?

თავი მეშვიდე

„ობილისო, მზის და ვარდების მხარეო“ — მომაგონდა მატარებელი ში მონასმენი ტკბილი სიმღერის სიტყვები. — „უშენოდ სიცოცხლე არ მინდა“... სპა ვეღარ დავისხომე, მაგრამ ესეც საკმარისია, მშობლიური ქალაქის სიტკბო და მიმზიდველობა ვიგრძნო.

ახლა აქ ვარ, მზისა და ვარდების ქალაქში დავეხეტები, მაგრამ ვერც მზეს ვსედავ, ვეღარც სიტკბოსა და სითბოს ვგრძნობ.

„უშენოდ სიცოცხლეც არ შინდა“ — ამ სიტყვებს მაინც ვიმეორებ უნებლიერ.

და ვგრძნობ, მართლაც არ შინდა უმისოდ სიცოცხლე, მაგრამ მას რომ არ უნდივარ! იგი რომ არ მეგებება და მეალერსება!

გული გაციებია ჩემზე.

გმოცვლილა, გადასხვაფერებულა. უფრო ლამაზი და კარგი გამხდარა, მაგრამ ჩემთვის რა...

სად წავიდე?

ვისთან?

საით?

მუდამ ქუჩაში წომ არ ვიხეტიალებ!



ნეტავ დედაჩემი რას აკეთებს ახლა? მამა რას ფიქრობს? ჩემიღილი დღეშია? რომ იცოდეს ასე უაზროდ დავეხეტები ქუჩაში, გამოვარდება, მომძენის და... თუნდა მცემოს, მაინც ბედნიერი ვიქენები მისი ხილვით.

ქუჩები მანქანებითაა გატელილი. ათასობით ადამიანი მოკალათებულა ავტობუსებში, ტრალებუსებში, ტრამვაიში. მანქანით ამოკლებენ გზას, მაგრამ მე ქვეითად სიარულს ვარჩევ, ისიც მოფარებული და მყუდრო ქუჩით. მივდივარ, მივაძიჯებ უმიზნოდ და უმისამართოდ. არც შიმშილსა ვგრძნობ, არც თავირა მზის მოძალებას! ძველი კები და ჩნდა, რომელშიც გაზეთში გახვეული ცოტაოდენი საგზალი მელაგა, თბილისთან მოახლოებისას გადავაგდე ფანჯრიდან. ახლა მხოლოდ ფერშელახული პალტო მაქეს მკლავზე გადადებული და უცხოელი ტურისტივით მივაბიჯებ.

ბევრი ხეტიალის შემდეგ მტკვრის პირას, მწვანე ხეივანში მოვხვდი. ნაცნობია ჩემთვის აქაურობა. მაშინ აქ ახალდარგული ბუჩქები იყო, აქაი ჩადგმული ძელსკამები. აქ ჩვენი ბიჭები...

— ააჲ! — გიუვით ვიყვირე მე და გამაურეოლა. — აქ რა მინდოლა?!

რა მინდოლა აქ?!

აქ ხომ... იმ ადგილას, მგონია იმ ძელსკამზეც კი...

ისინი ერთმანეთს ტკბილად ებასებოდნენ, გაზაფხულის მზითა და სიყვარულის ცეცხლით ალმოდებულნი ბედნიერ წუთებს განიცლილნენ. ალბათ, ბოროტ არსებას, წვეწარმავალს თუ შეშურდებოდა ახალგაზრდების ასეთი ბედნიერება.

და იმ ბოროტზე უბოროტესი გამოვდექი მაშინ მე და...

როცა სისხლით გასვრილი დანა მკერდიდან ამოვაცალე და სასიკვდილოდ აფართხალებულ მეტოქეს დაცხედე, კმაყოფილება ვიგრძენი.

„ახლაც ესიყვარულე და ვალერსე“, გესლიანად მივუგდე გონებადა-კარგულ ქალიშვილს და მივატოვე.

დიახ, მივატოვე, მაგრამ...

— დაიჭით!

— დააკავეთ!

— ჩაქოლეთ!

და ერთბაშად მთელი ქალაჭის ახალგაზრდობა წამომექსია.

— გამიშვით, აქვენი დედა... — და მუშტები დავატრიალე, მაგრამ ისე მაგრად გამკოჭეს, სიმწრისაგან საკუთარ მაჯაზე ვიკბინე.

— ჩავქოლოთ! — ქვა შესროლა ვიღაცამ.

— ჩავაძალლოთ!

ამ დროს მილიცია გამოჩნდა...

წამიყვანეს. დაიწყო დაკიოხვა.



ვინა ვარ, ვასი შვილი და საღაური, რა პროფესია მაქვს და ვინა გობრობ, მაგარ სასმელებს თუ ვეტანები, ვყოფილვარ თუ არა პასუხის-გებაში.

და როცა კითხვებით გული გამიწყალეს, ავყვირდი:

— დამანებეთ თავი, რა გინდათ ჩემგან? უარს ხომ არ ვაშბობ? დახ, დანა ჩავეცი გულში. ძოვკალი. დიდი რამე. ათასებს ხოცავენ და ქლავენ, ქვეყანა მაინც არ დაქცეულა.

ახლა კი ვეღარ მოითმინა გამომძიებელმა და ისე მაგრად გამარტყა სახეში, რომ სულ ნაპერშეკლები შევიოდა ოვალებიდან.

მეორე ღილით შოელი ჩემი ოჯახი გაჩნდა მიღლიციაში.

— რა გვაქენი, შვილო, რატომ დაგვლუპე ორი ოჯახი? — მომაბლავ-ლა მამამ. დედაჲემს იმდენი ეყვირა, ხმა ჩახლეჩოდა, დაკაწრული ლოყებ-იდან სისხლი წვეთავდა. ჩემი და გულამომჯდარი ტიროდა.

— გეყოფათ ტირილი და გოდება. — სრულიად დამშვიდებული ხმით ვუთხარი თავზარდაცემულ შშობლებს. ჩემ დას კი ჩავულაპარაკე: — ინა-ხულე ის უნამუსო და გაღაეცი, სხვა კურო გაიჩინოს.

ჩემმა დამ ვეღარ გაუძლო ამ სიტყვებს, თავ-პირში ხელები წაიშინა და ქუჩაში გაიჭრა...

მოგონებებმა თავბრუ დამახვიეს, სული შემეხუთა, რეტი დამესხა და, რომ არ წავქცეულიყავი, თავისუფალ ძელსკამზე მივესვენე.

— თავს ცუდად ხომ არ გრძნობთ, მეგობარო? — მოულოდნელად თავს წამომაღვა მიღლიციის ახალგაზრდა ლეიტენანტი. — გინდათ ტაქსის დავუძახებ?

გაქვირვებულმა ავხელე. ამ მზრუნველ მიღლიციელს.

— გმაღლობთ. კარგად ვარ.

— აღამიანის ფერი არ გაღვეოთ... ძალიან კარგი თუ კარგადა სართ. — და ჩიიარა.

რომ არ მაშჩნევენ, რომ საშინელი სევდა მტანჯავს და მაწვალებს?

იქ, საღურში, მატარებლიდან ჩამოსვლისთანვე მომაქცია ყურად-ლება ახალგაზრდა კაცმა, აქ კი მიღლიციის ლეიტენანტმა. ორივემ შველა და ღაბმარება შემომთავაზა.

ძლაც ავწიე თავი. წარმოვდექი და მიმოვიხედე.

ახლა საით?

როგორ თუ საით! მე ხომ აქაური ვარ, ამ ქალაქის მკვიდრი! აქ ცხოვ-რობენ ჩემი შშობლები, აქ არის ჩემი ბინა. სხვაგან საით, თუ ჩემიანებთან, ჩემს ბინაზე არა?

ჩემს ბინაზე? ჩემიანებთან?

მაქვს კი მე ბინა? მყავს კი ჩემიანები?

ბალი სავსეა მოურიამულე პატარებით, მოსეირნე ქალ-ვაჟებით. დღე/  
მხიარულად კისკისებენ, თითქოს საღარდო და საფიქრადო მოსახური  
ჰქონდეთ რა.

აქედან შორს არ არის ჩვენი ბინა. შევყვები აღმართს, ჩავუვლი ჩი-  
ტაძის ქუჩას, კიდევ ცოტას ავიწევ ზევით და იქვეა ძველებური ყაიდის  
აგურის შენობა. ალბათ, ახლა მამაწერი აივანზე ზის და კვლავინდებურად  
ჩაყირებიტებს ბევრი ქართული ლიტერატურის ისტორიას, დედაჩემი კი  
სამზარეულოში დუსცუსებს. ჩემი და... იქნებ აგარაკზეა...

როგორ შემხვდებიან ისინი?

ააჲ, საშინელი აზრი დამებადა უეცრად...

აჯობებს, მიყუჩებული ტკიცილები არ შევახსენო, სულ გავეცალო  
ოჯახს და აქედან გადავიკარო, მეორედ მოსვლით არ შევაწრიალო მშობ-  
ლები და საზოგადოებას სალაპარაკო არ გავუჩინო.

მტკვარში ახალგაზრდები ბანაობენ. ცურაობენ, ნავებით დასრიალე-  
ბენ. შეიძლება ერთი წუთით მათ შევუერთდე, შემდეგ ფსკერისაკენ  
დავეშვა და... თუ ისე ჩამსილა ტალღამ, რომ ვერ მიპოვონ, კარგი იქნება,  
თუ არა და ჩემი ლეშით ერთხელ კიდევ შევაწუხებ კეთილ ადამიანებს.

უფრო გულადი კი მეგონა ჩემი თვით, მაგრამ ლაჩარი გამოვდექი. რაკი  
აქამდე მოვალწიე, ბარემ განვიაგრძობ სვლას. ვნახავ, სანამდე მიმიყვანს  
ჩები უკულმართი ცხოვრების გზა.

მაგრამ ახლა საით?

სალამომდე ქუჩებში ვიხეტიალებ. როცა მოძრაობა შენელდება და  
განაპირა უბნებს ღამის სიშავე მოეფინება, ნელი ნაბიჯით შევყვები ზე-  
მოთ, მივუახლოვდები ჩევნს ეზოს. დაველოდები მეზობლების დაძინებას,  
შემდეგ ფეხაკრელით ავივლი ივნის კიბეს, მივადგები მამისეულ ბინას  
და ფრთხილად დავაკაუჭუნებ.

შემდეგ რა იქნება და რა მოხდება, წინასწარ ვერაფერს ვიტყვი.

ჭკუაში დამიჯდა ეს აზრი. შევუდექი მახლობელ ქუჩებში ხეტიალს  
და ნელ-ნელა ნაცნობ სახლებსაც ჩავუარე. ამ კუთხეს ჯერ კიდევ დაპ-  
კრავს ძევლი თბილისის იერი. ივნებიც ნაცნობია, ეზოებიც აქა-იქ ნაც-  
ნობი სახეებიც დავლანდე. მაგალითად, ძია ალექსი, ისეთივეა, როგორიც  
მასიოვს. არც ელიკოს შეცვლია სახე. თუმცა ოდნავ წელში მოხრილა.  
იმდროინდელ ბავშვებს აბა ახლა როგორლა შევიცნობ? დაზრდილან,  
დავაჟეკაცებულან.

რაძლენ რემ შეცვლილა აშ თბუთმეტ წელიწადში. რამდენიმეჯერ  
ავიარ-ჩავიარე იმ აღგილას, საღაც ბავშვობა და ჭაბუკობა გამიტარებია.  
მავრამ ვერავინ მიცნო.

მძოლოდ პუშკინის ძეგლთან ჩამომჯდარს ორმა კაცმა დამატანა თვა-

ლი. რამდენჯერმე მომიბრუნდნენ და შემომხედეს, შემდეგ ერთმანეთს რაღაც გადაულიარაკეს და თვალს მიეტარნენ.

ტე ორივე ვიცანი: ერთი ჩვენი კურსის კომპავშირის მდივანი გახლდათ, მეორე — ერთი კურსით უყან იყო, მაგრამ სულ მასთან ტრიალებდა. როგორც მაშინ დაბობდნენ, იგი პოეტობდა და თანაკურსელებს ლირიკული ლექსიბრა არობდა.

მიცნეს-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ დაეჭვებული კი წავიდნენ.

კიოსკში გაზეთი მოვითხოვე.

რომელიც, მკითხეს. ჩემთვის სულ ერთი იყო და რამდენიმე გაზეთი გამოვართვი. მახლობლად ჩამოვჯექი და კითხვა დავიწყე. პირველად ხელში „ახალგაზრდა კომუნისტი“ წიმნებდა და ისე გამარტოლა, თითქოს გველი მომხვეოდეს. გაზეთი ზაშინცე დაწვეტული და შორს გავისროლე.

საშინლად შემჯიგრდა ეგ გაზეთი მაშინ, და ეს გრძნობა აქამდე მომყვა. პირველად მან ატეკა განგარი და ჩემს წინააღმდეგ გამოიილაშქრა.

„ჩვენი საზოგადოება უნდა გაიშმინდოს ასეთი გადაგვარებული ელემენტებისაგან!“, „მოიკვეთოს მავნე მუწუკი ჭანსალ სხეულზე!“, „გაიძერა, გახრწნილი, ხულიგანი, აღვირასნილი“. და, ვინ იცის, კიდევ რამდენია ასეთი ეპითეტით ამკიბდნენ ჩემს სახელს. ბევრმა მამაჩემსაც გაჰკრა კბილი.

ახალგაზრდობის ბმის მთელი საზოგადოება გამოეხმაურა და ჩემი სასტიკად დასწა მოითხოვა.

ეს იყო მაშინ, თხუთმეტი წლის წინათ...

სხვა გაზეთებიც ჩავათვალიერე. ვერც ერთ მათგანზე ვერ შევაჩერე ყურალება. წამოვდექი, გაზეთები იქცე დავყარე და კვლავ უმისამართოდ ავლოლიალდი.

დავღივარ გაბრუებული, გამოლენჩებული. თითქმის არაფერზე აღარ ვფიქრობ.

აი ნაცნობი ჭიშკარი. ეს ოთხსართულიანი სახლიც ნაცნობია, ისე-თივეა, როგორც მახსოვეს. ეზოში უწესრიგოდ ყრია ხისა და რკინის მასალა, აგური, ცემენტი, კირი. ეტყობა, შენობას არემონტებენ. დურგალები, კალატოზები, მებათქაშეები, მღებავები პროფესიის მიხედვით განაწილებულან და მუშაობენ.

შევჩერდი. გამიტაცა ამ ადამიანების საქმიანობამ. ვუყურებ, როგორ რანდავს ახალგაზრდა დურგალი ფიცარს, როგორ აწყობს აგურს მეორე, ქაფჩას როგორ მარჯვედ ასრიალებს მესამე, ცემენტისა და ქვიშისაგან დუღაბს როგორ ამზადებს მეოთხე. ვუცქერი და ვერთობი. არა, კი არ ვერთობი, ასე მგონია, ბათთან ერთად ვმუშაობ. ოპ, როგორ მინდა, წავტრთვა იმ ოსტატს ქაფჩა და ჩემებურად დავატრიალო! მე ხომ ამ საქმეში ბადალი არ მყავდა. თუნდაც ის ახალგაზრდა დურგალი — ასე უნდა



რანდვა! ეტყობა, არ არის კარგად დახელოვნებული. სხვებსაც ვერ გამოიყოფეს. ალბათ, ეწყინებათ, თორემ ვაჩვენებდი, როგორ უნდა გაირანდოს ფიცარი, როგორ შემზადდეს დუღაბი თუ საღებავი. რამდენი რამ შევისწავლე იმ დასაქცევ კოლონიაში.

... ამ ჭიშკარში პირველად დედამ შემიყვანა. აი იმ საკლასო ოთახში დამსცეს მერქენ. -- ბეჭედშე სართული: აქედე დაბლიდან.

სამამულო რმძა ტეშვილე ქლასში მომისწრო. მამა ჯარში გაიწვიეს და ფრონტზე გაგზავნეს. ოჯახის სიმიმე დედას დააწვა.

დამთავრდა ომი. ბეღნიერათა შორის აღმოჩნდა ჩვენი ოჯახიც. დაგვიბრუნდა მამა.

— ბეგრი ფაშისტი დახოცე, მამა? — ეს იყო პირველი კითხვა, რომელიც ომიდან დაბრუნებულ მემას ლავუსვი.

— არა, დღამინანის სისხლი არ, დამიღვრია. — იცრუა მამამ. თავის ვაჟკაცობაზე აჩასოდეს არალერა დასცდენია, თუმცა ორი საბრძოლო ორდენი და რამდენმეტ მცდალი ჩამოიტანა.

მამაჩემის თანამებრძოლები, მცტილად ახალგაზრდები, ჩვენთან, ასაკით საკმაოდ მოსწილე ბულ ტასწავლუებთან საუბარში თავის ვაჟკაცობაზე ისეთ ამბებს გვიყვებოლნენ, რომ ძარღვებში აჩქერებულ სისხლს ძლივს ვიოკებდით.

თოფრ. ტუკია, ყუშიარა, ჭივეშები, ხიშტი, სატევარი, დანა... სიკვდილი, კვნესა, გოლება, სისხლი, ნგრევა, მსხვრევა, ყველაფერი იყო ომგადახდოლთა საუბარში.

— გავრამ დაშისტიკ ხომ დღამინია? — ვკითხე ერთხელ ომიდან ახალდაბრუნებულ ხეიბარს.

— ადამიანია, შეილო, მაგრამ სულ სხვანაირად აღზრდილი და შთაგონებული.

— მაგრამ თავისოფეს ხომ სურს კარგი? — არ მოვეშვი მე.

ყოლფილია ვეპრებოლმა მცვახედ შემომხედა.

— თავისთვის მგელსაც კარგი სურს, როცა ძროხას ყელში ეცემა... ადამიანი მით განსხვავდება მხეცისაგან, რომ მასში საკაცობრიო მიზნები და იდეალები სჭარბობს; ხოლო თუ ვინმე შეეცდება ამ მიზნებს გვერდი აუცილეს და სხვისი გუბელურებით საკუთარი ბეღნიერება მოიპოვოს, იძულებული იქნებოდა მოვეშვი მოექცნენ.

ეს სხვანაირად განიციცვნე მისი პასუხი.

და როცა მოსამართლემ მკითხა რას ერჩოდი, რა ინტერესი გქონდა ახალგაზრდა გუმანიძისო, კუპასუხე: ივი ჩემი გაუბედურებით საკუთარი ბეღნიერების მოპოვებას აპირებდა და მეც მოვსპე, როგორც მოქიშპე და მოპირდაპირე მეოქვი.

ამ პასუხში მთელი ღარბაზი თანაურა და ფეხზე დააყენა.

— სიკვდილი ასეთ გარეწარს! — ხმამაღლა წამოიძახა ვიღაცამ და გაზში და დაწმუნების გამოიწვია.

— მაგასტან ერთაღ ჩისა შშობლებიც უნდა ჩამოჰყიდონ!

მამაჩემი, რომელიც აქამდე კუთხეში მიმაღლული ისმენდა ყველაფერს, ხარივით აბლავლდა, თავისირზე ხელი წაიშინა და გარეთ გავარდა.

ლევახეში და ჩემი და პროცესი არ დასწრებიან. არც გუმანიძის მშობლები, საძალი როდე გასამართლებას მთელი ქალაქის ახალგაზრდობა ესწრებოდა, მკერდზე შავი ლენტებითა და მოკლული ამხანაგის პატარა სურთიც.

პროკურორის სიტყვას ხალხი მოწონებით შეხვდა. იგი სასჯელის უმაღლეს ზომას მოითხოვდა.

ღამის სიტყვის ცენტრ არ დაცალეს, არ მოუსმინეს.

საკისხი გარკვეული იყო. ოუგადაც არ მიცდია თავის მართლება.

საბოლოო სიტყვაშიც იგიც გავიმეორე: მოვკალი წინასწარი განზრეოთ. ის გოგო, რომელთანაც სეირნობდა, ჩემი შეყვარებული იყო. გადაიბირა, მთატყუა. რამდენიმეჯერ გავაფრთხილე, მაგრამ არ ჩამოეხსნა. ბოლოს გადავწყვიტე მისი ჩამოშორება და ავასრულე კიდევაც.

უკანასკნელი სიტყვის გარდა, ჩველაფერი ტყუილი იყო. თამარი ჩემი შეყვარებული არ ყოფილა და არც მიფიქრია მისი შეყვარება. იგი ჩემი დის კარგი და გულათალი ტეგობრი იყო მხოლოდ და ვიცნობდი როგორც ერთ-ერთ ლამაზ ქალიშვილს. როცა გუმანიძესთან ვხედავდი, მწყინდა. არ მიყვარდა ჩემგან შორის ყოფი და მეტისმეტად ბეჭითი სტუდენტი.

ღამის სიტყვის მანც არ გაიმუტეს. ოცდახუთი წელი მომისახეს და შრომა-გასწორების შორეულ კოლონიაში განმაწესეს. პირველი მე ღამის მიუკვდილით დასჯას მოვითხოვდიო, გადაულაპარაკა ვვერდით კოლეგას.

სასიკვდილოდ მაინც არ გაიმუტეს. ოცდახუთი წელი მომისახეს და შრომა-გასწორების შორეულ კოლონიაში განმაწესეს.

სასამართლო რომ დამთავრდა, შავ მანქანაში ჩამსვეს და ციხეში წამიურნეს. ქუჩაში გამოშლილი ხალხი ხმამაღლა მწყევლიდა, მაგინებდა და ჩემს მშობლებს კიცავდა.

ალბართზე მანქანან სკლას უკლო და რკინის ხლართულიდან თვალი მოცეარი პამაჩეშს. წელში ბოხტილი, მოტეხილი, დაბეჩავებული, იგი მარტოდმარტო მიაბიჯებდა. მიღიოდა, მიადგამდა ფეხებს, მაგრამ ისე დაიმნაირად, თითქოს მიცვალებული მიღიოდა საკუთარ სამარესთან.

როცა გვერდით წავუარეთ, ძან ერთი კი შემოხედა შავ მანქანას, რა-დაც სიტყვა მწარე ნალეველს ამოატანა, შემდეგ პირი იბრუნა, დაბარბაცდა და მოწყვეტით ჩაიცეცა ტრატუარზე...

და აი ახლა კვლავ ჩემი ბავშვობის საყვარელ სკოლასთან ვდგენ. უნივერსიტეტი გავატარე თერთმეტი საგალდებულო და დამატებით კიდევ ორი წელი; აქედან პირდაპირ ინსტიტუტში მოვხვდი, ნამდვილად მოვხვდი. ბედნი გამიღიმა, მამაჩემის წამოშეველებამ, ჩემმა ცოდნამ თუ სხვა რაიმე შემშეწყო ხული, არ ვიცი. ფართი კი ისაა, ინსტიტუტში მოვეწყვე და სტუდენტი გავხდი.

დამჯანცა მოგონებებმა. ალბათ, უჭიმელობამაც იმოქმედა, აქაურობის ხაზვამაც. ჭიშკარს მივეყრდნო.

— ძია, ცუდად ხომ არა ხართ? — ჩემს ახლოს შეჩერდა შავხალათ-იანი ახალგაზრდა, რომელიც ის იყო ავტობუსიდან ჩამოხტა. — „სასწრაფოს“ ხომ არ გამოვყებო?

— გვადლობთ, არ, მინდა.

— მეგონა, გიშეირდათ, კარგად ბრძანდებოდეთ. — და ჩაიარა.

ეს რა ყურადღებიანი აღამიანები გაჩენილან ჩვენს ქალაქში? შავხალათიანს თვალი გავაყოლე და, როცა იგი შენობას მიეფარა, ნელა მოვბრუნდი და მიმართულება შევიცვალე.

## თ ა ვ ი მ ე რ ვ ე

წუხელ გარეთ გავათიე. ვერ მოვხვდი საკუთარ ოჯახში. სახლი, რომელშიც ბინა გვედო, აულიათ. მის აღვილას ოცსართულიანი შენობა აუყვანიათ და ის იყო ხარაჩობს სსინიდნენ.

აქაური მცხოვრებნი სად გადაიყვანეს-მეთქი, ვიკოთხე ვითომ სხვათა შორის.

— ზოგი სად და ზოგი სად, — მიპასუხა ერთმა მოხუცმა ქალშა.

— ერთი ნაწილი ვაკეში, სტადიონის მახლობლად ახალ სახლებში ჩაასახლეს. — წამოეშველა მოხუცს ათი-თორმეტი წლის ბიჭი. — „პახტაკორი“ და „დინამო“ რომ თამაშობდნენ, იმ დღეს გადაპქნდათ ბარგი. იმ დღეს თბილისელებმა ორით ერთი მოუგეს სტუმრებს.

დედაბერმა ღიმილით გადახედა ბიჭს.

— რასაკვირველია, დაგეჭერება. აბა, შენ ხომ სტადიონთან გაქვს დადებული ბინა. დაინახავდი მახლობლად თუ კი რაიმე ხდებოდა შესამჩნევი.

— არა, ბებია მაშინ ბილეთით ვიყავი. ჩემმა ამხანავმა დამითმო.

— კარგი, კარგი, ეს არავის აინტერესებს... ნაწილი, ალბათ საბურთლოზე გადაიყვანეს. იქაც დიდრონი სახლები წამოჭიმეს. — მითხრა მოხუცმა, შვილიშვილი თან გაიყოლია და ჩაიარა.

სადღა უნდა წავსულიყავი? შუალამემდე კვლავ ქუჩებში ვიხეტიალე, ხოლო შემდეგ ქალაქის ბაღში ჩავედი, მოფარებულ აღვილას ძელსკამზე წამოვწექი და გათენებამდე ვიძინე.



ქალაქს უკვე ეღვიძა, ბაღიდან რომ გამოვედი. ქუჩებს ჰერცოგინი, თუ რეცხავდნენ, გაზონებში ყვავილებს რწყავდნენ, სტამბებიდან ახალ-ახალი უურნალ-გაზეთები გამოჰქონდათ, კინოთეატრების ვიტრინებში ახალ პროგრამებსა და აფიშებს აქრავდნენ, უზარმაზარი მანქანებით სურსათ-სანოვაგვ გადაჰქონდათ და სავაჭროებში ანაწილებდნენ.

რუსთაველის პროსპექტზე გავედი. აქ თითქოს ყველაფერი თავის ადგილას არის და ნაცნობია. ზოგი რამ მაინც შეუცვლიათ და შეუსწორებიათ.

რუსთაველის ძეგლთან ხალხი შევნიშნე. მივხვდი, რომ აქ იყო მიწისქვეშა გზის ერთ-ერთი საღაური და გადავწყვიტე დამეთვალიერებინა ჩვენი ქალაქის ეს ახალი შენაძენი.

ყველაფერი კარგია და ლამაზი. ყველაფერი მომხიბვლელია, მაგრამ მე რა?

ვზივარ ბაღში, ტრამვაიში თუ ავტობუსში, ჩქარა მივდივარ თუ ჩანჩალით, ქუჩებს ვათვალიერებ თუ მაღალ სახლებს, ყველგან და ყოველთვის გაბრწყინებულ სახეებსა და მხიარულ აღამიანებს ვხედავ. ჩემს ჯიბრზე თითქოს დარდი და ნაღველი გამოლეულა ამჭვევნად.

ასეთი შთაბეჭდილება რომ მექმნება, უფრო ვლონდები და ვწუხვარ. ნუთუ ამოდენა ქალაქში არავინ აღარ მყავს ბედის მოზიარე და თანამგრძნობი?

მინდა წავაწყდე ადამიანს, რომელიც ბედს უჩივის, წუხს, დარდი და ნაღველი ტანჯაეს, ცხოვრების უმაღურია...

მანეთიანი შაურებად ვაჭციე. ერთი მათგანი შესასვლელთან ყუთში ჩავუშვი და მეტროში შესვლის უფლება მოვიპოვე.

ხალხი ბევრია. ჩემს გარდა, ყველას რაღაც საქმე და მიზანი მიაჩქარებს.

ერთი ბავშვიანი დედაკაცი თავის ნაღველს უმხელს ახალგაცნობილს. ხშირად იწმენდს ცრემლებს თვალებიდან. უღროოდ დაქვრივებულს სამი მცირეწლოვანი ბავშვი დარჩენია საპატრონოდ.

თანამოსაუბრენი ამშვიდებენ, იმედს აძლევენ, თანაუგრძნობენ.

მეორე დედაკაცი შვილის საქციელს დაუდარღიანებია. თავის ნაშრომს სულ ქეიფსა და დროსტარებაში ფლანგავს, შინ გროში არ მოაქვს და არც რაიმეს შეტენაზე ფიქრობს.

ამ ქალსაც გამოუჩნდნენ ნუგეშისმცემლები. ერთხელაც იქნება ლოთობისა და აყალმაყალისათვის მილიციაში მოხვდება, ცოტა ხანს გამოამწყვდევენ და გონზე მოვაო.

— საქმეც ისაა, ჩხები და აყალმაყალი არ იცის იმ ჩემი ცოდვით სავსემ. — ნაღვლიანად პასუხობს ქალი.



— აბა სმა-ჭამისათვის ვინ რას ეტყვის, ჩემო დაია! — სპულები  
ში ებმება ხნიერი მამაკაცი, — ნეტავი ცოცხალი მყოლოდა და სულ  
ქეიფში გაეტარებინა თავისი სიცოცხლე, ვინ ეტყოდა რამეს.

ჩემი შაურიანით რამდენჯერმე ავუარ-ჩამოვუარე სადგურებს. მრა-  
ვალნაირი ხალხი ვნახე, ბევრის კარგი და ავი გავიგე, ბევრი მწუხარე აღ-  
მიანის გულში ჩავიხედე, მაგრამ ჩემსავით უიმედოსა და სასოწარკვეთილს  
ვერ გადავეყარე.

მართალია, ჩემი დარდი არავისთვის გამიმხელია, მაგრამ ვიცი, რომ  
ზიზღისა და სიძულვილის მეტს ვერაფერს დავიმსახურებდი.

იქაც იმ ბოროტმოქმედთა ბანაქშიაც ვერ ვპოულობდი თანამოახ-  
რეს. იქაც არავინ გამოქომაგებია ჩემს საქციელს. მიზნური ჭაბუკის  
გულს მხეციც დაინდობს, ადამიანი, აბა, როგორ გაიმეტებს სასიკვდი-  
ლოდ, მიუტევებელი დანაშაული ჩაგიდენიაო, ისეთმა კაცმა მითხრა,  
რომელმაც სამი ადამიანი გაძარცვა და გამოსალმა წუთისოფელს.

და როცა ისეთი პიროვნება მკიცხავდა და მაგინებდა, კეთილი ნე-  
ბის ადამიანი რაღას მეტყოდა? მთელ კოლონიაში ერთი მეგობარიც არ  
მყოლია.

მაინც გავუძელი იქაურობას. გავუძელი საოცარი ჯანმრთელობის  
წყალობით. გავუძელი, მაგრამ საკითხავია: გავუძლებდი თუ არა კიდევ  
იმ ათ წელს, რომელიც მაპატიეს? რუსთაველის ძეგლთან რომ ამოვედი,  
მზე საშუალეოზე ასულიყო.

ახლა საით?

პირველ გამოვლილ ტროლეიბუსს შევახტი, ლია ფანჯარასთან ჩა-  
მოვჭექი და გავყევი.

სულერთია, სადაც მიდის და საითაც წამიყვანს. ვნახოთ, რით და-  
მთავრდება ჩემი ხეტიალი.

უნივერსიტეტს რომ გავცილდი, მაშინ მივხვდი, რომ ვაკეში ვიყავი  
და მოვფხიზლდი.

ვეღარ ვცნობ აქაურობას. ეს სულ სხვა ქალაქია, სულ სხვა თბილისი.  
ეს ვარაზის ხევიც სულ სხვა ხევია და სხვა აღგილი.

უველავერი ეს ჩემს შემდეგ, ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში აშე-  
ნებულა, გაშენებულა, დამშვენებულა.

უკანასკნელ გაჩერებაზე ჩამოვხტი, უფრო ზევით ავიწიე და მთელ  
ქალაქს მოვავლე თვალი. საბურთალო და ვაკე შეუერთებიათ განიერი და  
ლამაზი ქუჩით.

გამიკვირდა. გამიკვირდა-მეთქი, ვამბობ, თუმცა საკვირველი არ-  
ფერია. ამაზე დიდი სამუშაო დაგვიძლევია იქ, იმ შორეულ ქვეყანაში.  
ისეთი გზები, ხილები, ქუჩები გაგვიყვანია, რომ...

ახლა საით?

მაღლობზე ვდგავარ.

ორმა ძაძიანმა ქალმა ჩამიარა. სირბილით ჩალიეს დაღმართი, სასვლელად დაძრულ ტროლეიბუსში ჩასხდნენ და თვალს მიეფარენ. საიდან!

უკან მივიხედვ.

პო, აქ ხომ ძაძიანი ადამიანები დადიან უფრო ხშირად; საბრალო დედები, ქვრივები, ობლები. ალბათ, ის ორი ქალიც იქ იყო.

როგორ გალამაზებულა და გაშენებულა ერთ დროს ხრიოკი გო-  
რაკ!

აქაც დაუსახლებიათ...

სასაფლაოს განიერ ღია ჭიშკარში შევედი.

ბევრი ახალი სამარე გაუჭრიათ მას შემდეგ.

ერთ დროს, თუ მომიხდებოდა სასაფლაოზე გამოვლა და გულისამა-  
ჩუყებელ ეპიტაფიებს წავაწყდებოდი, მაშინვე ფანქარს მოვიმარჯვებდი  
და უთუოდ უწმაწურ სიტყვებს წავაწერდი.

რამ გამომცვალა ასე, რომ ახლა მეც გული მიჩუყდება მგრძნობია-  
რე სიტყვების ამოკითხვისას?

რამდენიმე საფლავს ჩაფუარე. ორიოდე კარგად დაწერილი ეპიტა-  
ფია წავიკითხე და...

— ააჲ! — შევძახე უცებ. და თვალები დამიბნელდა.

ის არის. იმის სახეა. ასე იცოდა ჩამოჭდომა წიგნთან ფანქრით ხე-  
ლში...

როცა გონის მოვედი და კვლავ მისი ლამაზი და ჭიკვიანი სახე და-  
ვინახე, ვეღარ გავუძელ მოზღვავებულ მღელვარებას, ერთი დავიბ-  
ლავლე, მივტრიალდი და სერი ავირბინე.

აქაც ბევრი სამარე და წარწერაა, მაგრამ მათი დათვალიერე-  
ბის არც შეძლება მაქვს და არც სურვილი.

ჩემს თვალწინ იმ ჭაბუკის კეთილი სახე და მოლიმარი თვალების  
შუქი ანთია. მხოლოდ მას ვხედავ და მის საფლავზე დალაგებულ ცო-  
ცხალ ყავილებს, რომელიც, ალბათ, გულდამწვარ დედას მიაქვს ყოვე-  
ლდღე.

რამდენი საშინელი ბოროტება ჩაუდენია ადამიანს, რამდენი და-  
ნაშაული, მაგრამ დაუსჯიათ, გაუსამართლებიათ, გაუკიცხავთ, შემდეგ  
სასჯელმოხდილი მიუღიათ და თავის რიგებში ჩაუყენებიათ.

მე კი აღარც სასჯელის მოხდამ მიშველა, აღარც იმდენმა ტანჯვა-  
წვალებამ.

რომელიმაც საფლავის ქვაზე ჩამოვჭექი და მუხლები შევასვენე,  
თუმცა ისე ვარ გაბრუებული, რომ ვერც დაღლილობას ვგრძნობ და  
ვერც ამდენი ხნის უჭმელ-უსმელობას.





აღარც ცოცხლებში ვწერივარ, აღარც მკვდრებში. ვზივარ, ვზივარ, ვზივარ.

უაზროდ და იმაზეც კი არ ვფიქრობ, საით წავიდე.

მყუდროება ხელს უწყობს ჩემს განწყობილებას.

თვალები ნელ-ნელა კარგავს სინათლეს, ბნელდება, ვითენთები, ვსუსტდები.

აღარ ვარსებობ ცოცხალთა შორის, ვიკარგები...

აქ რომ ამოვედი, მზე საშუალეოზე იდგა. ახლა დახრილა და ქვე-შოთ მიიწევს.

ორ საათზე მეტი გასულა. კოლონიდან წამოსვლის შემდეგ ასე არ მიძინია, არც ასე ტკბილად, არც ამდენი ხანი.

ოდნავ დამშვიდებულა გული. კუნთებშიც მეტ ძალას ვგრძნობ. მზეს გავუჰქრიტე, მოკრიალებულ ცას ავხედე და იქედან გაღმოტანილი მზერა იმ აკლდამას მოვავლე, რომლის ქვაზეც ვიყავი ჩამომჯდარი.

მარმარილოს სვეტზე ოქროსფერი წარწერაა ამოკვეთილი და უნე-ბლიერ მისკენ გამექცა თვალი. კითხვა დავიწყე.

„აქ განისვენებს!“

თავში რაღაც მძიმე საგანი დამეცა.

„აქ განისვენებს დამსახურებული პედაგოგი და საზ!“

— ააჲ, მამაჩემო!..

მამა, საბრალო მამა!

შეზვინულ საფლავზე ახალდაკრეფილი ყვავილებია. თითების მონასმიც აჩნია ფხვიერ მიწას. იგი დედაჩემის თითებია. ეტყობა, ახლა-ხან ყოფილა. ალბათ, ის იყო, ის შავიანი ქალი, მაგრამ მეორე? ჩემი და? არა, ორივე ხანშესული ჩანდა.

გინ ვარ ახლა მე? სად ვიმყოფები? როგორი იქნება ჩემი ცხოვ-რების ბოლო, მისი დასასრული? მითხარით, გამავებინეთ!

შენ, ჩემი კეთილო მემატიანევ, რომელსაც ბევრი ადამიანის გული მოვიტიბლავს და აგიძგერებია, მრავალი მკითხველი აგილელვებია მძიმე ამბებით, დიდი ტანჯვა-წვალება გირგუნებია შენი წიგნების გმირებისათ-ვის, მაგრამ ფინალით მაინც გაგიხარებია და სამშვიდობოზე გაგიყვანა, შენ მაინც მითხარი, როგორ დაამთავრებ ჩემს თავგადასავალს? შეეცდე-ბი თუ არა ჩემი ცხოვრების გაცნობით შეწუხებულ ადამიანებს რაი-მე შეება არგუნო და მეც მარგუნო? სიხარულს ვერავის აგრძნობინებ, ჩემს თავს ვერავის შეაბრალებ.

ვიღაცას შევეველრები, შევსთხოვ, მაგრამ ვის? ვის შეუძლია შეი-სმინოს ჩემი ვედრება?!

— მაპატიე, ჩემო მამიკო, შემინდე! — დავემხე საფლავს და ავტირდი.

- ვიტირე დიდხანს და გულმოჯერებული წამოვდექი.
- ახლა საით? — სიტყვა ხმამაღლა დამირჩა ნათქვამი.
  - წამოხვალ ჩემთან! — მომესმა პასუხად და მოვიხედე.
  - ჩემს ახლოს მიღიცის ლეიტენანტი იდგა და მიყურებდა.
  - წამოხვალ ჩემთან! — გაიმეორა მან და მომიახლოვდა. — ცუ-  
დად ხომ არა ხართ?
  - არა. — გაკვირვებული მივაჩერდი მე. ეს ხომ ის ახალგაზრდა კა-  
ცია, გუშინ მატარებლიდან ჩამოსვლისას ხელი რომ შემაშველი! ის მი-  
ღიცის მუშაკიც ეს არის, მტკვრისპირა ბაღში სკამზე მიწოლილს რომ  
შველა შემომთავაზა! ის შავხალათიანი ახალგაზრდაც ესაა, სკოლის  
ეზოს ჭიშკართან რომ მკითხა, ხომ არაფერი გიჭირსო?
  - თითქოს მიმიხვდა, რასაც ვეჭვობდი და გაიღიმა.
  - წამოხვალ ჩემთან! — მესამედ მითხრა მან.
  - ხომ არ გეშლებათ? მე...
  - ვიცი ვინცა ხართ.
  - იცით ვინცა ვარ? ლამის შევიშალო.
  - დიახ, სახელი, გვარი, მარის სახელი, სადაურობა...
  - მე თქვენ პირველად გხედავთ.
  - მე კი გუშინ შუადლიდან.
  - ესე იგი...
  - მატარებლიდან ჩამოსვლის წუთებიდან.
  - და იქედან გქონდათ ცნობა, რომ მე...
  - ჩვენს ქალაქში ჩამოდიოდით.
  - მაშ, რად გამათავისუფლეს, რად გამომიშვეს, რად გამინალდეს სა-  
ვზაო და სახარჯო ფული?
  - ეს ყველაფერი კანონითაა.
  - მაშ, თქვენ ჩემი დანაშაულის სიმძიმეც გეცოდინებათ!
  - მაშინ მერვე კლასში ვიყავი. სასამართლოს დარბაზში შევიპარე,  
შენი სახე რომ დამენახა.
  - მერე?
  - შეგხედე და შემეზიზლე. „სიკვდილი მაგას-მეთქი“, პირველად  
მე დავიძახე, მაგრამ სიცოცხლე რომ გაჩუქქეს, არ მწყენია. ძნელი გა-  
სამეტებელია ადამიანი, თუნდაც მკვლელი.
  - გასაგებია, მაგრამ მაინც მინდა ვიცოდე, როგორ გაიგეთ, რომ  
გუშინ მე მატარებლით მოვდიოდი?
  - იქედან, საიდანაც გამოგამგზავრეს. ჩამოსვლის შემდეგ თან და-  
შვები აჩრდილივით. ერთად დავდიოდით ჩვენ ყველგან. ბაღშიც შენს



ახლოს გავათიე. იმ ვაუის საფლავზეც ერთად ვიცრემლებოდით. მათქვენის საფლავის ქვაზე ჩამომჯდარსაც გიცქერდი.

— თქვენ იცით, რომ აქ მამაჩემი მარხია?

— ერთი წელიც არაა მას შემდეგ, რაც ყოფილმა მოსწავლეებმა შისი ცხედარი აქ მოვიტანეთ და დავკრძალეთ.

— თქვენ მამაჩემის ყოფილი მოწაფე ხართ?

— განა მარტო მე და ერთი და ორი? ათობით ათასები. და ვერ პოვებთ მათ შორის ვინმეს, მამათქვენის აუგი რომ დასცდეს.

— მე კი...

— დასანანია, დასანანი! — შემაწყვეტინა ლეიტენანტმა. — რომ ისეთი კეთილშობილი აღამიანის შვილი... გამომყე! — ახლა უფრო ბრძანების კილოთი მითხრა და დავემორჩილე.

ტროლეიბუსის გაჩერებასთან ჩავედით. იქ ცისფერი მანქანა იდგა. ჩემი მზვერავი მივიღა მანქანასთან, კარი გამოაღო და მომიბრუნდა:

— ჩაჯექი!

შევედი. ისიც შემოვიდა, გვერდით მომიჯდა და მძლოლს რაღაც ანიშნა.

ხანმოკლე გამოდგა ჩემი თავისუფლება. კვლავ პატიმარი ვარ. კვლავ ეტაპი, კვლავ ტანჯვა-გაჭირვება და ბანაკის რეუიმი.

იმ აღგილას მაინც დამაბრუნებდნენ. შეჩვეული ჭირი ჯობია. მიცნობენ, ვიცნობ, იციან ჩემი ბუნება და ხასიათი.

— დიდ დანაშაულს დიდი სასჯელი მოსდევს. — თითქოს მიმიხვდა განაფიქრს წესრიგის დამცველი. — დიდ ცოდვას დიდი მონანიება უნდა.

— ჰოდა, მომახდევინეთ, რაც მომისაჯეს. გამაბრუნება უკანვე, რაკი ასეთი განკარგულება მიგილიათ! რატომ ჩამოსვლისთანავე არ შემიკარით ხელ-ფეხი და ეტაპით არ გამგზავნეთ უკანვე? ნუთუ მარტო ერთი კვირით მომეცით თავისუფლება? როგორ ფიქრობთ, ამოვისუნთქე ამ ხნის მანძილზე თავისუფლად?

— მესმის. — შემომხედა მან, — სასჯელი შენ უკვე მოიხადე. კანონის მიხედვით თავისუფალი მოქალაქე ხარ, მაგრამ აღამიანების თვალში — მკვლელი.

— არაფერი მესმის! — შევძახე მე. — მკვლელი ვარ, საზიზლარი, ბოროტმოქმედი. წამიყვანეთ, სადაც უფრო ღიდი სატანჯველია, სადაც მეტი ცეცხლია და ჯოჭოხეთი. ჩამაგდეთ აღუღებული კუპრის მორევში. დამსაჯეთ, როგორც თქვენი ნება და სურვეილია. — და ბავშვივით ავტირდი.

— ნუ ბავშვობ. — თანაგრძნობა ჩანდა ახალგაზრდა ლეიტენანტის ხმაში, — შენ საკმაოდ დაისაჯე, და არა მარტო ფიზიკურად, არამედ სუ-

ლიერადაც. ამაში დაგრწმუნდით და შეგვიძლია, გახახლება და გარდაქ-  
მნა მოგილოცოთ.

— რომელ ნომერთან? — არ შემობრუნებულა, ისე იყითხა მძღო-  
ლმა.

— სამოცდაშვილის მესამე სადარბაზოსთან, — მიუგო ლეიტენან-  
ტმა.

მანქანამ სვლას უმატა და მალე რვასართულიანი სახლის შესასვლე-  
ლთან გაჩერდა.

ლეიტენანტი ჩამოვიდა და მეც ჩამოვყევი.

— ახლა საით? — უნებლიერ დამცდა ეს სიტყვა.

— მეორე სართული, ბინა ორმოცდარვა, ხელმარჯვნივ, — მეუბნე-  
ბა იგი.

— ვერაფერი გავიგე! — მივაჩერდი ჩემს მხლებელს.

— ერთი წლის წინათ მიიღო ეს ბინა, მაგრამ საბრალოს ბევრი აღარ  
დაცლია. მიდი, დედა და დაი დაგხვდებათ შინ... ნახვამდის! იმედი  
გვაქვს, სულიერი სასჯელის მოხდას კეთილი გზითა და ხალხის სამსა-  
ხურით შეძლებ. გვიგულვე შემწედ და დამხმარედ! — ხელი მაგრად ჩა-  
მომართვა, მანქანაში ჩაჭდა და სწრაფად გაუჩინარდა.

მოულოდნელობისაგან დავიბენი. მაღლობაც ვერ ვუთხარი. არა, ეს  
რა მჭირს, სადა ვარ?

ვდგავარ ერთ ადგილას გაქვავებული, უხმოდ, უენოდ, უაზროდ.

როცა გონს მოვედი და მიმოვიხედვე, ქუჩაში საღამოს ბინდი შემო-  
პარულიყო, სახლებში ჭალებს ანთებდნენ.

ახლა საით?

— სართული მეორე, ბინა ორმოცდარვა, ხელმარჯვნივ. — ყუ-  
რში გამიმეორა ვიღაცამ ახალგაზრდა ლეიტენანტის სიტყვები.

სადარბაზოს კიბეს ავყევი, ძლივს ავითვალე ოციოდე საფეხური და  
შევჩერდი.

„ბინა ორმოცდარვა, ხელმარჯვნივ“ — მკარნახობს კიდევ უჩინა-  
რი თანამგზავრი და მეც მის ნაჩვენებ გზას მივყები.

აი, აქ არის.

მეორე სართული, ორმოცდარვა ნომერი.

კარზე აკრულ თუნუქის ფირფიტაზე მამაჩემის სახელი და გვარია  
ამოხატული.

შემაურუოლა, დავბარბაცდი, ელექტროზარის ლილაკზე თითის დაჭერა  
კი მოვასწარი და მოჭრილ ხესავით დავეშვი იატაკზე.



## მამი ვაჩანიძე

### თ ქ ვ ა 6 ა ლ ა 3 0 რ დ 0 !

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია  
და სისხლიანი ღგას ანგილოსი,  
გალაკტიონი.

შენ ალავერდი, პირველად ვინაც  
რწმენამ და ტრფობამ ლექსად გაქცია,  
ხან მთაში, ხან ცად დაგიდო ბინა  
და ლაუკარდები თავზე გაცვია.  
შენ ალავერდი, შენ, გიყვარს ვისაც  
მზე და დღეები... და შენი ქურა,  
ალალი გულით ჩვენს ვარსკვლავს  
ჰფიცავ

და კაი ჭაცის შენ ქუდი გხურავს.  
ღიადი არის რწმენა ბაჯაღლო  
ჩვენი სამშობლოს და იმედების,  
შაშხანით ხელში მე რწმენით ბალის  
ამად გადავვლე მთები, ქედები.  
გულზე მაწვიმდა, გულზე მათოვდა,  
ასე ვათენე სანგარში ბევრჯერ,  
და ვეფხვის ძალა ამიტომ მქონდა,  
და გამარჯვება ამიტომ შევძელ.  
ამიტომ ლექსის ღმერთს დავედევნე  
და სალი კლდისაც ჩავჭერი ბჭენი,  
ამად შევბედე სათქმელი დედებს  
და ჩემი ლექსის ამაღლდა ჭერი.  
ამად ცეცხლი ვარ, ნაღვერდალი ვარ  
და ჩემი სულის ელავს ტალღები.  
ამად სიცოცხლის ალამდარი ვარ  
და სიყვარულის მთებზე ვმაღლდები.  
ტრფიალი მაქვს და რწმენაც მაქვს  
წმინდა

ჩემი სამშობლოს, ჩემი ალმების.  
 მე არაფერი ჩემთვის არ მინდა,  
 ხალხს და სამშობლოს ვენაცვალები.  
 შენ ახალგაზრდად, შენ ხმაჩახჩავ,  
 თუ არ ხარ ღირსი, ახლავ დაღამდი:  
 ჯერ უპოვნელის შესძელი ნახვა,  
 არ გაგვიშავო თეთრი ქაღალდი.  
 ზღვა, ტალღები და მეზღვაურები,  
 სარფი, ჭახათი, ჭვანა და თაგო,  
 ვაზი და ქალი, გზა და ჭურები,  
 შენს სტრიქონებში არ დამიკარგო.  
 არ დამიკარგო ასმათი, მერი,  
 ნარინჯ-თურინჯთა მოალერსენი.  
 არ დამიკარგო დედის ხმა, ფერი,  
 არ დამიკარგო პატარა სერიც.  
 არ დამიკარგო ვაჟკაცი ჭმუხი,  
 ვინც ხან ღრუბლებს ხან ზამბახებს

სუნთქვას,  
 ვინაც არ უფრთხის ჭექის და ქუხილს,  
 „ძელქვა!“ როგორც მავან კაცს

უთქვამს,  
 მზისკენ გაწვდილი ზამბახი-ხელი  
 (მისთვის დამწვარო შენ ჩემო ჩანგო!)  
 არ დამიკარგო...  
 შენ ქურა ცხელი  
 და ნაპერწკლები არ დამიკარგო,  
 არ დამიკარგო პატარა გოგო,  
 არ დამიკარგო პატარა ბიჭი,  
 „შავსა ხნულზედა“ ვინც ხვეტავს

ოქროს

იმედით, გზნებით და არა იჭვით.  
 არ დამიკარგო არავინ არსაღ  
 დიად სიცოცხლეს ვინც რასმეს მატებს,  
 არას გაატანს ზამბახებს ქარს და  
 ბედნიერებას სხვისთვის ინატრებს,  
 გაპკარი ბწყალი, ვეფხვისა ბწყალი  
 სული სატნის ვინც დაიბედა,  
 ვინაც არ იცის საქვეყნო ვალი  
 და სარკეებში თავის ლანდს ხედავს.  
 ფრენენ ხიხანში ჩემი არწივნი,

შენსას სად, რომელ მთაზე ააფრენ?  
 არ იგულდიდო ცუდა კაციგით,  
 ქვა არ ესროლო სხვის ნავს და აფრებს,  
 არ შეატეხო სხვათა ჩუქურთმებს,  
 გერჩივნოს შენი ხაზი მიმქრალი,  
 შენს დიდებაზე შენ ნუ ჩურჩულებ...  
 ჰაუ, რამდენი გაქვს საფიქრალი!  
 ნუ გეგონება შენი ნაშენი  
 მტკიცეა, ვითარც ზარზმის ტაძარი.  
 თუ გსურს დაგადგეს ქვეყნად საშველი,  
 სოქვი სტრიქონები წარუბაძავი...  
 ახალგაზრდებო, აი, ხომ ხედავთ  
 ვინ დაგბერდით, ვინ გავჭალარავდით...  
 და თქვენ მოხვედით ქვეყნის ძმედად,  
 არ გაგვიშავოთ თეთრი ქალალდი.  
 თქვენ უკეთესი გელით მერმისი,  
 თქვენ უკეთესი მოგელით ბედი,  
 ჰა, დამიცლია სავსე სასმისი,  
 ახალგაზრდებო, თქვენ ალავერდი!



## გ ა მ ო ღ ვ ი ძ ე ბ ა

მე თითქოს დიდხანს თოვლქვეშ მეძინა,  
 თოვლი მეფინა მხრებზე ქულებად  
 და გაზაფხულის განკარგულებამ  
 კვლავ მხრების გაშლა შემაძლებინა.  
 დავემშვიდობე ზამთრის მირაჟებს,  
 გაზაფხულს ქვეყნად რა ძალა შეცვლის?  
 და უფრო მეტად ვიგრძენ სინაზე  
 ჩემი მკურნალი მიწის და ზეცის.  
 და უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე  
 ქარის ჩურჩული ფრთხილად შემარხევს:  
 გაკაფე, დარგე, მითეს-მოთესე  
 მიწა სავარდე და სავენახე.  
 თორემ პპრილი შუქს არ გაღირსებს  
 და არც მაისის დაგინდობს თქეში,  
 ჩამოგაძერტყავს ცრემლიან ნისლებს  
 და ისევ ზამთარს შერჩები ხელში.  
 ...და ქარს ვეძნი, ვეძახი თრთოლვით:  
 ვზრდი და ვახარებ,  
 ვრგავ და ვაშენებ!  
 თუ სული ისევ ამევსოს თოვლით,  
 მოდი და ფრთები შემომაშველე.



## მომეცით კიდევ...

რა უცნაური ფიქრი დამჩემდა!  
ალბათ, სიბერის ნიშანი არის.  
წესეულიძც იყოს მისი გაჩენა, —  
ხელი ამ ბოლოს დამრია მაინც.  
ჩვეულებრივი დროთა დენაა —  
მოვა სიკედილი და სულისმხდელი...  
დღეს თუ ხვალ მოვა, რა პედენაა,  
ვალი თუ არ გაქვს გადაუხდელი.  
მაგრამ მე რა ვქნა,  
როდის რა ვუყო  
ჩემი ხალხის და სამშობლოს ამაგს?  
ვის დავუტოვო და ვის გავუყო  
მათი ტრუიალი,  
გულით რომ დამაქვს!  
დავიგვიანე!  
ჩაქრა ის ცეცხლი  
და შიმოხედვაც მრცვენია ირგვლივ. .  
მომეცით კიდევ ერთი სიცოცხლე  
და ნახეთ, როგორ მივაწყო იგი!

## ზღვაზე...

მალლა-მალლა,  
ტალლა-ტალლა  
კი არ ცურავ — სრიალებ,  
მე მგონია, ზოვასაც დაწვავს  
შენი ლოყის სიალე...  
გენაცვლები, მაგრამ რა ვქნა...  
ეჰეი, უამთა სიავე!

დედაც მყავდა,  
 ძამაც მყავდა  
 მაინც ობლად ვიარე.  
 მერე...  
 შერე ცეცხლი ჩაქრა,  
 ალარც სისხლი ჩქრიალებს.  
 ვიცი, ჩემი ტოლი არ ხარ  
 და გულს მაინც მიამებ...  
 ოი, ნეტავ მე ვიჩქარე  
 თუ შენ დაიგვიანე!

## ზღვის მადლი

უსაზღვრო და ლურჯი სივრცე  
 სიოს სუნთქვით აქოჩრილა.  
 უხმო ჭავლი დადის ისე,  
 თოთქოს ფიქრის ნაოჭია.  
 ზღვის იერი ასეც მიყვარს,  
 მაგრამ იგი სხვაა მაშინ,  
 როს ნაპირზე გემებს რიყავს  
 შფოთისა და ზათქის ხმაში.  
 ზღვას დუმილიც შვენის, ქარიც,  
 ზღვას ლივლივიც შვენის წყნარი,  
 მაგრამ მაინც ბორგვა არის  
 ზღვის მადლი და ნიშანწყალი!





მიხეილ გორგაძე

## ორგანიზაცია

კოკისბირული თავსხმა ორი დღე არ შეწყვეტილა. ღვართქაფად ამდგარი, გახელებული ნიაღვრები ერთიანად ხვეტავდა, რაც თავფერდზე ხედებოდა. ხმაურით ირლვეოდა ბებერი მთის გამოფიტული ქანები. დაგორებული ქვები გზადაგზა ძალას იკრებდა, საშინელი ზათქითა და გუგუნით ლოდებს ასკდებოდა, ან უფსკრულებში კისრისტებით ეშვებოდა. ნიაღვარმა ბევრგან გაარღვია ქვის ყორე და ყანები წალეკა. სახლიდან გამოსილას ვერავინ ბედავდა. აივანზე მდგარნი უმწეოდ გაჰყურებდნენ თავაწყვეტილ სტიქის.

მესამე დღე მშვიდი გათენდა. ლეგა ლრუბლები ზევით აიწია და ისე შესულრა მთები, მწვერვალები წარკვეთილი გეონებოდათ. გარემო ნაომარ-ნაონერალსა გავდა. გზები ქვალორეს დაეფარა, ტანაყრილ სიმინდის ყანებს ვერ გაეძლო მომძლავრებული ქარისათვის და ძირმომბალი ერთ მხარეს მიფენილიყო. დაეხვეტა თამბაქოს პლანტაციები. სადგომში გამომწყვდეული, დამშეული პირუტყვი ბლავილით იკლებდა სოფელს.

— აღექი შოთა! — ადრე დილით ეზოდან ამოსძახა მამაკაცის მძლავრმა ბარეტონმა, — ჩვენი ყორე შლამით დაულექავს, მომეხმარე, ყანაში გადმოვყაროთ.

— ახლავე მამა! — უმალვე მოისმა ღია ფანჯრიდან ახალგაზრდის ხმა. მაშა კიბესთან ელოდა შვილს. ვაჟი ფანჯრიდან გაღმოხტა და მამის ზურგსუან აღმოჩნდა.

— აა, აქა ხარ? ბავშვობა მომაგონდა, —უხერხულად შეიშმუშნა თავისი მოქმედებით დამორცხვებული შოთა.

მას ჯარისკაცული ჩექმები და გალიფე შარვალი ეცვა. საზაფხულო მაისურაში ბოუჩანდა კუნთმაგარი მკერდი და მზემოკიდებული მკლავები.

მამამ სიყვარულით შეავლო თვალი დავაუქაცებულ შვილს. ორი წლის წინათ ცწვერულვაში ბიჭი გაუშვა არმიაში. იქიდან მთვარესავით სავსე დაუბრუნდა, თითქოს ამ ხნის განმავლობაში ჭამისა და ვარჯიშის მეტი არაფერი გაეკეთებინოს.

— ვიჩქაროთ, იქნებ საუზმემდე მოვრჩეთ. შემდევ სოფელში უნდა გავიღე. დღეს ორმეთიდან ამოვლენ. შეიძლება რაიკომიდანაც ამოჰვნენ. ბარში გადასახლებას გვირჩევენ.

შოთამ ბარები აიღო და მამას დაედევნა. რაც თავი ახსოვს, სულ ასე კვალი უდგას, თითქოს მამის ზურგი მისი კერპი, მისი მფარველი ზღუდე იყოს. ამ ზურგს ისევე შეეჩვია და შეეზარდა, როგორც დედის კალთას. ვინმეშ რომ კითხოს, რომელია უფრო ძვირფასი, დედის კალთა თუ მამის ზურგი, გაუძნელდება პასუხის გაცემა. დედის კალთა ბავშვობის ყველაზე სათუთ მოგონებებთან არის დაკავშირებული. დედის კალთაში რამდენიმე წელი უნანავია და ტკბილად უძინია. დედის კალთაში ხვდებოდა გემრიელი ხილი და კამფეტები, წიგნები და ახალი ტუფლები, დედის კალთა უსრულებდა ბავშვობის ყველაზე სანუკვარ თცნებებს. და თითქოს მისი ორგანული გაგრძელება იყოს, დედის კალთა მამის ზურგმა, მისმა განიერგა მხარბეჭმა შესცვალა, დედის კალთიდან მამის ზურგზე გადაინაცვლა. უარესოდ გზაზე დაღლილ-დაჭანცულს, როცა მუხლებში ძალა ეღლეოდა, მამა მსუბუქად წამოავლებდა ხელს, „ჩემო სიხარულოო“, წასჩურჩულებდა და ზურგზე მოისვამდა, ხელებს კანჭებში ისე ამოსდებდა და ზურგზე მოხერხებულად მოირგებდა, თითქოს მისი სხეულის განუყოფელი ნაწილი იყო. მამა სანაცვლოდ უმნიშვნელო საზღაურს ითხოვდა, კისერში მაკოცეო, ეტყოდა. ეს იყო და ეს. რა თბილი და ტკბილი იყო ეს ზურგი, სალკლდესავით ჩამოთლილი და მძლედ გაშლილი. მამის ზურგი ოჯახისათვის ისეთივე გამწევ ძალად გადაიქცა, როგორც ირემა და აღმასა. ამ ზურგს თოკით აკვალთული ნახევარი ზეინი თივა ჩამოქვნდა ფერდობიდან საურმე გზაზე. ეს ზურგი სიმინდით სავსე ტომრებს ბეწვის ხილით გამოატარებდა ხრამების პირზე. ბაზრიდან დაბრუნებისას ამ ზურგზე იყო აკიდებული სავსე ხურჯინი. ამ ზურგს მიჰქონდა წისქვილზე საფქვავი. ეს ზურგი დაატარებდა შოთას უმცროს დებს. და მაშინ, ჭერ კიდევ გაუშაფავი ბიჭი გრძნობდა, რომ ცხოვრებაში როლები შეიცვლებოდა, რომ ერთ დღეს იგი ისევე შესცვლიდა მამას, როგორც ბუხურა მოზვერმა აღმასა შეცვალა.



ორი წელია ოჯახის საქმეზე ოფლი არ დაგიღვრია, გეყოფა ხეტიანის  
შემა დაგამზადოთ, მოსავალი ავილოთ, შემოღვომის მიწურულს ქალი უნ-  
და მოგვაროო, არმიიდან დაბრუნების შემდეგ უთხრა მამა.

შოთას პასუხი არ გაუცია, მხოლოდ გაიცინა. უმცროსმა დებმა ჩაი-  
კისკისეს. დედამ ნატერით დაიკრიფა გულზე ხელი და გაბრწყინებული  
თვალები მიაცყრო შვილს. მან ნათლად წარმოიდგინა ერთადერთი ვაჟიშვი-  
ლის გვერდით მდგარი, საქორწინო ფატით გამოწყობილი სოფლის რჩეუ-  
ლი პატარძალი.

შოთას სიტყვა არ დაუძრავს, გულის ხვაშიადი არ გაუხსნია, ერთბაშად  
მათვის მდუღარე წყალი არ გადაუსხამს, არ გაუმხელია, რომ განზრახუ-  
ლი აქვს სულ სხვა გზით იაროს, რომ ისეთი ცხოვრება იზიდავს, როგორიც  
ხევს იქით ნახა და განიცადა.

ოჯახში მიჩვეული იყვნენ შოთას უსიტყვო მორჩილებას. როცა მამა  
ეტყოდა შეშაზე ტყეში წავიღეთო, შოთა უმალვე წიგნს დააგდებდა და  
მაშას გაჰყვებოდა. თანატოლები ჭალაში უნებართვოდ დადიოდნენ ბურ-  
თის სათამაშოდ, შოთა დედას უთანხმდებოდა. იგი იმ გზით მიდიოდა, უფ-  
როსები რომ ისურვებოდნენ. ამიტომაც იყო ოჯახში მუდამ სიშვილე და  
სიამტკბილობა. მაგრამ ახლა, როცა შოთა თავს მოესწრო და თვითონ უკეთ  
აგნებს რა არის მისი მომავლისათვის აუცილებელი, როგორ მოიქცეს? მას  
ჯერ არ უნდა ცოლქმრული ურთიერთობის უღელში შეებას, სამუდამოდ  
ჩაიკეტოს ხევში.

შოთა ყორესთან შლამში ჩადგა და ჩამოხვეტილი ქვების ამოქრეფა  
დაიწყო.

მამა ხარბად შესცეკეროდა გარჯას დანატრებულ შვილს. იგი ისე თა-  
ვისუფლად ისროდა ლოდებს, თითქოს ბამბის შეკვრა ყოფილიყოს. გუშინ  
ტყეში ხე წააქციეს და დახერხეს. შვილმა აჭობა. ჭაბუკურ ძალას რა შეეღ-  
რება, იგი მთის წყაროსავით ულევია. დააქორწილებს და ოჯახსაც ჩააბა-  
რებს. იგია ოჯახის ბურჯი. დღეიდან მან გასცეს პასუხი მტერსაც და მოყვა-  
რესაც. თავმჯდომარებ საერთო საქმეს უნდა მიხედოს.

— მამა, — იფლში გაღვარულმა შოთამ მამას ფიქრები გაუფანტა —  
გული მეც არმეთისაკენ მიმიწევს.

— რაო, რაო? — ბარი შლამში ჩაცურა, დოინჯი შემოიყარა და ვაჟს  
მკაცრად გაუსწორა თვალი, — შენ ხომ არ გაგიდი, ბიჭო?

— აქ რა უნდა გავაკეთო, ვის რაში ვარგივარ?

— ვის რაში არგიხარ? ოჯახს არგიხარ, დებსა და დედ-მამას არგიხარ,  
სოფელსაც გამოადგები, სხვა რაღა გინდა?

— იქ ველზე მიწას ტრაქტორები ამუშავებს, სახლებს მექანიზმები  
აგებს, ტექნიკა თავის სიტყვას ამბობს, აქ რაც ვიყავით იგივე დაგრჩით,

ჯერ ელექტროდენმაც ვერ ამოაღწია, იქ ლამე დღესა გავს.

—შენ მკერდში მატლი ხომ არ ჩაგიძრა, შეილო?

—დოლიძეებმა წასკლით რა წაგეს?

—დოლიძეების საქმე სხვაა. ჩვენი სხვა, ის გოგო ეჭიმია, ეჭიმი ყველგან სჭირდებათ. შენ რა ხელობა გაქვს?

—საქმეც ის არის, რომ არაფერი ხელობა არ მაქვს. უსწავლელი კაცი დღეს ბრმასა გავს. იქ რამეს ვისწავლი. შემდეგ შეიძლება უმაღლესშიც მოვეწყო.

—ოჯახში ერთი ბიჭი ხარ, შენზე ამოგვდის მზე და მთვარე, გოგოები სხვისი ნაცარია, გათხოვდებიან და წავლენ. შენც რომ გაგიშვა, დამეკარგები.

— ყველა წავიდეთ, მთელი სოფელი გავიყოლიოთ.

— გადამრევს ღმერთმანი,—მამამ მუშაობას თავი მიანება, შოთას ნაბიჯით მიუხსლოვდა, შემდეგ ანთებული თვალები კარმილამოს გადაავლო.

— აქეურობას რას უწუნებ ბიჭო, ასეთი სახლკარი მეორეს არა აქვს სოფელში. სახლი წაბლის აგიგე, ზემო სათიბზე არავინ შეგეცილება, ტყე გვერდზე ულევი გვაქვს, ქვა და შლამი ამ დალოცვილ ბუნებას თავისით ჩამოაქვს. სანამ მე ვარ, უბატონოდ ხმას ვერ გაგცემენ, ჯერ ბრიგადირად, ან ფერმის გამგედ დაგნიშნავ, თავს თუ გამოიდებ, მე შემცვლი. სოფლის თავ-კაცი გახდები. სხვა რა გინდა?

შოთამ სიგარეტი ამოილო, ჯერ მამას მიაწოდა, შემდეგ თვითონ მოსწია.

— ნუ ცხარობ მამა. კარგად ავწონოთ და ისე მოვიქცეთ. წასვლამ იქნებ შენთვისაც აჭობოს, მეზობლები ერთად დასახლდებით, ახალ კოლმეურნეობას ჩამოაყალიბებთ, კი არ გადაგიჩევენ.

— ჩვენს მდგომარეობას სხვები შენატრიან. მამისეული ნასახლარად ვაქციო? ღმერთო მომკალი, რა მაქვს გადასასახლებელი?

— მთელი სოფელი რომ დაიძრას, მაშინ რას იზამ?

— არ დაიძრება, ოცდაათამდე ოჯახს აქვს სალერდელი აშლილი, სხვები არ წავლენ, ეს კარგად ვიცი, იმათი წასვლა ხევს არც დააჩნდება, შეიძლება უკეთესიც იყოს, მეტ სიხალვათეს ვიგრძნობთ. თუნდაც ნახევარი წავიდეს, სოფელს მაინც არ წავშლი.

— თავმჯდომარე ასე არ უნდა მსჯელობდეს,— შოთამ თავი ვერ შეცავა და მამას მოურიდებლად შეეკამათა, — ეს არ გეპატიება. სოფლის თავ-კაცი იმიტომაც ხარ, რომ ისინი უკეთესი გზით წაიყვანო.

— შენ რა, აიწყვიტე? — გაცეცხლებულმა მამამ ნიჩაბი ყორეს იქით ისროლა, — იქნებ სოფელიც ამიჯანყო, ა? მაგ შლამს მიხედე, დღეს ეზოდან ფეხი არ მოიცვალო, თორემ... — სიტყვა არ დაუმთავრებია, გრძელი

ნაბიჯებით სახლისაკენ დაეშვა. შოთა სხვაგვარად არც მოელოდა, დროულად კაცი იმდენად იყო ხევს შეჩვეული და შეზრდილი, რომ ვერ ელეოდა აქაუ-ურობას.

„ტკბილმა სიტყვამ თუ არ გასჭრა, ჩემი გადაწყვეტილებიდან მაინც არ გადავალ, არც იმ ბიჭებს ვუღლალტებ, ორიოდე დღის უკან რომ შევუ-თანხმდი“. თავისთვის გაიფიქრა შოთამ.

საუზმეზე ჩამოდიო, ამოსძახეს, მაგრამ არ წავიდა, დავამთავრებ და შემდეგ ჩამოვალო.

დედა ამოვიდა. იგი შეფიქრიანებული ჩანდა. მახლობელ ლოდზე ჩა-მოჯდა. ცოტა ხანი შვილს მუშაობა აცალა, შემდეგ ჰკითხა:

— მამაშენს ბზიქმა უკბინა თუ რა მოუვიდა; სიტყვა ვერ ვათქმევინე, უჭმელი წავიდა.

შოთამ ბარი შლამში ჩატოვა, ყორეს მიეყრდნო და ჭიბიდან სიგარეტი ამოიღო. შემდეგ დედას დააკვირდა. ქალს ცრემლმორეულ თვალებში ში-ში ჩასდგომოდა.

გვერდით დაუჭდა, გამხდარ მხრებზე მოხვია ხელი.

— ნუ გეშინია დედი, ისეთი არაფერია.

— მე მეგონა, შენი წილი ქვეყანა დააჭციე. ის ბიჭი გონს მოიყვანე, არ გადამრიოსო, ჭიშკრიდან ასე მომაძახა.

— ორმეტში წავალ, რამე ხელობას ვისწავლი-მეთქი. ეს იყო და ეს.

— ერთი სული გვქონდა შენს დაბრუნებამდე, დაბრუნდი და მაშინვე ფრთები აიწყევე? ოჯახს რას უპირებ? — ქალს ცრემლი მოერია.

— კარგი დედა, თავზე ნუღარ დამტირი.

— სატირლად მაქვს საქმე და იმიტომაც ვტირი.

— არ მინდა ხევში დარჩენა.

— სწავლა არ გაკლია და ქონება. მოიყვანე შენი შესადარი ქალი და შემარგე სიბერის წლები.

— დღეს ათი კლასის ცოდნა ისეთია, სახლის შუა კიბეზე რომ გაჩე-რდე.

— მამაშენს ოთხი კლასის ცოდნა აქვს და თავმჯდომარედ აირჩიეს.

— მეტი რომ ესწავლა, იქნებ უფრო გამოღვიმოდა თავსაც და ქვე-ყანასაც. ეს არ გიფიქრია?

დედამ შვილს ცრემლით აჯობა, შვილმა — სიტყვით.

იმ დღეს შოთამ მამას დანაბარები შეუსრულა, ეზოდან ფეხი არ გადაუღვამს, არც სოფლის კრებას დასწრებია.

სალამოს მამა გვიან მოვიდა. დედა ცდილობდა ქმართან სიტყვა არ დაცდენოდა, მაგრამ გახშამზე თავი ვერ შეიკავა, ბიჭს თეფშებს რომ უღ-გამდა, მაშინ აუვარდა ქვითინი. ორი წელი შენს მოლოდინში გული გადამეწურა, ახლა რა სინდისით ფიქრობ ისევ მიგვატოვოო.

მამა ცუდ ხასიათზე იყო. როგორც ეტყობოდა, იმაზე მეტმა ხეველვა გამოიტვის წასვლის სურვილი, ვიდრე მოელოდა. ახლა მან ჯავრი გულების ვერ დაიტოვა და მთელი ბრაზი შვილზე გადმოანთხია.

არც შოთამ დასთმო. მან მშობლებს აშკარად უთხრა, რომ იგი ასაკოვანია და უფლება აქვს თავისი მომავალი ისე წარმართოს, როგორც უკეთესად ცნობს.

—ვხედავ ეშმაჭს აჲყოლიხარ, მაგრამ ხომ იცი მშობლის ურჩ კვიცს რა ბედი ეწია.

—ეს შედარება უადგილოა, მამაჩემო, მგლები არ მყავს ჩასაფრებული, პირიქით, თუ გამიმართლა, ამ ბალნებსაც გზას გავუხსნი. რვა კლასის დამთავრების შემდეგ იქ გააგრძელებენ სწავლას. თუ არ გამიმართლა, უკან დავბრუნდები. სხვა ქვეყანაში კი არ მივდივარ.

—რაო? ახლა ბალნებსაც მიწვდი? —იქუხა მამამ, —ცარიელზე გინდა დამტოვო? გეფიცები, ოჯახიდან თუ წადი, უკან აღარ მიგილებ, ვერც დანმარებას ელირსები ჩემგან.

მამამ ვახშამი მიატოვა და ეზოში გაუჩინარდა. შოთა თავის თოახში განმარტოვდა. დედას ცრემლები ახრჩობდა. პატარებს შიშით სიტყვაც ვერ დაეძრათ.

მრავალხელ ნაფიქრალსა და მტკიცედ გადაწყვეტილს შოთა თავიდან არ დაბრუნებია. იგი კარგად იცნობდა მამის ხასიათს. იცოდა, რომ მამას სიბრაზე დიდხანს არ გაყვებოდა, ადრე იქნებოდა თუ გვიან, გული მოულბებოდა, ერთადერთ ვაჟს ოჯახიდან არ შორივეთდა.

მთელი ღამე ძილი გაუფრთხა. სახლში დაბრუნებული მამის ნაბიჯებიც ნათლად ესმოდა და დედის ოხვრაც.

როგორც კი ინათა, ადგა და ფეხაკრეფით ფანჯრიდან გადაიპარა.

სოფელს არ გაჰქარებია, მდინარის პირას ლოდს მოეფარა. ზაფხულის მზიანი, ხალისიანი ღილა გათენდა. ვეებერთელა მოელვარე მნათობი საღლაც შორს. მთებს იქეთ ამოცურდა და ხეობა მაცოცხლებელი სხივებით გადაანათა. ვერცხლისფრად ალაპლაპდა დაცვარული მდელოები. ლოდზე მიყრდნობილი შოთა დასცემეროდა მშობლიური სოფლის გაღვიძებას. დაგრეხილ ბილიკებზე გამოჩნდა პირველი მგზავრი, საღლაც გაისმა პირველი გადაძახილი და ქალის წვრილი კრინი ლოდებზე აცეკვებულ ხეველას ხმაურში ჩაინთქა.

ამოცურებულმა მზემ თანდათან გაადნო ხეობაში ჩამოწოლილი ნისლი და ღამისეული ბურუსი. სოფლიდან მერცხლები ჭიკჭიკით მოაწყდნენ

ტყეს და ზემოთ კამარა შეჰქრეს. ეტყობოდათ, დედა მერცხლები გზისათვის ავარჯიშებდნენ, ქვეყანას აჩვენებდნენ დაფრთიანებულ ბარტყებს.

ახალფეხადგმული ხბო ველზე რომ ვაიკუნტრუშებს, შეშლოთებული დედა მისდევს, შიშობს შვილი ფათერაკს არ გადაეყაროს. ჩიტი მაცლობელ ტოტებზე ფრენას აჩვევს ბარტყებს. დაიზრდებიან და მერე მათ ბუღეზე აღარ ფიქრობს. თევზი ქვირითს დაყრის და ამით იხდის თავის დედურ მოვალეობას. ადამიანი კი... ადამიანი მთელი ცხოვრების გზაზე დაპკანკალებს შვილს. მოწიფული, დავაუკაცებული შვილიც კი მისთვის ისეთ ბავშვად რჩება, რომელსაც მწამზარეული ლუკმა უნდა შიაწოდოს. შვილის ყოველი წაბორძიება მის გულს შაშჩივს. შოთამ ნათლად წარმოიდგინა დედის საშინელი განცდები. აი იგი ფრთხილად შეაღებს შვილის ოთახის კარებს, უნდა დახედოს პირშოს, დედის იმედს, მაგრამ ოთახი ცარიელი რომ დახვდება, ვაი შვილოო, ამოიკვნესებს და გული შეულონდება. შემდეგ შვილის ლოგინზე დაემხობა და ჩუმად აქვითინდება, მეულლის შიშით მთელს მწუხარებას ვერ მისცემს გზას. იძულებულია დარდის ნაწილი გულში ჩაიყლას. მამას სხვაგვარი განცდა დაეუფლება. მას მეორე ვაჟი რომ ჰყავდეს და ოჯახში რჩებოდეს, ნაკლებად იღარდებდა. შოთა მისთვის ოჯახის ბურჯია, მისი გვარისა და სახელის გამგრძელებელია, იგი ერთად-ერთი მემკვიდრეა, რომელმაც უფრო უნდა განამტკიცოს და განადიდოს მამისეული. აი, რა ადარდებს მამას.

მაგრამ, არა უშავს რა, პირველი წასვლაა ძნელი, თორემ შემდეგ ეჩვევიან. იგი შეეცდება დაუამოს განშორებით გამოწვეული ტკივილები. შეეცდება თავისი წარმატებებით შეაგნებინოს, რომ წასვლა ჭობდა, რომ ის ოჯახის ტვირთსა და მოვალეობას კი არ გაექცა, არამედ უკეთესი გზა იპოვნა და იმას დაადგა.

სატვირთო ავტომანქანის ხმაურმა გაუფანტა ფიქრები. ავტომანქანა დაბლა დაეშვა და მოედანზე დადგა. შოთამ ფარულად გაიხედა. მანქანის ირგვლივ ხალხი შემოკრებილიყო. ტანსაცმელი გაისწორა, ფუთა მხარზა მოიგდო.

ღია ძარაზე ორი ახალგაზრდა შენიშნა, ფუთებზე ისხდნენ. შოთას გამოჩენამ მათ მხერობა შემატა. ერთმანეთს შეუმჩნევლად ჩაუკრეს თვალი და ჩაიცინეს. შოთამ ფუთა ძარაზე შეაგდო. მეზობლებს გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდათ.

— შენ რაღამ გადაგრია, ბიჭო, ისეთი ოჯახის პატრონს რა გაქვს გა-  
საქცევი? — შუა ხნის კაცი წინ დაუდგა.

— დრო მოვა და მიხვდებით. — მშვიდად აუხსა შოთამ.

ორლობეში რამდენიმე ფუთააკიდული ახალგაზრდა გამოჩნდა, ისინი  
გაუბედავად მიდიოდნენ, მაგრამ როგორც კი ავტომანქანაზე სხვები  
შენიშვნეს, ნაბიჯს უმატეს.

მაღლე მანქანა დაიძრა.

სოფლის მოედანზე დიდხანს არ დაშლილან, ხეობაში ჩაყიდულ გზას  
ჩაჰყურებდნენ. პირველი ჯგუფის წასვლამ ისეთი შთაბეჭდილება მოა-  
ზდინა, თითქოს ხევი საშიულმა მიწისძვრამ შეაზანზარა.



## հԵՅԱՆ ԱԳԹՈՂԵԿՅԱ

\* \* \*

ՄԵԾԸ ՕԿՈՒՔԼՈ ՑԵՎՐՈ,  
ՑԵՎՐՈ,  
ՏԱԼՈԱՆ ՑԵՎՐՈ;  
ՄԵԾԸ ԹՎԱԼՈ ՑԵՎՐՈ,  
ՑԵՎՐՈ,  
ՏԱԼՈԱՆ ՑԵՎՐՈ;  
ՄԵԾԸ ՏԵՎԱՎԼՈ ՑԵՎՐՈ,  
ՑԵՎՐՈ,  
ՏԱԼՈԱՆ ՑԵՎՐՈ;  
ԸՆԹԱՅԻՆ ՑԵՎՐՈ,  
ՑԵՎՐՈ,  
ՏԱԼՈԱՆ ՑԵՎՐՈ;

ՑԱԾԱԿՈՒՄ ՑԵՎՐՈ,  
ՑԵՎՐՈ,  
ՏԱԼՈԱՆ ՑԵՎՐՈ;  
ՄԵԾԸ ՍԱՐԿՈ ՑԵՎՐՈ,  
ՑԵՎՐՈ,  
ՏԱԼՈԱՆ ՑԵՎՐՈ;  
ՄԵԾԸ ԱՐԱՄ ՑԵՎՐՈ,  
ՑԵՎՐՈ,  
ՏԱԼՈԱՆ ՑԵՎՐՈ;  
ՀԱՏԱ ՄԵԿԸՆ ԿԱՐԳԱԾ  
ԺՎԵԿՆՈ ՑԵՎՐՈ-



## Ց Ա Ց Ո

մոցելու դղեմջե... օգո Արևմլեծի,  
 Շեն հռմ ցըկուա,  
 Շեն հռմ ցըտվորտա,  
 Ցաճաշըցլա յարչուս մարցվլեծաւ,  
 Մյուլմարտոծաս սամոսաս սծլոյց  
 Սյոլուս ամծոնետ,  
 Սյոլուս ցալոնծոտ,  
 Աելա ցեռցրեծուս Շարաչյ մոմջեզ  
 Տացեց չոյնեծոտ,  
 Չանմրտել լուրջեծոտ  
 Ծա մնչ մտոցարյ Շեննչ ամոմծուս,  
 Շենո ցոտլոյծուս մոցարաց հիրու,  
 Բուրիլուս մուսու,  
 Ցոյսգոյսուս մուսու,  
 Մոցարաց Ծա զոտ առ մովեցուրո  
 Շենս չամարչցցեծաս,  
 Ցալամանիյծուս,  
 Շենս պացեծլ պոտալավ ցոմցոմս!  
 Մոցլոյց Ծա...  
 Ծոլուս նատելոցուտ ՍՇիրացաւ մոյնեծու,  
 Ցըդէծ Ծա...  
 Ցոյքու Եյթիալուտ ցիցեծիյ զոլոյցո,  
 Ցըոզեծ Ծա...  
 Մանեց դանշուրուլու մրիյծա ցոյնեծու.  
 Ցիրտոծառ,  
 Սյոլին ևս օդոյմալ, Ծցոտ մօօրեցո!





## ნები ჩხატე

### ტ ვ ა ნ ი ს ა უ დ ი

თებერვლის მოწმენდილი სალაშო სუფსის ხეობიდან ღელე-ღელე შემობალახდა. ქარცუმელას გორა აქლემივით წამოიმართა და ვარსკვლა-ვებით მოჰყედილ ცას მიებჯინა. ალანჭრებული პახვისწყალი ოროკის ჭალას გაცოლებული დაეჯინა.

თოვლით დატარულმა გურიის მთებმა ყინულის უზილავი ბადე ბარ-შიც გადმოისროლეს. წითლის ჭირკებში შემძრალ ბროლიას ჭერეხზე ამოვდებულ კალმახივით ააძაგავა. მეც ძარღვებში ჭიანჭველებივით შემი-ძრალ და ხელ-ფეხი წამართვა. მაგრამ უზარმაზარ ჭირკზე წამოსკუპებული თვალს არ ვაშორებდი ახალაციმციმებულ ვარსკვლავებს. ვითვლიდი, მეფანტებოდნენ, ისევ თავიდან ვიწყებდი...

ყაზახეთის ცივი სალაშოები მაგონდებოდა.

სუთი წელი არ ვყოფილვარ ჩემს სოფელში. სამთო ინჟინრის დიპ-ლომი რომ ავიღე, შუა აზიაში გამგზავნეს გეოლოგიურ ექსპედიციაში. ასლა მოულოდნელად ჩამოვედი შვებულებით, დედაჩემი ცას ეწია სიხა-რულით მეზობლებს შევყრი საქეითოდო, სოფელში გაიქცა.

ქარცუმელას გორადან ამოსული მთვარე თეთრლელვას ტოტებში ნათოფარ მოლაღურივით გაიხლართა. ახალმოხრეშილ შარაგზაზე ხრეში საფანტივით აჩხრიალდა. კუდონძვერა ბროლია ჭირკებიდან გამოძრალ ჭიშკარს ეცა. ძალის ყეფაზე კაკლის ხეებით ჩაბნელებულ შუკაში ვიღ აცას ხველება აუტყდა.

— ოთარცა, ძალმა არ მიკბინოს! — დახშულმა ხმამ ძლივს გააპო პაერი და ვარსკვლავების თვლა შემაწყვეტინა.

— ოთარი! — სმას აუშია ჭიშკართან მეორემ და ურდულს წაეტანა.  
ბროლია უკანა ფეხებშე შედგა და ურდულს ალმასიც კბილუბით  
დაეკიდა. მთვარის შუქჲზე ჩვენი მეზობელი ისიდორე და მისი ვაჟი, ჩემი  
თანატოლი მიტრო ვიცანი.

ძალს მოზრდილი ნაფოტი ვესროლე.

ბროლიამ ურდულს კბილები უშვა. ბონძვერა კუდი ფეხებვეშ ამო-  
ლო და ისევ ჯირკებში შეძვრა. თავისი ძალობა მაინც არ მოიშალა, იქიდან  
იღრინებოდა.

— ჩამობრძანდით ისიდორე ბიძია. მიტრო, როგორ უცხოსავით შო-  
რიდან იძანით, ჩამობრძანდით. რამდენი ხანია ალარ მინახებართ. ბროლია  
მეზობლებს ალარ კბენს. დედაჩემიც მალე დაბრუნდება... ჩამობრძანდით!

— ჭიშკარს მივაშურე და ურდული გადავატრიალე.

— გამარჯობა, ოთარიკავ შენი! რაფერ ქათმის ქურდივით შემოგვე-  
პარე, ჩემო კვირჩილავ! — ძლივს შემოიტანა ისიდორე ბიძიამ მოხრილი  
მხარბეჭვი ვიწრო ჭიშკარში და ალერსის ნიშნად დაკოურილი მარჯვენა  
მხარზე მძლავრად დამკრა.

გის ზურგს უკან ტანქმომცრო მიტრო გამოჩნდა. მორცხვად მიღი-  
მოდა და თვალებს ახაშხამებდა.

— აბა, პირდაპირ სახეში შემომხედე, როგორ დაყუდებულხარ ნიგვ-  
ზის საბერტყავ ჭიკვივით. შუა აზიაში შენთვის ნაკელი ხომ არ დაყურიათ.  
ჰა, ჸა... ძალიან ბიჭი დამდგარხარ. დედაშენმა კი ჩამომახა, აგერ ახლა,  
ეზოში ოთარიკა ჩამოვიდაო, მარა არ მჯეროდა... შენი საქმე რაფერაა ბი-  
ძიკო? მაღაროები გაიყვანე? ცოლი შეირთე? — განაგრძობდა მოხუცი.  
მიტროც მომიახლოვდა და ხელი მარჯვედ ჩამომართვა.

— კაცად არ ვარგიხარ ოთარი, სულ დაგვივიწყე, ერთხელაც არ  
იყადრე წერილის მოწერა... ცხრა მთას იქით სამსახურს მალე გაათავებ?  
— შემეკითხა და მომაჩერდა.

— იცოცხლეთ ას წელიწადს მზიანი ამინდით... შუა აზიაში სამსახურს  
გაისად მოვრჩები მგონია და...

— ჰოდა, იმ დღესვე გამოიქეცი ჩვენთან, შენი ბუდე მონახე... თავ-  
მჯდომარედ წამოგჭიმავ. მე თვითონ ჩაგაბარებ კაბინეტის გასაღებს. —  
ახარხარდა ისიდორე ბიძია.

— მე და თავმჯდომარეობა? მაშინვე დაიღუბება ჩვენი სოფლის საქ-  
შე. მე ხომ სამთო ინუინერი ვარ. ქარცუმელას გორა კი მინდა გავთხარო  
როცა იქნება, ისიდორე ბიძია, ეგება რაიმე აღმოვაჩინო... ისე კაუის ნა-  
ტეხივით ხომ ბრძანდები? ძარღვებში სისხლი ხომ არ შემოგაელდა? რაღაც  
სველება შემოგჩვევია და სიბერე ხომ არ შემოგეპარა?

— მე და სიბერე ერთად ვინ გაიგონა, ჩემო ბიძიკო! გაროვებულ სარი-  
ვით უნდა გამოვჩერდე ამ ცხრათვალა მზით განათებულ ქვეყანაზე... ისე

ამ ბოლო დროს, როცა ღვინოს დავლევ, გული სხვანაირად ამიტან ცქალდება, მარა სმასაც მოვუკელი. თამაღობას თავი დავანებე კოლმეურნეობაში კი ახალგაზრდები აღარ მანებებენ თავს, ჩვენს ბრიგადას უშენოდ საშველი აღარ აქვსო. ოროვში და ქარცუმელას გორაზე სირბილში ორმოცი წელი ჭინჭალასავით გამიფრინდა. მაგრამ პენსიაში მაინც არ მიშვებენ. — თვითრი წვერი თითებით ჩამოივარცხნა მან.

— შენ როგორ ხარ მიტრო? სწავლის გაგრძელებას არ აპირებ? — შევეკითხე ჩემს თანატოლს.

მიტრომ უარის ნიშნად მხრები ყბებამდე აიწურა.

იგი საშუალო სკოლაში ჩემთან სწავლობდა. შემდეგ უმაღლესში სწავლის გაგრძელება აღარ ისურვა და ჩვენი სოფლის ახალგაზრდულ ბრიგადას ჩაუდგა სათავეში, მამამისს მხარი აუბა.

ტანმომცროსა და მოუსვენარს ზედმეტსახელად ბავშვობიდანვე „პაწიკ“ შევარქვით. „პაწიკოს“ დაძახებაზე პირველად სიბრაზისაგან კბილებს გაახჭრიალებდა და საცემრად გამოვიდგებოდა. მაგრამ მალე შეეჩივა და თავისი ნამდვილი სახელი მგონი მასაც გადაავიწყდა.

ჩვენს თანატოლებში ყველაზე უფრო პაწიკოს გაპქონდა ბურთი. ლახტშიც ყველაზე მარჯვედ იგი იქნევდა ქამარს. ცურვაში ბოლქვაძის მორევს სულ მხარულით აჭრიდა. მწევარივითაც დარბოდა. როცა წამოიზარდა, ჩაის კრეფაში შუქურებად ალიარებულ ქალებსაც წააჯობა. ასკით თუმცა დავაუკაცდა, მხარბეჭიც დაიმშვენა, მაგრამ ტანდაბალი დარჩა და ზედმეტი სახელი „პაწიკ“ მაინც შეეფერებოდა.

დედაჩემს პაწიკო შვილივით უყვარდა. ახლაც, ეზოში რომ შემოვიდა, მოეფერა. თანაც ორივეს უსაყვედურა, ჩემი ბიჭის ამბავს ეზოში კათხულობთ, შინ ვერ შემოხვალთო. მერე მომიბრუნდა:

— შვილო, ასე უნდა სტუმარს მიღება? ახლავე გავაწყობ სუფრას...

— რადგან მობრძანებული გახლავართ, ჩემო ფაცია, სახლშიც შემოვბრძანდებით. ისე ცოტა გვეჩარება. შენი ოთარიკა ძალიანი ვაჟკაცი დამდგარა, ერთი უნდა დავლოცო. ეგება ცოლის შერთვა და ჩვენს კუთხეში მოსველა იფიქროს, მოშინაურდეს... ამ ჩვენს მთებშიც ბევრი მაღანია საძებარი, ჩემო ბიძიკო, — ისევ მოუჭირა ხეელამ ყელში...

მალე სამზადში შუაცეცხლი გაძლიერდა. დედაჩემა დაბალ გაჟივარტლულ მაგიდაზე ნაკვერჩხალზე ახალგაფიცხებული მჭადი, ჩვილი ყველი, მოხარული ღორის ხორცი, ტაფამწვარი და მუავე კომბოსტო დაწყო. ჭიქებში წითელი ღვინო არაკრაკდა. თამაღობა ისიღორე ბიძიამ დაიწყო. — პირველი სახარება შეგვეწიოს... ფაცია შენ კარგად იყავი... — თქვა მან და ჩვენც ჭიქა ჭიქაზე მივუჭიხუნეთ.

— მეორე სახარება შეგვეწიოს... ოთარიკა შენ კარგად გვეყოლე, — ხმას აუწია და მეორე სასმისიც გამოვცალეთ. ასე ავედით ათ სახარებამდე.

შემდეგ პაწიკომ რაღაცა ჩაუჩურჩულა ისიდორე ბიძიას და... ისიდორემ/ ხელი გვითავს ვის დასაცინი.

— ჰოდა, ბევრი რომ არ ვილაბარაკო, ერთ რამეზე უნდა შეგაწუხოთ. არც გაგეცინოთ და არც გამაწილოთ. — სიტყვა განგებ გააგრძელო მან. პაწიკოს გაეცინა, პირდაპირ უთხარი მამაქემო, რაა დასაცინიო.

— ღმერთო მომკალი! — თუ რაიმე გაგვეხერხება, თქვენისთანა ოქ- რო მეზობლები რომ გავაწილოთ, მიწა გაგვისკდეს მაშინ... — ხმას აუ- წია დედაქემმა.

— ფაცია, ვასუკაზე, ჩვენს მონათლულზე შენც გაიგონებდი კიბო აღმოაჩნდათ. ბახვისწყალში რომ იბანავა და შქერის ჯოხივით გაშეშებუ- ლი ამოიყვანეს.

— მერე?

— თურმე ხმა დაუყარეს, თბილისში აღარ დაუმტკიცდა კიბო.

— ახლა ხომაა კარგად?

— მოგეცათ ლეხნა, დაუფეთეს ანგელოზები იქაურ ეჭიმებს. მაშინ- ვე გაუკეთეს ხერხემლის ოპერაცია. კეთილთვისებიანი სიმსივნე აღმოაჩ- ნდა. ბეწვზე გადაარჩინეს, მარა ახლაც ძალიანი სუსტადაა. ჰოდა, მის ოჯახს ჩაი დაურჩა გადაუბარავი. არა და ჩვენს ბრიგადას პირველ ადგილს უკარგებს. ხარიტონა გადარეულის ბრიგადა წაგვართმევს დროშას... ალ- ბათ, ზეგ ისინიც დაამთავრებენ. ვასუკამ მეზობლებს დაუძახა დასახმარებ- ლად... ყველამ უნდა მოვეხმაროთ და როგორმე ხვალ საღამოსათვის შოვითავოთ საბარავი.

— მერე, მერე? — ჩავერიე მე.

— მერედა მეც მოვიწონე თავი მონათლულის წინაშე. — ხველას მოუ- ხშირა ისიდორე ბიძიამ. — სამ კაცს მოვიყვან-მეთქი, შევპირდი, — მარა სიტყვა მიტყდება, ველარ მოვუყარე სამ კაცს თავი. ერთი მე ვიქნები, გადაცდებ თავს აგი ბერიკაცი. მეორე — ჩემი მიტროი, მარა მესამე ვე- ლარსალ გამოვჩევე. ხარიტონამ დამასწრო და ყველას ქარცუმელაზე უკრა- თავი. ფაცია, აგერ უცხად მოვითიქრე და არ გეწყინოს... მეც ვიცი ლამა- ზად რომ არ გამომდის, მარა ჩემმა ბიჭმა გამაბედვინა. ჰოდა მომახმარე შენი კვირჩხილა ხვალ საბარავში. სირცხვილსაც მომხდის და მეზობლებ- შიც გამოჩედება. ხარიტონას კუდით ქვას ვასროლიებთ... — შეკუმშული მარჯვენა ქარცუმელას გორასაკენ გაიშვირა მან.

პაწიკომ გულიანად ჩაიხითხითა.

დედაქემმა კი შვებით ამოისუნოქა. რაღაცას უსაშველოს თხოვდნენ ეგონა. ჩემთვისაც მოულოდნელი იყო საბარავში მიპატიუება და ავხარ- ხარდი.

— კი მარა, ისიდორე ბიძია, ჩემშე უკეთესი მბარავი ვერ იშოვეთ? უჩემოდ ველარ აჯობებთ ხარიტონას ბრიგადას? ყარა-ყუმის უდაბნოში ვკვე დამავიწყდა ბარის მოქნევა... — სიტყვა განგებ გავაგრძელე.

— ბარგა რამ გადაგავიწყა ბიჭო? დაპერარი შაგი ჩილოქა ფეხი დილიდან საღამომდე ერთ ქცევას გადააბრუნებ. შენი ხნის რომ ჟიყვაფებულ მთელ ნარგავებს მარტო მე ვბარავლი... უარს მეუბნებით?

— უარს როგორ გაკადრებთ, მაგი რა დიდი საქმეა, მარა სხვა ქვეყა-ნაში ამდენ ხანს სულ გაზარმაცდებოდა, აგი ბიჭი, საბარავში სირცხვილს გაჭმევს, ენას გააგრძელებს და სხვებსაც დააცდენს. — მოიბოლიშა დედა-ჩემა.

— რა უშავს მერე, სათვალავში კი მოგვეოფლება და... საღამოს აღ-ბათ სამფუთიან ღორსაც დაკლავენ. ადესის ღვინოსაც ერთად დავლევთ. — თვალი ჩამიკრა პაწიკომ.

— რადგანაც მასე გაუჭირდა ოქვენს ბრიგადას საქმე და უჩემოდ პირ-ველ ადგილს კარგავთ, აგერ ვარ საყადელზე. ოღონდ გრძელტარა ბარი შემირჩიეთ, ხომ ხედავთ ისე ხელწამოსაკრავი აღარ ვარ, ტანი თხმელასა-ვით ავიყარე... — მკერდზე ხელი დავიბაგუნე.

— გუშინ ახალი ბარი ვრციდე და ორი მეტრი თხილის სატარე გაუუ-ყარე. სწორედ შენზე იქნება გამოჭრილი, ჩემო ოთარიეა, ხვალ ამოგვიყ-ვანე სირცხვილიდან, მხარი დაგვიმშვენე, ხარიტონას ბრიგადას უაჭიბოთ და სამაგიეროდ შენს ქორწილში აგი ბერიკაცი გავწირავ თავს და თამა-დად დავდგები, მაყრებს სულ ქერჩის ტარანასავით შევაწყობ მაგიდის ქვეშ. აგი ჩემი ბიჭიც ვადაგიხდის სამაგიეროს, — ისიდორე ბიძია ხველებ-ხველებით წამოდგა და ეზოში გამოვიდა.

— ხვალ დილა-ბნელზე გამოგივლით იცოდე, — ჭიშკრიდან დამიძახა პაწიკომ და ლამის სიბნელეში შთაინთქნენ.

მართლაც, მეორე დღეს, პაწიკო სისხამზე მწევარივით დამეცა თავზე და კურდღელივით წამომაგდო.

თავზე ჩემი მეგობარი ინჯინრის ჭოქიას ნაჩუქარი სვანური ქუდი წა-მოვისკუპე, მხარზე ისიდორე ბიძიას გრძელტარა ბარი გავიგდე და შარა-გზას გრძელი ნაბიჯით დავადექი.

— ნამდვილ სვანს არ დაემსგავსა მამაჩემო ოთარი? მაღალი, ხმელი, მოხრილი ცხვირით, ცეცხლის მფრქვეველი თვალებით... მხარზე გრძელ-ტარა ბარით, სვანური ქუდით... პოლა, მოდი და ვასუკასას სვანად გავასა-ღოთ... უფრო დაგვშვენდება, ვეღარც იცნობენ. ახალ ჩამოსული ინჯინ-რი საბარავში წამოიყვანესო, არ არის ლამაზი. აბა, სვანო, ნაბიჯს აუჩქ-რე, დაგვაგვიანდა. — გზადაგზა გაიძახოდა მიტრო.

ისიდორე ბიძიასაც ჭკუაში დაუჭდა ჩემი სვანობა.

მართლაც ვასოსას თავმოყრილ მეზობლებს ჩემი თავი სვანად გააც-ნეს. წარმოიდგინეთ, რომ მრავალი წლის უნახავი, თავზე სვანური ქუდით, ტანაყრილი, თმამოშვებული და ხმაღაბოხებული — მეზობლებმაც ვეღარ მიცნეს და სვანად მიმიღეს.

- ატყდა ერთი მითქმა-მოთქმა:
- რამხელა სვანი ჩამოუყვანიათ.
  - სწორედ მაგი თუ უშველიდა ჩვენს გაჭირებას.
  - ერთ ქვევრ ღვინოს შესვამს.
  - სვანები ღვინოზე უფრო არაყს ეტანებიან.
  - ლიტრა ჭაჭა არ ეყოფა.
  - სადილად ერთ ინდაურს გადაყლაპავს.
  - ვახშმად ღორის თავიც არაფერს უზამს.
  - სამაგიეროდ სალამომდე მთელ ნაშვავებს გადაბარავს.
  - დაილოცოს სვანის მარჯვენა.
  - ხარიტონას კოვზი ნაცარში ჩაუვარდება.

ვასოს დედას, ნაზამთრალ გვიმრასავით დაშვენარს, ოთხმოცდაათ წელს მიღწეულ ანუსის ყველაზე უფრო გაუკირდა სვანის გამოჩენა, ჩხირივით გამხმარი თითები მოიჩრდილა და ცალი თვალით სახეში შემაცევებდა.

— ხომ ძალიანი სვანი მოვიყვანე ანუსი ბებია. მთელ ნაშვავებს კამე-ჩივით გადააბრუნებს. ქულზეც ეტყობა, რა ვაჟაცია. — თავი მოიწონა პაწიკომ.

— ნენავ, შვილო მართლა სვანი ხარ შენ? — დაშაშრული ბაგეები ძლივს ააჩიფრიფა მოხუცმა და უკან დაიხია.

— ნამდვილი სვანი გახლავარ ბებიაჩემო... სვანების ხომ არ გეშინია? პაწიკო წარბების მოძრაობით მანიშნებლა, — ყელი არ გამომჭრა, არ გაგეცინოს და მეც მოწამლულ ლუკმასავით გადაყყლაპე ღიმილი.

— შესაშინებელი ღმერთმა ნუ დაგვმართოს შვილო. — ისე, ქრისტი-ანი ხომ ხარ?

— ცხონებული ბაბუაჩემი ქრისტეზე ლოცულობდა. მე ღმერთი აღარ მწამს.

— მერე რა ვუყოთ შვილო. — გათამამდა მოხუცი, — ახალგაზრდებს-დღეს საერთოდ აღარ სწამთ ღმერთი... მაგი რა გადევს თავზე ყვავის-ბუღესავით?

— ეს ჩვენებური ქუდია, შალის, მსუბუქია და თბილი.

— შეხედე შენ, ანანირი ქუდები სცოდნიათ სვანებს. სვანები ჩვენებურებზე უფრო მარჯვედ ბარავენ. აბა შენ იცი და შენმა სვანობამ, დღეს-რაფერ წამოუკრავ ხელს საიქიოდან დაბრუნებულ ჩემს ვასუკას. ძლივს-გადამიჩრინეს თბილისში... ამინდიც სანატრელი დაგვესწრო. — ჩვენს ირგვლივ ბამბუკის ჭობის კაუნით დაფახუნიობდა იგი.

ისიდორე ბიძიას გრძელი წვერი მხრებში ჩაერგო და ძლივს იკავებდა სიცილს. სხვები კი თავილინ ფეხებამდე მათვალიერებდნენ. პაწიკომ, ეშმაკობა არ შეგვიტყონო, ხმას ღროზე აუწია.

— აბა, მეზობლებო, შეგპირდით სამ კაცს გიშოვით-მეთქი და აგენტ ვართ. აპა, სვანიც, რაღათ უნდა ახლა ანუსი ბებია ამ სვანს კბილების სისრულეებით.

ვა, რაში გვჭირია, მაგას ღმერთი სწავლს თუ არა, გრძელტარა ბარი ხომ უჭირავს ხელში.. მალე დაგვაყენეთ საბარავზე, — და ბარი ჰაერში შეათავსა.

— საუზმე მიირთვით, ისე როგორ შეიძლება, სუფრა უკვე გაწყობილია, ოჯახი დაგვილოცეთ. — თავი გამოიღო ვასოს ცოლმა ანგელინაშ და სასადილო ოთახში შეგვიძლვა.

— კარგად იყავი სვანო!

— აბა შენ იცი და შეჩმა სვანობამ, როგორ წამოგვიკრავ ხელს!

— ჩვენც იგერ ვართ, სირტვილი არასოდეს გვიჭამია!

სახელიც არ უკითხავთ ისე მადლეგრძელეს საუზმეზე თვემოყრილმა მეზობლებმა.

ნაშვავებს შევესიეთ.

სადილზე სუფრა შიგ ჩაის პლანტაციაში, ფართოდ გაფრთხილ თხმელის ქვეშ გაიშალა.

— სვანს გაუმარჯოს, — მოკლედ მადლეგრძელეს.

— მაგარი სვანი ყოფილხარ, შუადღემდე საბარავი გაგვინახევრე, ვეღარ გითავდებოდით...

— ნაშუადღევს ცოტა მოუკელი, თორებ წელის ძარღვები დაგვაწყდა... მაინც მოვასწრებთ.

— შენ სვანი ხარ, ბარის ტარზე გაზრდილი, რა გიჭირს.

— ჩვენ შეგვიბრალე და ზოგჯერ ჩაიმუხლე, — მთხოვდნენ მეზობლები.

— კი მარა, მაგ სვანს სახელი დაუძიეთ, — უსახელოა თუ! — შენიშნა ვასომ.

— სახელი რა საჭიროა. დღეს მაგი ერთი სვანი გვყავს და სვანი დავუძინოთ — თქვა ისიდორე ბიძიამ.

— ჰოდა, მაგ სვანს კი მოწონს თავი კარგი ბარვა ვიციო, მაგრამ არც ჩვენ ვართ ნაკლები. სალამომდე დავავიწყებთ სვანობას, სულ კარტოფილივით გავფუქვნით. — ხელები ისე მოიფშვნიტა პაჭიკომ, თითქოსდა გასაფუქვნელად გამომწყვდეული ვყოლოდე.

— სვანო, დალიე ღვინო, — დამაძალა ვასომ და სასმისები შემივსო. მე ვაჟეაცურად გამოვცალე.

— სვანები ღორის ხორცს ხომ მიირთმევენ ნეტა? — მოგვიანებით იყითხა ანგელინამ და ცისფერი თვალები დანაშაულზე წასწრებულივით აახამა. იციქრებდით ღორის ხორცი ეს ეს არის სუფრიდან უნდა ვაიტანოსო.

— მაგი სალამოს ღორის თავსაც შეჭამს. სამუშაოს რომ მოითავებს, მერე ჭამს ბევრს. ასეთი ჩვეულება აქვს. — ყველას აუხსნა პაჭიკომ.

ნაშუადღევს ისევ შევესიეთ ჩაის ბუჩქებს.

- სვანო, ნუ გერიდება, უფრო მარჯვედ დაჰკარი ბარი! — წამოქუთხა  
ერთმა მეტობელმა.
- სვანო, სვანური გვასწავლე, — მითხრა მეორემ.
  - აქეთ დასახლება ხომ არ გინდა? — შემეცითხა მესამე.
  - უცოლშეილო ხარ? — ყურში ჩამჩურჩულა მეოთხემ.
  - კარგი ბიძაშვილი მყავს და გაგირიგებ, ცივ ქვაზე დაგასახლებს, —  
თვალი ჩამიკრა მეტუთემ.

მოელ დღეს სვანზე ლაპარაკობდნენ და მეც სვანივით ვატრიალებდა  
ბარს დაცვარულ ეწერ მიწაში. დროდადრო ინსტიტუტში ჭოკიას მიერ ნას-  
წავლ ორიოდე სვანურ სიტყვას წამოვიძახებდი და ნახევარმეტრიან ბელ-  
ტებს აქეთ-იქით თოვლის გუნდასავით ვისროდი, ერბოსავით დამბალი-  
ეწერი ბუჩქებში სიმინდის მარცვლებივით იშლებოდა.

ახალგადაბრუნებულ მიწიდან კვამლივით ავარდნილი სქელი ორთქლო-  
ვაფრთხენილ ბუჩქებს შორის ზანტად მოძრაობდა. დროდადრო ქარცუმე-  
ლას გორადან მონაბერ ქარს ნოტიოს სუნი და ხარიტონას ბრიგადის წე-  
რების შეძახილიც ჩამოჰქონდა. ეტყობოდა, ისინიც თავგამოდებით ცდი-  
ლობდნენ ჩევნზე ადრე დაემთავრებინათ საბარავი.

სალამომდე მოელი ხაშვავები გადავაბრუნეთ, ხარიტონას ბრიგადას-  
კი, როგორც ფოსტალიონმა კოწიამ გვაცნობა, იქრობილას ჩაი დარჩეშო-  
და გადაუბარავი. გამარჯვებულებმა ვახშაზე მაგიდა მაგიდას მიადგეს.  
შუა სუფრაზე ორწლიანი ღორის მოხარშული თავი ჩამოდგეს და მარანშა-  
ხუთფუთიან ქვევრს თავი ახადეს.

მე ისევ სვანად მაღლებრძელეს. და როგორც საპატიო სტუმარი სუფ-  
რის თავში წამომჭიმეს. უკვე აღარ მეცინებოდა ჩემს სვანობაზე.

— დღეს აგი სვანი რომ არ ამოგვდგომოდა მხარში, ნამდვილად  
თავზე ფეხს დაგვაბიჯებდა ხარიტონა გადარეული. სირცხვილს ხელდახელ  
გადაგვარჩინა. — თქვა თამადამ, ტანმალალმა, ბეჭებში ოდნავ მოხრილმა,  
ხმელ-ხმელმა ბენიამ.

ბენია იყო საუკეთესო მომღერალი და მოცეკვავე. საზეიმო თავშეყრი-  
ლობაში, როცა წამოიძახებდა „გენაცვალე კაკალ გულშიო“ და არწივივით  
ჩამოუქროლებდა, მტრედებივით აგოგმანებული გასათხოვარი ქალიშვი-  
ლები. თვალს იფრჩილავდნენ.

ვაუკაცურად სვამდა.

— ალავერდი შენთან ვარ სვანო! ბარვაში კი გამოგვასხი ფრთები და  
სმაშიც უნდა გნახოთ რა ვაუკაციც ხარ! — პირველი სასმინის დაცლის-  
თანავე დამიძახა ბენიამ და გრძელი ყანწი გადმომიგდო.

ჯიხვის ჩა ჰაერში დავიჭირე. შავი ღვინით პირამდე შევავსე, დაცა-  
ლე და პაწიკოს გადავულოცე.

მალე ჭოკიას ნასწავლები „ლილე“ წამოვიწყე. ზოგიერთებმა ხმა ამა-

ჟოლებს. ანუსი ბებია პირდაღებული მომჩერებოდა. უკვირდა სვანებული გიგანტების შემდეგის.

— ბებია, ამ სვანს, ყანწი რომ კინაღამ ჩამომაცვა ცხვირზე, მასე ახლოდან ნუ უყურებ შენ. უკან დაიწი, საშიში კაცია... სამი კაცი ყავს მოუღული. — ჩაულაპარაკა მოხუცს პაწიკომ.

გულგახეთქილმა მოხუცმა ენა ძლიეს მოაბრუნა გამშრალ პირში.

— ისიდორა, მართლა დახოცა ამ სვანმა სამი კაცი?

— ნამდვილად, ხულიგნებს და ჭურდებს ემტერება. თვარა ისე ჭირველას არ დააბიჯებს ფეხს... რამ შეგაშინა, შენ რომ ერთი ბალიში ნიკოლოზას ოქროს ფული გაქვს გადამალული, იმას არ წაგარომევს, სხვის ნაოფლარს ხელს არ მოჰკიდებს. უსამართლოდ სიტყვასაც არავის შეუბრუნებს. სვანები ბარვაში, სწავლაში, ვაჟკაცობაში ტოლს არავის დაუდებენ --- დამშვიდა მოხუცი ისიდორე ბიძიამ.

ოღნავ დამშვიდებული ანუსი ბებია ბენის მიუბრუნდა.

— შეილო, ერთი შეეკითხეთ, კარგად თუ გაძლა მაგი სვანი. რაიმე ხინჯად არ ჩარჩეს გულში და ღვინოში არ გაგვიჯავრდეს... ოქრო ჩემს სიცოცხლეში თვალით არ მინახავს მარა, სული მაინც მწარეა, მართლა არ იფიქროს ოქროთი აქვს გატენილი ბალიშით და შუალამეზე ყელი არ გამომჭრას, ნენა, ჯერ არ მინდა სიკვდილი... რაღაც საჭმელსაც არ ეკარება...

— ნუ გედარდება ანუსი ბებია... მაგი სვანი ლობიოთი და მჭადით იქნება გაზრდილი და საჭმელზე ბოლიშს არ მოგვიხდის. სვანი სხვანაირია, სუფრას გვიან მოუვა ჭამის მადა. მერე კი შეიძლება მოელი ლორიც გადასანსლოს. დროზე უნდა დავაძალოთ ღვინო. — ხმა შეიცვალა ბენიამ და სასმისი ხელახლა შევსო.

— მასე თუა საქმე, დააძალეთ ღვინო. ხუთფუთიან ჭურს მოვხადე თავი. მოხარული ღორის ბეჭიც მიართვით — დაუმატა ვასომ.

— რაღაც წარბებს სხვანაირად ათამაშებს. მგონია ეცინება კიდეც, ალბათ თუ დაგვიწუნა ჩვენი ნახელავი და დაგვცინის. — ლოყა ჩამოიჯხინა ანგელინამ და მდუღარედან ახალ ამოღებული ღორის ბეჭი ჩამოდგა. ბენიამ თავი გამოიდო, სვანს ღვინოში უნდა ვაჯობოო და სასმისს სასმისზე მიგზავნიდა.

სიმღერა სიმღერას გიდლის ღალვირივით გადაება.

პაწიკომ მალე დელი-დელა წამოიწყო და მეც კრიმანჭული ხილის საკრეფ კალათივით დავწენი.

— რაღაც ნაცნობი ხმა აქვა... — იჭვი გამოთქვა ანუსი ბებიამ.

— ასე მალე სულ ჩვენებურად არ აკრიმანჭულდა აგი სვანი, რა ნიჭი-ერი ყოფილა! — განგებ გაიკვირვა ისიდორე ბიძიამ.

— რადგან ჩვენებურად აკრიმანჭულდი სვანო, ჩვენებურადაც ჩამოთვალია.  
არე. აბა, ტაში! — მთელი ხმით დაიყვირა პაწიკომ და ტაში შემოკრა.

ვასომ თუთის ხისაგან გათლილი ფანდური ააჩხავუნა. ანგელინამ საცავაო რაშოვდა წამოიწყო, პაწიკომ ანუსია ბერიას კალთაში ხელი ჩა-ავლო და ოთხმოცდათი წლის დედაბერიც გაიყოლია. ნავაღმყოფარმა ვასომ და ანგელინამაც ხელები გაშალეს. მალე მეც ავბარბაცდი.

ტაშმა თუნუქის სახურავი ახალა ვასოს ორსართულიან სახლს.

— აბა, ვასო, შენ ძვირფასო! გვეყოფა ცეკვა. სვანო, ორი ნაბიჯი კი-დევ. მოვიცვალოთ წინ. — დამიძახა ბენიამ და ორი სასმისი ხელის კანკა-ლის შეავსო.

შეც შევავსე.

— ჩვენს მშობლებს ვადლეგრძელებთ. ერთი ჭიქით გარდაცვალებუ-ლების მოგონება. მეორეთი კი ცოცხლებს ვუსურვოთ დღეგრძელობა. მშობლებს, ხელისგულზე მწვალი რომ შევუწვათ, ამაგს მაინც ვერ გა-დავუხდით. — ძლიერ წარმოთქვა მან.

ამ დროს კარები გაიღო და დედახემი დაბარებულივით გამოჩნდა.

— მობრძანდით ქალბატონო ფაცია.

— მობრძანდით.

— დაბრძანდით.

ატყდა სკამების მიწევ-მოწევა.

— ჯერ აგი სვანი გაიცანით და მერე მის გვერდით თავისუფალ ადგი-ლას დაბრძანდით. — ისიდორე ბიძიამ დედახემს ჩემზე ღიმილით ანიშნა.

— ამხანაგებო! — განაგრძო ბენიამ, — ქალბატონო ფაცია, იმას ვამ-ბობდი, რომ მშობლები კარგად იყოს-მეტქი. პირველ რიგში გაუმარჯოს ჩვენი სვანის ჩვენთვის უცნობ მშობლებს, ასეთი ვაჟკაცის გამოზრდისათ-ვის... დღეს ნახევარი ნაშვავები მაგან გადააბრუნა, ბარვაზეც არ არის საქ-მე. სვანები ყველაფერში ვაჟკაცები არიან. მთებში ცხოვრობენ და მუხლი ჩვენზე უფრო უჭრით. ხუთკილომეტრიანი მწვერვალები სულ მაგენბა დაიპყრეს. ომის დროს კავკასიონის კარებთან გერმანელებს ცხვირით მიწა ახნევინეს. ოთფის სროლაში ბადალი არ ყავთ. მათი სიმღერები და ცეკვე-ბი საქვეყნოდ არის ცნობილი. ჰოლა, ამნაირი კუთხის შვილებს ვადლეგრძელებ, ჩვენი სვანის მშობლებს ვადლეგრძელებ...

— რომელ სვანზე ლაპარაკობ? — გაკვირვებით შემომხედა დედახემ-მა და გაეცინა. — კი მარა, იმიტომ მოგახმარეთ აი ჩემი ბაღანაი, რომ სვა-ნად მოგენათლათ? სვანივით ვაჟკაციაო და ამიტომ დააყარეთ ყანწები?

— რაო, ფაცია? ეს შენი ბიჭია? — წამოიძახა გაოგნებულმა ვასომ.

— ქალო, ეს ჩვენი ოთარია? — ხმას აუწია ანგელინამ.

— ბიჭო, ოთარიე გადარეული ხარ შენ! — თვალები ამოიწმინდა მას ულოდნელობისაგან გამოგხიზლებულმა ბენიამ. — რამხელა გაზრდილსაა.

— უკუღმართმა პატიკელამ დღეს მაგრად გაგვაცურა, ყურისძირის მეზობელი სვანად გაგვაცნო... — დაუმატა ვიღაცამ.

პირდალებული ანუსი ბებია გამხმარ ყელში აჩიფჩიფდა: — რაო, ცაუ, ფაციავ, ავი შენი ბაღანაა? არ გამიკვირდა ისიდორემ ასე უცებ საიდან გამოიწერა ამხელა სვანი-მეთქი. სიბერეს რა ვუთხრა. ხმაზე რაღაცა კი მე-ცნობოდა, მარა სულ მთლად არ დამიღვა თვალი! თქვენ, ახალგაზრდებს მაინც რამ გაგიჩინათ საფრჩხილე, ჩვენი კუთხის ბაღანა ვერ იცანით!

სხვებიც განცვიფრებული მომჩერებოდნენ. მე ჭერში ვისროლე სვა-ნური ჭუდი. როცა ოდნავ შენელდა სიცილ-ხარხარი, ბენიამ კვლავ შეავ-სო ორი სასმისი, მაგრამ დაცლის თავი აღარ ჰქონდა. ფეხზე ძლივს იღგა. საღლეგრძელო მაინც წარმოთქვა.

— პოდა, მეგობრებო! ჩვენს ბრიგადაში გამრავლებულიყოს ასეთი სვანები. ერთი ჭიქით ჩვენს სვანს გაუმარჯოს, ჩვენს ოთარის, ჩვენს სასი-ხარულო ვაჟკაცს, სამთო ინუინერს... ვუსურვებთ ყოველივე კარგს. მალე ჩვენს კუთხეში საბოლოო დაბრუნებას. მეორეთი კი ხარიტონას ნადიც ვაღლეგრძელოთ... როგორც კოწიამ გადმოგვცა, ვერ მოათავეს საბარავი. მარა ხვალ ხომ მოათავებენ! მაინც კარგად იყვნენ. ჩვენ კი ყოველთვის ასე გაგვემარჯვებინოს... — სიტყვა ვეღარ დაბოლავა მან.

ქარცუმელას გორადან აღმოსავლეთის ქარმა მძლავრად დაუბერა და ჩახვეული ნაღური ჩამოიტანა; ხარიტონას ბრიგადის წევრებიც შეზარხო-შებული იყვნენ და მღეროდნენ.

ეზოში გამოვბარბაცდი. ნაძვზე აყლდებული გრძელტარა ბარი მხარ-ზე სვანიგით შევიგდე, ლანდივით ადევნებულ პატიკოს ხელი გადავხვერ და მაღალი ხმით დავიწყე: — „სვანები ვართ ჩამოსული ბარადა, ვეძებთ მიწას გადასაბარავადა“. პატიკომაც ხმა ამაყოლა და ასე სიმღერით გავედით შა-რაზე.

ბადრი მთვარე ცის დასალიერზე მისრიალებდა. თებერვლის სუსტი სახსრებში კატის ბრჭყალებით იყაწრებოდა, მაგრამ ღვინისაგან გაბრუე-ბულნი სიცივეს ვეღარ ვვრძნობდით და სიმღერით მივყვებოდით განათე-ბულ შარას.

ვასოს ეზოდან ისევ ისმოდა სიმღერა, ხორხოცი და შეძახილები. ჩვენს უკან დედაჩემი და ისიდორე ბიძია მოღიოდნენ.

სიმღერით ჩავყევით თავფერდს. ფეხებში ბროლია მომებლანდა, ჩვენს ჭიშკარს გავსწორებოდით.



— ღამე მშვიდობისა, ისიდორე ბიძია. პატიკო, დილით აღრე ამონგრაფა ხულიანი.

— გენაცვალე სულში, სვანო, ხარიტონასაც წამოვუქრათ ხელი. ღილით გამოგივლი. თავმომწონეა და კი იუკადრისებს, მარა გულში მაინც გაუხარდება. ჩვენი ბიჭია, — თქვა პატიკომ.

— მასე, ჩემო კვირხილავ. სამაგიეროს ქორწილში გადაგიხდით — ვამომეშვიდობა ისიდორე ბიძია.

ხელის კანკალით შევაჭრიალე ფოლადის ჭიშკარი. ეზოში კი გამართული ნაბიჯით შევალაჭე და გრძელტარა ბარი წიფლის ჭირკზე სვანივით მივაყუდე.



## ს პ ჰ პ რ თ ვ ე ლ ო

მე მოველ შენთან როგორც ასაკი —  
 ჯეელი, წორჩი და ხანდაზმული.  
 რა დრო გავიდა ნეტა მას აქეთ,  
 მას აქეთ სიბრძნის მუხა გაზრდილა.  
 რა დრო გავიდა ნეტა მას აქეთ,  
 რა ცეცხლი გწვავდა,  
 რა ხმა გესმოდა,  
 რაღ მღერის ჩემი ბრძენი ასაკი  
 შენი სიცოცხლის მარადისობას?!

## ჩ ა ნ ა ვ ი ქ რ ი

იქნებ კარგია,  
 იქნებ ცუდია,  
 ანდა საერთოდ სულაც არ ვარგა,  
 ფიქრი მაღალი აზრის ბუდეა,  
 ვაი მას აზრი ვინაც დაკარგა.  
 მას მე ვენდობი,  
 ის მე მენდობა,  
 მე მას ვინატრებ,  
 ის მე მინატრებს..  
 წყევლაა ჩვენგან თქმული შენდობა  
 თუ შიგ მეორე აზრი ბინადრობს.



## სპუბარი ლექსიანი

სიყვარულზე ოღუღუნე მუდამ,  
უიმისოდ არაფერი გშევნის,  
ლექსო, გული შეიყვარო უნდა —  
დაბადების ადგილია შენი.  
უფრო ახლო მშობელ ხალხის გულთან,  
მერე ხალხმა იცის დანარჩენი,  
საქართველო ადღეგრძელო უნდა,  
საქართველო, დაბადება შენი.

## უცხო მგზავრი გურიაში

მთებზე მთები უკვირს უცხოს  
და სიმაღლე კაბაღონის,  
— ამ გზით ავალ ბუკისციხეს?  
— კი, ბატონო!  
გზები მოჰვავს მათრახს ხვეულს,  
ხან თოკივით იჭიმება...  
— ამ გზით ავალ შომანეულს?  
— კი, ჭირიმე!  
შეძრულს ზეცის სასოებით,  
ახსენდება დაღლა განა...  
— ამ გზით ავალ თავსურებში?  
— რავა არა!





ბერძოლებ ბერძის

## აუგსბურგული ცარცის წრე

ოცდაათწლიანი ომის დროს ერთ შვეიცარიელ პროტესტანტს, გვარად ცინგლის თავისუფალ ქალაქ აუგსბურგში დიდი საორიმლავი ქარხანა და ტყავეულის სავჭრო ჰქონდა. იგი აუგსბურგელ ქალზე იყო დაქორწინებული და ერთი ბავშვი ჰყავდა. როცა კათოლიკებმა ქალაქზე გაილაშქრეს, მეგობრებმა ცინგლის გაქცევა უჩჩიეს, მაგრამ ოჯახი აკავებდა თუ ქარხნის მიტოვება ენანებოდა, თავს ვერ უშველა და ქალაქში დარჩა.

იმპერატორის გარებმა აუგსბურგი რომ აიღეს, იგი ისევ იქ იყო. სალამოუამს ქარისკაცებმა ძარცვა-გლეხა დაიწყეს. მაშინ ცინგლი ეზოში ჩავიდა და ორმოში დაიმალა, სადაც სალებავებს ინახავდა. მის ცოლს ბავშვთან ერთად ქალაქის გარეუბანში ნათესავებთან უნდა შეეფარებინა თავი, მაგრამ სანამ ნივთებს, ტანსაცმელს, ძვირფასეულობასა და ქვეშავებს შეკრავდა, მეორე სართულის ფანჯრიდან თვალი მოჰკრა, ეზოში იმპერატორის ქარის ასეული შემოღილა. შიშისაგან თავზარდაცემულმა მაშინვე მიატოვა ყველაფერი და უქანა კარებიდან გაიქცა.

ბავშვი სახლში დარჩა. იგი წინქარში, აკვანში იწვა და ხის ბურთს ათა-მაშებდა, ჰერზე ზონარით რომ ეკიდა.

ოჯახში მხოლოდ შინამოსამსახურე იყო, სამზარეულოში სპილენძის თეფშებს რეცხდა. ქუჩიდან ხმაური შემოესმა. იგი ფანჯარას ეცა და დაინახა, რომ მოპირდაპირე სახლის მეორე სართულიდან ქარისკაცები გარევ ყრიდნენ ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდათ. ქალი წინქარში გავარდა და აკვნიდან ბავშვის ამოყვანა დააპირა. ამ დროს მუხის კარებზე ბრა-ხუნი ატყდა. შეშინებული მოსამსახურე კიბეზე ავარდა.

სახლი გამობრუეული გარისკაცებით აივსო. იცოლნენ, რომ პროტესტანტის ოჯახში იმყოფებოდნენ და ყველაფერს ამსხვრევლნენ. შინამოსამ-

სახურე, რომელსაც ანა ერქვა, რაღაც სასწაულით გადარჩა. როცა ასეული ეზოდან გაიკითა, ანა კარადიდან გამოძრა და ნახა, რომ ბავშვისთვის ხელი არ ეხლოთ. სასწაული შეფუთნა და გარეთ გავარდა. ამასობაში დაღამდა, მაგრამ თავზარდაცემულმა ქალმა მეზობელი სახლის შუქზე ეზოში მაინც შეამჩნია სახლის პატრონის დასახიჩრებული გვამი. ჯარისკაცებს იგი ორმოდან ამოეყვანათ და მოკლათ.

ქალმა მხოლოდ ახლა იგრძნო, რა საშინელება მოელოდა, როცა პროტესტანტის ბავშვით ქუჩაში გამოვარდა. გულდამძიმებულმა ბავშვი ისევ აკვანში ჩააჭვინა, რე მოაწოვინა, დააძინა და ქალაქის იმ უბნისაკენ გასწია, სადაც მისი გათხოვილი და ცხოვრობდა. ღამის ათ საათზე ანა სიძის თანხლებით გაუსხლტა გამარჯვებულ ჯარისკაცებს და ქალაქის გარეუბანში ბავშვის დედის ფრაუ ცინგლის მონახვას შეუდგა.

ერთგან დიდი სახლის კარებზე დააკაკუნეს. კარგა ხნის ლოდინის შემდეგ კარმა გაიჭრიალა და თავი გამოჰყო ფრაუ ცინგლის ბიძამ, ჩია ტანის ბერიყაცმა. ცინგლი მოჰკლეს, ხოლო ბავშვი საღსაღამათადა და სახლშიაო, სულმოუთქმელად მიაყარა ანამ. ბერიყაცმა გაყინული მზერა შეაგება და უთხრა, ჩემი დისტვილი აქ აღარ არის, მე კი, ჩემდათავად, პროტესტანტის ნაბუშართან არაფერი მესაქმებაო. ესა თქვა და კარი ძირი ხურა. რაღა ექნათ, უკან გამობრუნდნენ. ანას სიძემ შეამჩნია, რომ ერთი ფანჯრის ფარდა გადაიწია. თავში გაუელვა, ფრაუ ცინგლი სახლშია, მაგრამ გარეთ არ გამოდისო. ბავშვი რომ მიატოვა, ეს, ალბათ, სულაც არ აწუხებდა.

ანა და მისი სიძე ცოტა ხანს მდუმარედ მიდიოდნენ. შემდეგ ქალმა უთხრა, უკან დაგვბრუნდები და ბავშვს წამოვიყვანო. სიძე, მშვიდი ხასიათისა და წესიერი კაცი, შეშინებული უსმენდა და ერთთავად ჩასჩიჩინებდა, მოეშვი; ხათაბალაში გავებმებითო. რა გესაქმება ამ ხალხთან? აღამიანურად მაინც მოგბყრობოდნენ!

ანა ჩუმად უსმენდა და დაპირდა, უჭიუოდ არ მოვიქცევიო. მაგრამ მტკიცედ გადაწყვიტა ენახა, ბავშვს ხომ არაფერი მოუვიდა. დაიჩემა, მარტო წავალო.

თქვა და თავისი გაიტანა. ბავშვი ნახევრადდანგრეულ წინკარში, აკვანში იწვა და მშვიდად ეძინა. დაღლილი ანა გვერდით ჩამოჯდა და ბავშვს თვალს არ აშორებდა. სანთლის ანთება ვერ გაბედა, მაგრამ მეზობელი სახლი კვლავ იწვოდა და ცეცხლის შუქზე კარგად ხედავდა ბავშვს, რომელსაც სახეზე ჭირფლი აჩნდა.

მოსამსახურემ კარგა ხანს უცეირა, თუ როგორ სუნთქვადა ბავშვი და თითებს ილოკავდა, და უცებ იგრძნო, რომ აღარ შეეძლო იგი მიეტოვებინა. ნელა წამოდგა, ბავშვი საბანში გაახვია, ხელში აიტაცა და ეზოში ჩავიდა. შემკრთალი იყურებოდა ირგვლივ, თითქოს ისეთი ქურდია, სინდისის ქენჯნას რომ განიცდისო.

ანა დიდხანს ეთათბირა დასა და სიძეს. მერე ადგა და ბავშვი უფლის ქმასთან ჩაიყვანა, რომელიც სოფელ გრისაიტინგენში ცხოვრობდა. ოჯა- ხი რძალს ეკუთვნოდა, მამა ჩასიძებული იყო.

გადაწყვიტეს, რომ ოქმით ანა მხოლოდ ძმას ეტყოდა, ვისი იყო ბავ- შვი, რადგან მათ არასოდეს ენაბათ რძალი და არ იცოდნენ, რა თვალით გა- ხედავდა იგი ეგზომ სახიფათო პაჭია სტუმარს.

ანა შუადღისას ჩავიდა სოფელში. მისი ძმა, რძალი და ჭალაბი თაღი- ლობდნენ. ყმაწვილი ქალი ცუდად არ მიუღიათ, მაგრამ რძლის ერთი და- ნახვაც კი საკმარისი იყო, ბავშვი საკუთრად გაესალებინა. და მხოლოდ ძმას შემდეგ, როცა ანამ თქვა, ჩემი ქმარი შორეულ სოფელში მეწისქვი- ლედ მუშაობს და ორიოდე კვირაში ბავშვითურთ მიმელისო, რძალი დაუ- ტკბა და ბავშვს მოეფერა.

ნაშუადღეს ანა ძმას ტყეში წაყვა შეშის მოსაგროვებლად. ისინი ჯირკზე ჩამოჭდნენ. ქალმა ძმას კაქეამა ღვინო ჩამოუსხა. კაცი როგორ- დაც გუნებაზე ვერ იყო. ოჯახში ჯერ ხმა არ ჰქონდა და ანას ლოცავდა, ცოლს რომ არაფერი ჰყადრა. იცოდა, რომ მის ახალგაზრდა მეუღლეს პროტესტანტის შვილი გულზე დიდად არ ეხატებოდა და ცდილობდა თა- ვი ისე დაეჭირა, თითქოს ყველაფერი რიგზეაო.

მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელდებოდა.

ანა მოსავლის აღებაში ეხმარებოდა ოჯახს და როცა ყველანი ისვე- ნებდნენ, „თავისი“ ბავშვისათვის მხოლოდ მაშინ მოიცლიდა და შინ გარ- ბოდა. პატარა იზრდებოდა და იგებოდა; როგორც კი ანას დაინახვდა, სი- ცილს მორთავდა და თავის წამოწევას ცდილობდა.

მაგრამ როცა დაზამთრდა, რძალმა ანას ქმარი მოიკითხა.

ანას დარჩენაზე არაფერს ამბობდა, ოჯახში გამოადგებოდათ. მაგ- რამ მეზობლებს უკვირდათ, სად არის ბავშვის მამა, რატომ ერთხელაც არ იხახულა. ბოლოს და ბოლოს, თუ მამა არ გამოჩენდებოდა, სოფელში ერთი მითქმა-მოთქმა ატყდებოდა.

ერთ მშვენიერ კვირა დღეს ძმამ ცხენი შეაბა და ანაც ოახ გაიყოლა, მეზობელი სოფლიდან ხბო ჩამოვიყვანოთო. გზაში მან ქალს გაანდო, შენთვის კაცს ვეძებდი და როგორც იქნა ვიპოვნეო. იგი სასიყვდილოდ გან- წიორული, ერთი უმიწაწყლო გლეხი აღმოჩნდა, რომელმაც კუჭყიანი საწო- ლიდან თავის წამოწევაც კა ვერ შესძლო, როცა ისინი ქობმი შეკიანენ.

კაცი თანახმა იყო ანაზე დაქორწინებულიყო. სასოფუმალთან დედამისი ედგა, მიხრწნილი დედაბერი. გარიგების ფულიც მას უნდა რგებოდა.

ათიოდე წუთში ყველაფერზე შეთანხმდნენ, შემდეგ ანამ და მისმა ძმამ გზა განაგრძეს და ხბოც თან წაიყვანეს. ქორწინება იმავე კვირის ბოლოს გაიმართა. სანამ მღვდელი მათ ჯვარს წერდა, ავადმყოფს ერთხე- ლაც კი არ შეუხედავს ანასთვის და ძმას არ ეეჭევებოდა, რომ ქალი რაჭე- ნიმე დღეში მისი სცვდილის ამბავს შეიტყობდა. სოფლელებს ეტყოდ-

ნენ, რომ ანას ქმარი გზაში დაიღუპა, აუგსბურგის მახლობელ სოფელში და არავის გაუკვირდებოდა, თუ ქვრივი ქმასთან იცხოვრებდა.

ანა გახარებული დაბრუნდა უცნაური ქორწილიდან, რომლის დრო-საც არც ეკლესიის ზარები შემოუკრავთ და არც მუსიკა დაუკრავთ, არც ქალწულები ყოფილან და არც სტუმრები. საქორწილო სუფრის მაგივ-რად ანა ბუტებრძოლს შეექცა და შემდევ ძმასთან ერთად ყუთთან მივიღა, რომელშიც ბავშვი იწვა. პატარას ახლა ხომ საკუთარი გვარი ჰქონდა. ანა საჩანი შემოუკეცა და ძმას გაუღიმა.

„ქმრის“. გარდაცვალების ამბავი, ცოტა არ იყოს, იგვიანებდა. ცნობა არც უახლოეს კვირაში მიუღიათ და არც შემდგომში. ანამ მეზობლებს უთხრა, ჩემი ქმარი გზაშიაო. და როცა ახლა ეკითხებოდნენ, სად არის, რა-ტომ არ ჩამოდისო, ყველას ერთნაირ პასუხს აძლევდა, ალბათ, დადაო-ლობამ შეაფერხაო.

სამი კვირა გავიდა. შეშფოთებული ანას ძმა „სიძის“ სო-ფლისაკენ მიმავალ გზას დაადგა.

იგი შუალამისას დაბრუნდა უკან. ანა კვლავ ფეხზე იდგა და როგორც კი ოთხთვალს ჭრალი შემოესმა, კარებს ეცა. დაინახა, თუ როგორ აყოვნებდა ძმა ცხენის გამოხსნას და გული შეეკუმშა. ძმამ ცუდი ამბავი ჩამოუტანა. ქოხში რომ შესულა, „სიკვდილმისჯილი“ თურმე სუფრას უჭდა და ვახშმობდა; პერანგი ეცვა და მაღიანად ილუქმებოდა; სავსებით გამოგანმრთელებულა.

ძმა ანას თვალს არიდებდა და ისე უყვებოდა. ამბოკარი, რომელსაც, სხვათა შორის, ოტერერი რქმევია, და დედამისი გაოცებული ყოფილან ამ ამბით და აღარ იციან, რა გზას დააღვნენ. ოტერერს ცუდი შთაბეჭდი-ლება არ მოუხდენია. იგი ცოტას ლაპარაკობდა და ერთხელ დედამისიც გაუჩინებია, როცა ერთ ვაი-ვიშვიშს მოჰყოლია, ის მიწაგასახეთქი ქალი და სხვისი ნაბიჭვარი თავზე რად უნდა დაგჩერებოდაო. ლაპარაკის დროს ერთთავად ბუტერბრძოლს შეექცეოდა და ყბები არც მაშინ გაუჩერებია, როცა ძმა წამოვიდა.

მომდევნო დღეებში ანას დანა პირს არ უხსნიდა. როგორც კი მოი-ცლიდა, ბავშვეს სიარულს ასწავლიდა. როცა იგი სართავს მოშორდებოდა და გაშლილი მკლავებით მისკენ წაბაზბაზდებოდა, ანა ქვითინს ვეღარ იკავებდა და ბიჭს მკერდში მაგრად იკრავდა.

ერთხელაც იყო, ძმას ჰკითხა, მაინც ვინ არის, რა კაციაო? მან მხო-ლოდ სასიკვდილო სარეცელზე ნახა იგი სანთლის მილეულ შუქზე. ახლა გაიგო, რომ ორმოცდაათს გადაცილებული ყოფილა, ერთი უმიწაწყლო და ამბოკარი ვინმე.

მალე პირისპირ იხილა იგი. რომელიღაც მეწვრილმანებ საიდუმ-ლოდ შეატყობინა ანას, „ერთ შენს ნაცნობს“ ამა და ამ დღეს, ამა და ამ



დღრის, ამა და ამ ადგილას შენი ნახვა უნდაო, და ასე, თავიანთი სიფრთხე  
ბის შუა გზაზე, ძველ მხედართმთავრებივით, თოვლით დაფარულ  
ტრიალ მინდორზე შეხვდნენ ერთმანეთს დაქორწინებულები.

ანას არ მოეწონა მამაკაცი.

მას მომცრო და ჩაყვითლებული კბილები ჰქონდა. თავით ფეხამდე  
ჩათვალიერა ტყავის ქურქში ჩაბუბნული ანა და ბოლოს წამოიძახა:  
„ო, ცოლქმრობის საიდუმლოებავ!“ ქალმა ორიოდე სიტყვით აუხსნა, ერ-  
თხელ კიდევ ყველაფერს მოვიფიქრებო. შენ კი ვიზეს პირით გროსაიტი-  
ნგენში ჩემს რძალს შეატყობინე, გზაში ავადმყოფობამ ლოგინად ჩააგდო,  
მაგრამ მალე გამომჯობინდება და გინახულებსო.

ოტერერი დაეთანხმა. იგი მთელი თავით მაღალი იყო ქალზე და ანას  
თვალს; არ აშორებდა, კიდევ რას მეტყვისო.

ხანი გადიოდა და ამბის მომტანი არავინ ჩანდა. ანამ ერთი პირი: ბა  
იფიქრა, ბავშვი წავიყვან, სამხრეთის გზას დავადგები და ქემპტენში ან  
ზონტკოფენში სამუშაოს გამოვდებნიო. მაგრამ იცოდა, რომ სოფელი  
ამაზე ლაპარაკს აღარ მოათავებდა, თანაც შუაგული ზამთარი იდგა და  
შინ დარჩენა ამჯობინა.

დარჩა, მაგრამ ვაი ამ დარჩენას! რძალი სადილობისას მთელ ჭალაბს  
ეკითხებოდა, სად არის მაგისი ქმარი, სად დაიკარგაო. ერთხელ როცა,  
თითქოს სიცოდვით, ბავშვს „საბრალო ჭია“ უწოდა, ანამ მტკიცედ გადა-  
წყვიტა, აქაურობას გასცლოდა, მაგრამ ახლა ბავშვი გახდა ავად.

სიცხიანი იწვა ბავშვი ყუთში. თვალები წამონთებოდა. შიშისა და  
სასოებისაგან გათანგული ანა სასუმალთან ეჯდა და ლამეებს უთევდა.  
ერთხელ, როდესაც ბავშვი გამოკეთებას დაადგა და წინანდებურად გაი-  
ღიმა, დილით კარზე ვიღაცამ დააკაუნა. ოთახში ოტერერი შეშოვიდა.

ანა და ბავშვი მარტო იყვნენ, ამიტომ ქალის სახეზე ნათლად გამო-  
იხატა ის საშინელება, რაც მან კაცის გამოჩენისას იგრძნო. კარგახანს  
არც ერთს სიტყვა არ დაუძრკვს. შემდეგ ოტერერმა უთხრა, ყველაფერი  
მოვიფიქრე და ახლა შენს წასაყვანად მოვედიო. მან კიდევ ახსენა „ცოლ-  
ქმრობის საიდუმლოება“.

ანა გაბრაზდა — მტკიცედ და ხმადაბლა უთხრა, შენთან ცხოველებას  
არ ვაპირებ, ბავშვის გულისოფერის დავქორწინდი და არაფერს არა გთხოვ,  
მხოლოდ შენი გვარის ტარების ნება მოგვეციო.

ბავშვი რომ ახსენა, ოტერერმა თვალი ყუთისაკენ გააპარა, რომელ-  
შიც ბიჭი იწვა და რაღაც წაიღუდულუნა, მაგრამ ახლოს არ მისულა. ასან  
კიდევ უფრო გააგულისა ანა.

კაცი კიდევ შეეცადა ქალის დაყოლიებას, ერთხელ და სამუდამოდ  
ყველაფერი გადაწყვიტე, ბინის ნუ გეფიქრება, დედაჩემი სამზარეულო-



ში დაიძინებსო. შემდეგ კარი გაიღო, ოთახში რძალი შემოვიდა, რტე რერს მიესალმა და საღლზე მიიწვია. ოტერერი სუფრას მიუჭდა და ოღნავ დაუქნია თავი ანას ძმას, თითქოს არ იცნობდა. რძლის კითხვებზე ან „ჰოს“ ამბობდა ან „არას“. თევშილან თავი არ აუღია, მხოლოდ ესა თქვა, მერინგში სამუშაო ვიშვენე, ანას შეუძლია ჩემთან იცხოვროსო. მავრამ არ დაუჭინია, მაინცდამაინც ახლა გაღმოვიდესო. ნაშუაღლევს არავის არ გაჰკარებია და არც არავის უთხოვია, ისე ადგა და სახლის უკან შეშის პობას შეუდგა. ვაზამზეც უჩუმრად იყო. ჭამას რომ მორჩნენ, რაბალმა თვითონ შეიტანა ანას ოთახში საბანი, ღამეს ერთად გაათევენო. მაგრამ გლეხმა მძიმე-მძიმედ ამოღანღლლა, ამ საღამოსვე უკან უნდა გავ-ბრუნდეო. წავლის წინ უაზრო თვალებით მიაშტერდა ყუთს, რომელ-შიც ბიჭი იწვა, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს და ხელი არ უხლია.

ღამით ანას გააცივა და ლოგინად ჩავარდა. იწვა ასე უგრძნობოდ და მხოლოდ ხანდახან, როცა სიცხე გაუნელდებოდა, ბავშვთან მიღასლასდე-ბოდა და საბანს შემოუკეცავდა.

ივაღმყოფობიდან ერთი თვის თავზე ოტერერმა ეზოში ფურგონი შემოაგორა და ანა და ბავშვი წაიყვანა. ანას წინააღმდეგობა არ გაუწე-ვია.

ქალი ნელნელა მოდიოდა ჭანზე, თუმცა ოტერერის სიღარიბის გამო წვნიანზე გადადიოდა. ერთ ღილას, თვალები რომ გაახილა, წვირიანი ჰავშვი იხილა და ფეხზე წამოხტა.

პატარამ ალერსიანად შესცინა. ქმა ეტყოდა ხოლმე ანას, სულ შენი სიცილი აქვსო. ბავშვი წამოიჩიტა და მარდად დაცოცავდა ოთახში, ხან-დახან თავს დაჰკრავდა იატაკზე და ყვირილს მორთავდა. ანა ხშირ-ხშირად ბანდა ბავშვს, იგი თანდათან იბრუნებდა სიმშვიდეს.

მაგრამ ქოხში ცხოვრება დიდხანს ვერ აიტანა. ერთ ღლეს ბავშვი საბანში გაახვია, ცოტაოდენი პური და ყველი მოიმარაგა და კვლავ გზას დაადგა. გადაწყვეტილი ჰქონდა, როგორმე ზონტკოფენამდე ძიებია, მაგრამ დიდხანს ვერ იარა. სისუსტისაგან მუხლი ეკვეთებოდა, უჭირდა გამლღვალ თოვლში სიარული. ამასთან ოშით განაწამები სოფლელები უნ-დობლად უყურებდნენ და საჭმელ-სასმელს ხელს უჭერდნენ. მესამე დღეს არმოში ჩავარდა და ფეხი იღრძო — რამდენიმე საათი გაატარა ასე. სულ იმის შიში ჰქონდა, ვაითუ ბავშვს რაიმე მოუვიდება. შეჭდეგ ვიღაც მაღლიანმა შეიბრალა, ეზოში შეიყვანა და ბოსელში დააწვინა. ბავშვი ძროხებს ფეხებში ებლანდებოდა და როცა ანა შიშისაგან წამოიყვირე-ბდა, სიცილს ასტეხდა. ბოლოს და ბოლოს ქალი იძულებული იყო გაემ-ხილა ქმრის ვინაობა. მანაც არ დააყოვნა, ჩამოვიდა და ისინი კვლავ ში-ნისაკენ გაუყენა.



ეს იყო და ეს. გაქცევა ანას ამის მეტად აღარ უცდია. ბედს შეურიგდება. დილიდან სალამომდე თავაუღებლივ მუშაობდა. თუ არ იმუშავებდა, აბა, ასედაც ერთ ბეჭი მიწაზე რა მოუკიდოდათ, შიმშილით მოკვდებოდნენ და ისაა. ქმარი კარგად ეპყრობოდა. ბავშვს საჭმელი მაძლრისად ჰქონდა. დროდადრო მმაც ეწვეოდა ხოლმე, ხან რას მოუტანდა და ხას რას. ერთხელ პატარას ხალათიც კი შეაღებინა წითლად. მღებავის ბავშვს მართლაც რომ უხდებაო, —გაიფიქრა ანამ.

გამოხდა ხანი. ანას უჯუნებობა სულაც აღარ ეტყობოდა. ბავშვის ოლზრდა დიდ სიხარულს გვრიდა. ასე გადიოდა დღეები.

გაგრამ ერთ დღეს ანა სოფელში წავიდა სიროფის მოსატანად და ორცა დაბრუნდა, ბავშვი შინ აღარ დახვდა. ქმარმა უხერა, ერთმა შესიდრულად ჩაცმულმა ქალმა ეტლი მოაყენა და ბავშვი წაიყვანაო. თავჭარდაც მული ქალი კედელს მიყრდნო, შემდეგ გონს მოეგო, ცოტაოდენ სასუსნავი მოიმარაგა და იმ საღამოსვე აუგასბურგისაკენ გასწია.

ჭალაქში ჩასვლისთანავე ცინგლის ოჯახს მიაღვა, მაგრამ სახლში არ ჟეუშეს, ბავშვი ხომ არ ანახეს და არა.

და და სიძე ამაოდ ცდილობდნენ მის დამშვიდებას. იგი ადგილობრივ ხელისუფლებთან მივარდა და გიყივით ყვიროდა, პროტესტაციებმა ბავშვი მომტაცესო. მხოლოდ ამის შემდეგ გაიგო, რომ კათოლიკეებსა და პროტესტანტებს ზავი ჟეუკრავთ.

და აღბათ, ბედნიერი შემთხვევა რომ არა, ანა თავისას კერ გაიტანდა. მისი საქმე ერთ მოსამართლეს გადასცეს, რომელიც სხვებს არ ჰვავდა. ეს იყო იგნაცი დოლინგერი, უხეშობითა და განსწავლულობით მთელ შვაბეთში განთქმული კაცი. მას ბავარიის კურფურსტმა „ნაგავი“ უწოდა, მაგრამ უბირი ხალხი ქება-დიდებას ასხამდა.

ანა დისა და სიძის თანხლებით ეახლა მოსამართლეს. ტანდაბალი, უზომოდ მსუქანი კაცი მომცრო ოთხში იჯდა, ხელნაწერებში ჩაფლული. მომჩივანს ბოლომდე არც კი მოუსმინა, ქალალზე რაღაც ჩაიწერა და შემდეგ ანან დუდლუნით უთხრა: აბა, ახლა იქ დადექი, ჩქარა! და იმ კუთხისაკენ მიუთოთა, ვიწრო სარქმლიდან ოთახს შუქი რომ ეფინებოდა. რამდენიმე ხანს იგი გამომცდელად უყურებდა ქალს. შემდევ ღრმად ამოიოხრა.

შეორე დღეს მოსამართლემ კვლავ იხმო ანა და შემოსვლისთანავე პირში მიახალა: რატომ დამიმალე, რომ თავი და თავი თურმე სათრიმლავი ქირხანა ყოფილა?

— ქარხანა კი არა, — უპასუხა ანა.

— ამაოდ ფიქრობ, რომ იმას ხელში ჩაიგდებ, — უყვირა მოსამართლემ, — ნაბუშარი თუგინდ შენი იყოს, სულერთია, ქარხანა ცინგლის ნაერსაცებს ეკუთვნის.

ანამ თავი დაუქნია და უთხრა, ბავშვს ქარხანა არ სჭირდება.

— შენია ეს ბავშვი? — დაუყვირა მოსამართლემ.

— ჩემია, — წყნარად უთხრა ქალმა — ჩემია, თუ იქამდე შევინარჩუნე, სანამ ცველა სიტყვას ისწავლიდეს. ჯერჯერობით შვიდი იცის.

მოსამართლემ ჩახველა და მაგიდაზე გაფანტული ხელნაწერები ერთად დააწყო. შემდეგ მშვიდად, მაგრამ მაინც ბრაზით უთხრა: ბავშვი შენც გინდა და იმ ზიზილპიპილებიან თხასაც, მაგრამ მას ნამდვილი დედა სჭირდება.

— მართალს ბრძანებთ, — დაეთანხმა ანა და თავი ასწია.

— აბა, ახლა მეტი აღარ მცალია — ბუზღუნით ცესრა მოსამართლემ. — შაბათს სასამართლოს დაგნიშვნავ.

· იმ დღეს მთავარი ქუჩა და რატუშის მოედანი ხალხით გაიჭედა. ყველას უნდოდა დასწრებოდა პროტესტანტის ბავშვის პროცესს. განსაკუთრებულმა საქმემ თავიდანვე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. სალაპარაკო მარტო ის ჰქონდათ, ვინ არის ნამდვილი დედაო. მოხუცი დოლინგერიც ხომ ცნობილი იყო უბრალო ხალხისადმი სიმპათიით, მწარე ენითა და სიბრძნით.

ასე რომ, რატუშის წინ აუგბურგელების გარდა, ახლო-უახლო ტერვრებლებიც ბევრნი იყვნენ. პარასკევს ბაზრობას დაესწრნენ და პროცესის-ხაორით მეორე დღემდე დარჩნენ.

სასამართლო ეგრეთ წოდებულ ოქროს დარბაზში მიმდინარეობდა. მთელ გერმანიაში სიღიდით განთქმულ ამ დარბაზში სვეტები არ იყო.

მოსამართლე დოლინგერი, ტანდაბალი სქელუა, დახურული მთავარი შემოსასვლელის წინ იჯდა. დამსწრებისაგან მას ჰყოფდა უბრალო თკი. მოსამართლე შემაღლებულ ადგილზე იჯდა. წინ მაგიდა არ ედგა. რამდენი წელიწადია კანონად ჰქონდა: ხალხთან ახლოს ყოფილიყო.

ბატრის იქითა მხარეს იყვნენ ფრაუ ცინგლი მშობლებითურთ, გარდაცვლილ ჰერცინგლის ნათესავები, ორი კარგად ჩაცმული მამაკაცი, ალბათ, შეძლებული ვაჭრები, და ანა ოტერერი დასთან ერთად. ფრაუ ცინგლის გვერდით ძიძას ხელში აეტატებინა ბავშვი.

ყველანი ფეხზე იდგნენ. მოსამართლე დოლინგერს უყვარდა თქმა, როცა მონაწილენი დგანან, საქმე აღრე მთავრდებაო. ან იქნებ სულაც იმიტომ არ აძლევდა დაჯდომის უფლებას, რომ მას ჩამოპფარებოდნენ და ხალხს მხოლოდ მაშინ დაენახა, როცა ფეხის წვერებზე აიწეოდა და კისერს წაიგრძელებდა.

საქმის განხილვამდე მოულოდნელი რამ მოხდა. ანამ, როცა ბავშვი დაინახა, უნებურად წამოიყვირა და ფეხი წინ წადგა. ბავშვიც მისკენ მიიღო ტვილი, ძიძას ხელიდან უსხლტებოდა, ტიროდა. მოსამართლემ იგი დარბაზიდან გააყვანინა.

შემდეგ მან ფრაუ ცინგლი გამოიძახა.

იგი წინ წამოდგა და მოყენა, თუ ძარცვა-გლეჭის ღროს როგორ გვამოიკავა. სტაცეს მას ბავშვი იმპერატორის ჯარისკაცებმა. იმ საღამოსვე მოსამსახურე მამამისს შინ ეახლა და შეატყობინა, ბავშვი სახლშიია. ასე ბათ, გასამრჯელოს თუ ელოდა. მაგრამ მზარეულმა, რომელიც ქარხანაში გაგზავნეს, ბავშვი იქ ვერსად ნახა, ამიტომ ასკვნის, რომ ამ პირადნებაზ (და მან ანაზე მიუთითა) ბავშვი გადამალა, რათა კანონიერი მშობლისათვის ფული გამოეძალა. დიახ, ადრე თუ გვიან ასეც მოიქცეოდა; ბავშვი ღროშე რომ არ წაერთმია.

მოსამართლე დოლინგერმა გამოიძახა ჰერ ცინგლის ორთავე ნათესავი და ჰერთხა, თუ გაიგეთ მაშინ ცინგლის ამბავი და რა გითხრათ ამის თაობაზე მისმა ცოლმაო.

ფრაუ ცინგლის, თურმე, შეუტყობინებია ქმრის სიკვდილი და ბავშვი სანდო მოსამსახურისათვის მიუბარებია. ისე კი, ნათესავები ცუდად იხსენიებდნენ მოსამსახურეს, რაღან, თუ ფრაუ ცინგლი პროცესს წააგებდა, ოჯახი ანას დარჩებოდა.

ამის შემდეგ მოსამართლე კვლავ ფრაუ ცინგლის მიუბრუნდა და ჰერთხა, თავდასხმის ღროს ხომ არ შეგვინდა და ბავშვი მიატოვეო.

ფრაუ ცინგლიმ ღია ცისფერი თვალები მიაპყრო და წყენით უპასუხა, ბავშვს როგორ მივატოვებდიო.

მოსამართლე დოლინგერმა ჩაახველა და ცნობისმოყვარებით ჰერთხა, მართლა გჯერათ, რომ არც ერთი დედა შვილს არ მიატოვებს?

— დიახ, მჯერა, — მტკიცედ უპასუხა ფრაუ ცინგლიმ.

— მაშინ, ალბათ, ისიც გჭამთ, რომ დედას, რომელიც ასეთ რაშეს ჩაიდენს, გავა უნდა აუჭრელოს კაცმა.

ფრაუ ცინგლის პასუხი არ გაუცია. მოსამართლემ ანა გამოიძახა. იგი სწრაფად გამოვიდა წინ და წყნარად დაადასტურა, რაც წინასწარი დაკიონევისას მოყვა. ლაპარაკის ღროს ხანდახან შეჩერდებოდა, ღილი კარებისაკენ გაიხედავდა, საიდანაც ბავშვი გაიყვანეს და აყურებდა, კიდევ ხომ არ ტირისო.

ანამ სასამართლოს უამბო, რომ იმ საღამოს მართლაც იყო ფრაუ ცინგლის ბიძის სახლში, მაგრამ იმპერატორის ჯარისკაცების შიშით უკანა დაბრუნებულა. მას მხოლოდ ბავშვი ედარდებოდა, რომელიც ლეხ-ჰაუზენში კეთილმა აღამიანებმა შეიიფარეს.

დოლინგერმა უხეშად შეაწყვეტინა და ყველას გასაგონად თქვა, კიდევ კარგი რომ ქალაქში ერთი კაცი მაინც დარჩა, რომელსაც რაღაც შიშისმაგვარი უგრძენია. ამით მტკიცდება, რომ იმ ერთ ვინმეს მაშინ მაინც შეჩერნია ჰეკუა-გონება. ცხადია, არ არის კარგი, როცა მოწმეს მარტო ბავშვი ადარდებს, მაგრამ; მეორე მხრივ, ნამდვილი დედა შვილის გულისათვის იქურდებს კიდეც, თუმცა ქურდობა კანონით სასტიკად აკრძალუ-



ლია. საკუთრება საკუთრებაა და ვინც ქურდობს, იგი ტყუის, ხოლო უკმერბით ნი ტყუილსაც კრძალავს. შემდეგ მან წაიკითხა სიბრძნითა და უკმერბით აღსაცს მთელი ლექცია ადამიანების უსირცხვილობაზე, რომლებიც ატ-ყუებენ სასამართლოს, გათახსირებულ გლეხებზე, უმანკო ძროხების რქეს. რომ წყალს ურევენ, ხელისუფლებზე, რომლებიც დიდ გამოსაღებს ახდევინებენ გლეხებს, და ბოლოს თქვა, რომ მოწმეთა დაკითხვა დამთავრდა, მაგრამ უშედეგოდო.

შემდეგ ჩამოვარდა ხანგრძლივი სიჩუმე. მოსამართლე როგორლაც უმწეოდ გამოიყურებოდა. იგი აქეთ-იქით იცქირებოდა, თითქოს ვინმესაგან შველას ელოდა, როგორ მოება თავი ამ დახლართული საქმისათვის.

ხალხიც შეჩევითდა. ზოგიერთს კისერი წაეგრძელებინა, იქნებ თვალი მოვკრა დაბნეულ მოსამართლესო.

მაგრამ დარბაზში სიჩუმე სუფევდა. მხოლოდ გარედან თუ შემოღილა ხმაური.

შემდეგ მოსამართლემ ამოითხრა და კვლავ განავრძია:

—ამგვარად ვერ გავარკვეით, ვინ არის ნამდვილი დედა. ბავშვი ცოდვაა. ხშირია შემთხვევა, როცა მამები თავს არიდებენ მამობას და გარბიან, გარეწრები! მაგრამ აქ ორი დედა ეცილება ერთმანეთს. სასამართლომ მათ იმდენხანს მოუსმინა, რამდენიც საჭიროა — ხუთ-ხუთ წუთს და იმდასკვნამდე მივიდა, რომ ორთავე მწარედ ტყუის. მაგრამ ჩვენ ხომ უნდა ვიფიქროთ ბავშვზე, რომელსაც სჭირდება დედა. რაშესაღამე, უნდა გაირკვეს, ვინ არის ნამდვილი დედა.

და მან ბრაზიანი ხმით გასძახა სასამართლოს მსახურს, ცარცი მომიტანეო.

მსახურმა ცარცი მოუტანა.

—ახლა მიდი და იატაკზე მოხაზე იმოდენა წრე, შიგ რომ სამი კაცი ჩაეტიოს, —უთხრა მოსამართლემ.

მსახურმა დაიჩოქა და იატაკზე წრე მოხაზა.

— მომგვარეო ბავშვი, — ბრძანა მოსამართლემ.

ბავშვი დარბაზში შემოიყვანეს. მან ისევ ყვირილი მორთო და ანა-საკენ გაიწია. მოხუცი დოლინგერი აინუნშიც არ აგდებდა ირგვლივ ატენილ ხმაურს და შშვიდად განაგრძობდა:

—ცდას, რომელსაც ახლა მივმართავთ, ერთ ძველისძველ წიგნში წავწყდი და საჟეთესოდ მეჩვენება. ამ ცდის მოავარი ძინაშია სიყვარულის-კვალობაზე დადგინდეს ნამდვილი დედა. ესე იგი სიყვარულს უნდა მოვუწყოთ გამოცდა. სასამართლოს მსახურო, დააყენე ბავშვი წრეში!

მსახურმა ბავშვი ძიძას გამოართვა და წრეში დააყენა.

მოსამართლე ფრაუ ცინგლისა და ანას მიუბრუნდა:

— თქვენც წრეში ჩადექით, ბავშვს აქეთ-იქიდან მკლავზე ხელი გამოიყენოთ. კიდეთ და როცა განიშნებთ, ეცადეთ ბავშვი ცარცის წრიდან გაათრიოთ. ვისაც თქვენს შორის იგი მეტად უყვარს, გაღაძლევს და ბავშვიც მას დარჩება.

დარბაზი ახმაურდა. დამსწრენი ფეხის წვერებზე იღნენ და იმაზე დაობდნენ, თუ ვინ გაიმარჯვებდა.

მაგრამ როცა ქალები წრეში შევიღნენ და ბავშვს აქეთ-იქიდან ხელი ხელზე წავლეს, სიჩუმე ჩამოვარდა. ბავშვიც დადუმდა, თითქოს გრძნობდა რა უნდა მომხდარიყო. იგი ცრემლიანი თვალებით ანას შეჰყურებდა. და ი, ამ დროს მოსამართლემ მისცა ნიშანი.

ფრაუ ცინგლიმ მძლავრად მოქაჩა და ბავშვი ცარცის წრიდან გამოათრია. დარეტიანებული უყურებდა ანა ბავშვს. თითქოს არ სჭეროდა, რაც მოხდა. იმის შიშით, რამე არ დაუშავდესო, მან ბავშვს ხელი უშვა.

მოხუცი დოლინგერი ფეხზე წამოდგა.

— ასე და ამგვარად, — ხმამალლა თქვა ძან, — ლავადგინეთ ნაშდვილი დედა. გამოართვით ბავშვი ამ ბინძურ დედაյაცს. იპი ხელის ლუკაბულებლად ნაჭერ-ნაჭერ დაგლეგდა მას.

მოსამართლემ ანას თავი დაუქნია და სასწრაფოდ გავიდა დარბაზიდან. და ახლო-მახლო მცხოვრებლები დიდხანს უყვებოდნენ ერთმანეთს, როცა მოსამართლემ ანას ბავშვი მიაკუთვნა, თვალი ჩაუკრაო.

გერმანულიდან თარგმნა გიორგი მაჭურაძემ



# ქრისტიან და კულტურისტი



შოთა რუსე

## მამულით შთაგონეგული

ყოველი პოეტი ახალგაზრდობიდანვე ირჩევს თავის გზას ლიტერატურაში და შემდეგ მტკიცედ მიჰყევება მას. ეს არჩევნი, ერთი შეხედვით, სუბიექტურია, გაძირობებული თვით ხელოვნის ინდივიდუალური, პიროვნული თვისებებით, მაგრამ არის ორი ფაქტორი, რომელთა გავლენას ივი ვერ გაექცევა: გარემო, სა-დაც მას ცხოვრება უხდება როგორც მოქალაქეს, და დრო, როცა ლიტერატურულ ასპარეზზე გამოიდის. შემდეგ შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს, მაგრამ ის, რაც სულ პირველად დააჩნდება, არც ჭრება და არც ქრება, ბოლომდე მიჰყება შემოქმედს, თუნდაც რამდენადმე შეცვლილი, გარდაქმნილი სახით.

ფრიდონ ხალვაში აჭარის მთაში დაიბარა და აქვე დაიდო სათავე მისმა პოეზიამ. ეს იყო ნამდვილი ბედნიერება. ამის თაობაზე ამ ათობილ წლის წინათ ერთ-ერთ კრიტიკულ ეტიულში („ზღვა და პოეტი“) გიორგი სუხაშვილი წერდა: „ალბათ, ბევრ პოეტს ზეშურდებოდა სეთ გარემოში პირველი ამღერება. ივა ქმნის პოეტური სახეების აღმოჩენის, ახალი ფერებისა და ხმების პოვნის განუსაზღვრელ შესაძლებლობას“. და მართლაც, პირველი შთაგონეგულებანი, აქა-

რის მთებში რომ მიიღო, გახდა ფრიდონ ხალვაშის პოეტური ხმის, მისი თავისებურების მასაზრდოებელი წყარო. იგი ოდნავადაც ვერ გაანელა ვერც დრომ და ვერც სხვა ქვეყნებში მოგზაურობისას ნანახმა და განცდილმა.

სევე დიდი როლი შეასრულა ფრიდონ ხალვაშის პოეტური სახის ჩამოქალიბებაში იმ ფაქტმა, რომ მისი ჭაბუკობა და ლიტერატურული დებიუტი დაემთხვა დიდი სამამულო ომის პერიოდს, როცა ჩვენი ქვეყანა სამკვდრო-სასიცოცხლო ომს ეწეოდა გერმანული ფაშიზმის, ჰიტლერელი ოკუპანტების წინააღმდეგ. იმ გარემოებამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა „პუბლიცისტური“ ნაკადის ის მოჭაპება, თანამედროვეობის გამახვილებული გრძნობა, რაც ესოდენ შესამჩნევია ფრიდონ ხალვაშის პოეზიაში.

და განა მარტო პოეზიაში! ბოლო დროს ფრიდონ ხალვაშმა კალამი სცადა პროზასა და დრამატურგიაშიც და საკმაო წარმატებითაც. მისი მოთხოვნების პირველმავე კრებულმა „დათვის ხაფანგი“, რომელიც აჭარის სახელგამმა გამოსცა 1961 წელს, ქართული საბჭოთა პროზის ისეთი გამოჩენილი ოსტატის

ეს ლირუებები ფრიდონ ხალვაშის მო-  
თხრობებს უთუოდ გააჩნია. მწერალი  
ძლიერ სადაც, უბრალოდ წერს და ამბა-  
ვცც, სიუჟეტიც მარტივია, სწორხაზობ-  
რივი, მას პირდაპირ მიყვავართ ფინალი-  
საკენ რამე ზიგზაგების გარეშე. ამით  
ფრიდონ ხალვაშის მოთხრობა ნოველას  
უახლოედება, მით უმეტეს, რომ მოქმე-  
დება ხშირად დაძაბული და დრამატუ-  
ლიის.

მწერლის ყველაზე საუკეთესო მოთხ-  
რობად პირადად ჩვენ „გაყიფვა“ მიღვაჩ-  
ნია. ერთი შეხედვით, იგი „მოღერნის-  
ტულ“ ნაწარმოებად მოგვჩვენებათ ---  
დაწერილია პირველი პირით, არც ერთ  
პერსონაჟს არა აქვთ სახელი, როგორც  
ამას ლიტერატურული „მორა“ მოითხო-

ვდა იმსანად. მაგრამ გარდა ამ გარეულობისა, მსგავსებისა, „გაყოფას“ ოსებითად არაფერი საერთო არა იქვს „მოღერნიშმან“. იგი უაღრესად რეალისტური და იდეურად მახვილი ნაწარმოებია. სულ თრი თუ სამი ეპიზოდით მწერალი მასში ახერხებს გვიჩვენოს კერძომესაყუთრული ფსიქოლოგიის ანტიადამიანური ბუნება, მისი საშინელება.

მოთხრობაში ორი ძირითადი ხსიათია. — ცოლი და ქმარი. ორივე გამოკვეთილია რელიეფურად, კოლონიტულად, სტატურად, ისე, რომ შეითხვეს დიდხანს არ დაგიწყდება ისინი. განსაკუთრებით სრულყოფილია ცოლის მხატვრული სახე. რამდენიმე რელიეფით თვალწინწარმოგვიდგება კერძომესაკუთრული სულისკვეთებით გაუღენილი ქალი, რომელიც მზად არის დანაშაულიც კი ჩაიდინოს, ოლონდ თავისი ხარბი გული დაიცხოს. როცა ქმრისაგან ფუტებ ოჯახიდან გამოყოფას, გაყრას მოითხოვს, მისა სეჭიელს კიდევ შეიძლება გამოკუთხოვა გამართლება, მაგრამ როცა გაცოფისას საუკეთესო ჭურჭელს წინასწარ გადამალავს, მე შემრჩესო, იგი მარტო უსიამოვნო გრძნობას კი არ, ზიზღლაც ღოძრავ ჰკითხველში და არწმუნებს, რომ ამ პორტი ქალისაგან უარესიც არის მოსალოდნელი. და მართლაც, თავისი სისატყითა და არაუდამიანურობით შემზარვია ფინლური ეპიზოდი. ცოლი წინ გადაუდგება ქმარს, არ უშევებს მომაკვდავ მამასთან და თავის ამ უმსგავს სეჭიელს იმით ამართლებს, რომ ოჯახის გაყოფისას მათ უმცროს შვილს „ერგო“. „მამაშენი მისია, — ეუბნება იგი ქმარს, — ავადმყოფიც მისია... იმდენი ირბინე ექიმებზე, ქმარა. ახლა თვითონ შევიდეს. ავადმყოფი მისია...“ ამ შემაძრუნებელ სიტყვებს ამბობს ქალი, შვილების დედა! აა სანამდე შეიძლება ადამიანი მიიყვანოს კერძო საკუთრების ბრძა სიყვარულმა. მოთხრობის იდეა სწორედ აქ ჩნდება მთელი ძალით.

მოთხრობების პირველი კრებულის  
გამოცემიდან სამი წელიც არ გასულა,  
რომ ფრიდონ ხალვაში უკვე რომანით

წარსდგა ქართველი მკიონხველის წინაშე. პირველად ეს ნაწარმოები — „საყვედური“ უზრნალმა „მნათობმა“ გამოაქვეყნა. შემდეგ კი, 1964 წელს, ცალკე წიგნად გამოსცა „საბჭოთა საქართველოში“.

რომანი „საყვედური“ იმ ტროს დაბეჭდია, როცა ჩვენს ლიტერატურაში საყმანდ მომრავლენენ აბსტრაქტული მორალური კატეგორიებით მოვარჯიშე, უსახო და უფერული, დიდი იდეური ცხოვრებისაგან მოწყვეტილი და თავის თავში ჩაეტილი „დადგბითი“ ჰერსონაური, რომლებზეც გარკვევით ცერაფერს იტყოდი. მათგან მკეთრად განსხვავდებოდა „საყვედურის“ მთავარი გმირი ტერაბ ხაბახი. იგი კომუნიზმის იდეით შთაგონებული ახლგაზრდა კაცია, რომელიც არავითარ დაბრკოლებას არ უფრთხის და მტკიცედ მიიწევს წინ ერთხელ არჩეული მიზნისაკენ.

რომანს გარკვეული აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ახალი ადამიანის ფორმირებას, ჩვენს ახალგზრდობის გამსჭვალვას კომუნისტური სულისკვეთებით. ყველაფერი ეს კარგია და მოსაწონი, შაგრამ რომანს, სამწუხაროდ, არსებითი ნაკლოვანებანიც გააჩნია. განსაკუთრებით აენო ნაწარმოებს შიშველმა ტენდენციურობამ. მწერალი სინამდვილეს კი არ დაეყრდნო, ფაქტების, მოვლენების ურთიერთშებირიბისირებით და განზოგადებით კი არ მოვიდა იდეამდე, არამედ პირიქით, ჭერ იდეა შეიმუშავა და შემდეგ შეეცადა მისვეის მიესადგებინა. საჭირო ცხოვებისეული მასალა. ამით აისხება, რომ რომანს აშეარად გადაჰყავს იღების ილუსტრაციის ელფერი და არც გარემოა ყოველმხრივ დამაჭერებელი. არა გვეონია, ახლა საქართველოში საჭმე იყოს ისეთი ჩამორჩენილი სოფელი ან სოფლის თავიაცები, როგორიც რომანშია. მაგრამ სწორედ ამგვარი გარემო ესაკარისობოდა და განზრახ გამსუქავები. ჩორცესასხმელად და განზრახ გამსუქავები. ჩანს, აქ თავი იჩინა ავტორის გამოუცდელობა — „საყვედური“ ხომ

მისი პირველი რომანი, პირველი დიდი ტილო იყო.

არანაკლებ საინტერესოა ფრიდონ ხალვაშის დრამატურგია. დღემდე მან სამი პიესა დაწერა და სამიცე დადგა ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უ თეატრში, ხოლო ერთი მათგანი „ცაზის ტირილი“ ფოთის თეატრშიც წარმოადგინეს.

თეატრალური კრიტიკა და მაყურებელი გულობილად შეხვდნენ ფრიდონ ხალვაშის პირველსაც პიესას „ხიხანის ძალი“, რომელიც მან, პირველად ქართულ დრამატურგიაში, სცადა ერვენებით და წინაპართა ბრძოლა უცხოელთა ბატონობის ულლისაგან განთავისუფლებისა და დედა-საქართველოსთან შეერთებისათვის, მოეცა ამ მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი მეთაურის, სახალხო გმირის სელიძ ხიმშაველის მხატვრული სახე. ეს მეტად რთული ამოცანა იყო და, ბუნებრივია, პიესა უნაკლო არ აღმოჩნდა.

დრამატურგიულად უფრო ძლიერია ფრიდონ ხალვაშის მეორე პიესა „ვაზის ტირილი“ („გაზაფხულის ცრემლებინ“). მიუხედავად სენტიმენტალიზმის ერთვარი მოჭარბებისა, იგი სიმართლით მოვრთხობობს ომის საშინელებაზე, იმ უბედურებაზე, რაც ომმა მოუტანა ხალხს. ვინ იცის, რამდენი ვაჟაცი შეიწირა მან, რამდენი ოჯახი დაანგრია, წაართვა სიძარული, გზა-კვალი აუზნია და გადაერგა. დიდი იყო ჭირი, მაგრამ ქართველი კაცი მაინც ვერ გატეხა, იგი ძველებური სიყვარულით უვლიდა ვაზს, ახარებდა სიცოცხლეს, ზრუნავდა კერის ღირსებისა და ოჯახის სიმტკიცისათვას.

მთლიანად პიესა თავისი იდეური მაკვილით მიზართულია ომის წინააღმდეგ და მიზანსაც აღწევს, მაგრამ ამავე ტროს იგი გვიჩვენებს ქართული ოჯახის ტრადიციებს, მის პატიოსან ფუძეს და სიმტკიცეს, ჭირში გატეხობლისა და თავიდან ბოლომდე პატრიოტულად ეღორს.

უველაზე სრულად და ყოველმხრივ შემოქმედის ნიჭი ფრიდონ ხალვაშმა მაინც პოეზიაში გამოავლინა და ქართვე-



ლი მკითხველიც მას უპირველეს ყოვლისა იცნობს როგორც პოეტს. მისი ლექსები იძექდება როგორც ადგილობრივ, ისე რესპუბლიკურ და ცენტრალურ ურჩნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად რუსულ და სხვა ენებზე, სულ მაღალ ფრიდონ ხალვაშის პოეზიას უკრაინელი მკითხველიც გაეცნობა — კიევში გამოდის მისი ლექსების კრებული უკრაინულ ენაზე.

ლექსები, პოეზია ფრიდონ ხალვაშია ჯერ კიდევ ადრე ბავშვობაში შეიყვარა. ექვსი წლისა იყო იგი, როცა უფროსი და-ძმის წყალობით კითხვა ისწავლა და მაშინვე დაეწავა წიგნებს. განსაკუთრებით იტაცებდა ლექსები, პოემები. მშობლებმა წერა-კითხვა არ იცოდნენ, ცოდნის წყურვილი კი, როგორც საერთოდ ყველა ქართველს, არ აკლდათ და აი მათ, შეიქლება საცხებით უნებლიერ, ხელი შეუწყვეს ბავშვში პოეზიის სიყვარულის გალვიძებას. ერთ-ერთ გამოუქვეყნებელ „ავტობიოგრაფიაში“ პოეტი იხსენებს თავის ბავშვობას და წერს: „მშობლები ხშირად დამსვამდნენ გაჩაღებულ ბუჩართან ზამთრის დიდ ღამეში და ხმამაღლა მაჟითხებდნენ ილიასა და აკაის პოემებს. დაახ, განსაკუთრებით უყვარდათ ლექსად დაწერილი ამბავი. მრავალჭერ წამაითხეს „კაკო ყაჩალი“, „თორნიკე ერისთავი“ და „დიმიტრი თავდადებული“.“

პირველად, აღბათ, ზამთრის გრძელ ღამეში ამ პოემების კითხვისას ჩაფიქრა ჯერ კიდევ ბავშვი საქართველოს წარსულმა და აჭარის ბედმა. რატომ მოხდა, რომ სხვა კუთხები წინ წავიდა, მისი აჭარა კი ჩამორჩა? „ხშირად ჩაგვაფიქრებივარ, გავუტაცნივარ აჭარის ბედს, მის წარსულს, — წერს ფრიდონ ხალვაში იმავე „ავტობიოგრაფიაში“. — გვლს მიკლავდა, უცხო და ძველი შავი გადანაშოთების განუუჩნავი ტკივილები რომ ჯერ კიდევ იგრძნობოდა... და შემცირალა აჭარა, რომლის წარსული თანდათან გაეიცნი. მომინდა რითმებ ცოტათ მანკცნ მივხმარებოდი ამ უძველეს მოწინავე ქართულ მხარეს, რათა იგი კვლავ გატოლე-

ბოდა უფრო წინ წასულ სხვა კუთხების გამომართვისას შესახებ მესაუბრა ჩემს მეზობლებთან. ასეთი საუბარი მხოლოდ პატიოსანი ლექსით შეიძლებოდა“.

ეს სურვილი მაღლ ცხოვრების შინაღი იქცა, დაუკეტებელ მისწრაფებად და ფრიდონ ხალვაშიმა ბავშვობაშივე დაიწყო თავისი ფიქრისა თუ განცდის ლექსად ჩამოქნა. ჯერ თავისთვის წერდა, ჩუმჩუმად, ვიღრე არ იგრძნო, არ დარწმუნდა, რომ ლექსად თქმა მისი მარტო სურვილი კი არა, მოწოდებაც იყო. გასაგებია, რომ პოეტის პირველი სტრიქონები აჭარის ბედით, მისი ცხოვრებით, ყოველდღიურობით იყო შთაგონებული. მაღლ დიდი სამამულო ომიც დაწყო და ეს ყველასათვის ამაღლევებელი თემა მოულოდნელად შეიჭრა ფრიდონ ხალვაშის პოეტურ სამყაროში და, როგორც უკვე ვთქვით, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მისი პოეზიის ხასიათი.

დიდმა სამამულო ომმა შესძრა მილანები, გაუმახვილა ადამიანს როგორც ეროვნული, ისე სოციალური გრძნობა, წინა პლანზე წამოსწია მისი მოქალაქეობრივი ღირსება და მოვალეობა. პოეტის შემოქმედების ძირითადი თემა გახდა ადამიანი და ომი, რომელსაც გამოგვცემდა დროის მოთხოვნათა შესაბამისად — პუბლიცისტური სიმახვილითა და სიმწვავით.

რა თქმა უნდა, „პუბლიცისტური“ სრულიადაც არ ნიშნავს უმოციო, მშრალ რიტორიკას, ლიტონ დეკლარაციას. ფრიდონ ხალვაშის საუკეთესო ლექსებს ომზე არ აკლია გრძნობა და ემოციურობა. ისინი სწორედ ამ ღირსებით გამოიჩინიან. მათში ჩანს ადამიანი, რომელიც საზოგადოებრივ მოვლენათა ფარვატერში, ხალვის ცხოვრების წალში ტრიალებს და ვისოფისაც საზოგადოებრივი და პირალული ცალ-ცალებე კი არ არსებობს, ერთმანეთს ერწყმის და მთლიანობაში წარმოგვიდგება. „მსურს ლექსი შევემნა ფოლადის ტაბის და კომუნიზმის კადელში ჩავდო“, ამბობს პოეტი და ეს მისწ-



რაფება განსაზღვრავს მისი ლექსის, მთელი მისი პოზიციის ხასიათს.

„სამღერა გმირ ჭინჭარაძეზე“ იყო პირველი ლექსი, სადაც მეაღიოდ გამოვლინდა ფრილონ ხალვაშის მხატვრული პოზიცია, მისი ლექსის ლირსებები. იგი იწყება პირდაპირი მიმართვით გმირისადმი: „რა გრიგოლები გააპე, რა ბრძოლები გაქვს ნახული“ და მაშინვე ლექსში შემოდის დედის სახე: „ქარის გრიალში გესმოდა მშობელი დედის ძახილი: „მტერს დაუბრნელე სიცოცხლე, ხმალი არ გქიცდეს დახრილი“. დედის ძახილი აქ საჩხობლოს ძახილიცაა. ლირიკულ სითბოსთან ერთად მას ლექსში შეაქვს საბრძოლო სულისკვეთება.

ლექსის დასკვნითს სტრიქონებში კელა ჩნდება დედის სახე, მაგრამ ამჭერად ამ გარემოსთან ერთად, სადაც გმირი იძრდებოდა და დავაკაცდა. ყველა დასტირის უდროოდ დალუპულ გმირს, დასტირის მას მთელი სოფელი, მშობელი დედა. დიდია საერთო მწუხარება, მაგრამ დედის ნაღველი მაინც სხვაა, იგი უსაზღვროა. თოქოს მოალოდნელი იყო, რომ ახალგზრდა პოეტი შეცდებოდა გასაქანი მიეცა სენტიმენტური გრძნობებისათვის, გული აუზუყბინა და ამ გზით მოხებდა მკითხველი, მაგრამ იგი არ აპყვა ცდუნებას, გამოიჩინა საჭირო ტაქტი და ზომიერება. პოეტი მხოლოდ ორი სტრიქონით, ორი-ოდე დეტალით გვიხატავს მწუხარე დედის სახეს — ეს არის ცრემლი და შვილის ბარათი, ამიერილან მისი სიცოცხლის მუდმივი თანამგზავრი. საგულის-ხმია ისიც, რომ ახალგზრდა პოეტი ლექსს ამთავრებს მაჟორული აკორდით. სევდა-ნაღველს, საერთო მწუხარებას ძლევს იმის შეგნება, რომ ისრაფილ ჭინჭარაძე აჭარის პირველი გმირია, აღაშიანი, რომელმაც თავისი სიკედილით დააბარცხა თვით სიკედილი და უკვდავებას ეზიარა:

გვინებს მანიჯაური, —

შენი ეზო და ბაღნარი,

დედა ნატრული ცრემლებით

შენს ნაწერ ბარათს დახარის, და გვიხარია, რომ შენ ხარ ბირველი გმირი აჭარის.

ლიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ფრილონ ხალვაშის პოზიაში ომის თემა შეცვალა მშვიდობისათვის ბრძოლამ და შემდგომ განვითარდა პატრიოტული მოტივი. პოეტი ამ შემთხვევაშიც ძირითადად თავისი კუთხის — აჭარის სინამდვილეს ეყრდნობა, აქ ეძებს ცხოვრებისეულ მასალას. შემთხვევით როდი იყო, რომ არა თუ ლექსების ციკლს, მთელ კრებულსაც კი უწოდა „ფურები ჭოროხთან“.

ლექსებში, რომლებიც ამ ციკლში, („პორნის ხვაშიადი“) შევიდნენ, ფრილონ ხალვაში ძირითადად ასახავს აჭარის წარსულს, გვიჩერებს როგორც მის ტანგვავავებას, ისე გმირულ სულს, ღრმა ერთვნულ გრძნობას. გვვონია, რომ ლექსების ამ ჩატამა საცემათ დამსახურა ლიტერატურული კრიტიკის მაღალი შეფასება. „სანტერესო ლექსების ციკლი უკირონის ხვაშიადი“, — წერდა ვ. გოგოლაძე. — როცა ამ ლექსებს კითხულობთ და ძეველ ყოფას ადარებთ თანამდეროვე აჭარის მშრომელთა ცხოვრებას, სიარულით აღისებით, უსაზღვრო კმაყოფილებისა და წრფელი მაღლიერების გრძნობით განიმსვალებით საბჭოთა ხელისუფლებისამდი, რომელმაც ბნელეთში შეანთა და ნამდვილი ადამიანური სიცოცხლე დაამცირდა. ამიტომ ამ ლექსებს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ექვს ახალგაზრდობისათვის“.

აჭარას, მის წარსულს, უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ მის გმირულ ბრძოლის ფრილონ ხალვაში სხვა კრებულებშიც დიდ აღვილს უთმობს, იგი მისი პოზიციის ერთ-ერთი მთავარი მოტივია. საგულისხმოა, რომ პოეტს ჭერ კიდევ სიჭაბუქეში გადაუწყებოს შეექნა ლექსების ცილი „ჩევნ — ქართველები“. ამის თაობაზე იგი წერს: „დამებადა ციკლი ლექსებისა, „ჩევნ — ქართველები“ (1947წ.). დიახ, ჩემი ფიქროთ, ასე ხმაღლა, გაღაჭრით და პირდაპირ იყო სათქმელი

ეს ჭრამარიტება. ით ის ლექსები: „ბალა-და მეჩონგურეზე“, „ჭოროხის ხევია-დი“, „გველი მარანი“, „ბალადა შოფერ-ზე“, „მენავე“.

ამ ლექსების უბრალო გადათვალიყრებაც კი საგამარისია შეუმცდარად განვაზღუროთ მათი პათოსი, ისე ნათელი და გამცვირვალეა პოეტის იდეური ჩანაფიქრი. მისი მიზანია გვიჩვენოს წინაპართა ერთგულება და თავდადება საქართველოსადმი, მათი ღრმა ეროვნული გრძნობა და მისწრაფება — ქართველები ქართველებადვე დარჩენილყოფნენ ყავილგვარ გვთარებაში. უკვე აქედან ჩანს, რომ ფრიდონ ხალვაშის სიყვარული აჭარისალმი — ეს იგივე საქართველოს სიყვარულია. კიდევ მეტი — თავისი აჭარა მას იმიტომ უყვარს ასე მგზნებარედ, ასე თავდავიწყებით, რომ იგი მუდად ერთგული იყო თავისი დედის — საქართველოსი და მარტოდმარტო, დაბყრობილი და ძმებს მოცილებული არ კარგადა მათთან კვლავ დაბრუნების იმუდს, არ კარგადა მნენებას, არ ნებდებოდა მტერს და უცხონბაშიც, უამრავი სიცოცხლისა და ზღვა სისხლის ფასად შეინარჩუნა ქართველობა.

საქართველო-აჭარის განუყოფლობის იდეა, რომელიც წითელი ძაფით გასდევს ფრიდონ ხალვაშის მოელ შემოქმედებას, პოეტმა დიდი მხატვრული ძალით, შთაგონებით გადმოგვცა თავის ერთ-ერთ ბრწყინვალე ლექსში „მე არ ვიქნები შენი სტუმარი“, რომელიც პირველიდ აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე წაიკითხა თბილისში 1957 წელს. უკვე პირველივე სტრიქონებით პოეტმა, როგორც იტყვიან, დაიბყრო აუდიტორია. მას სულგანძულ უსმენდნენ და, კითხვა რომ დამთავრა, დარბაზმა მეუხარე ტაშით დაჯილდოვა იგო. მასთან მიღიოდნენ ნაცნობები და უცნობები, ეცველნენ, ხელს ართმევდნენ, გულწრფელად ულოცავდნენ ბრწყინვალე და სავსებით დამსახურებულ წარმატებას. შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ სწორედ იმ დღიდან მიიცია ფრიდონ ხალვაშმა ქართველი მკითხველი საზო-

გადღებრიობის ყურადღება და მაჟულიტიკურა მთელ საქართველოში ცნობილი პოეტი გადა.

რა თქმა უნდა, ლექსი „მე არ ვიქნები შენი სტუმარი“ მარტო თავისი იდეური ჩანაფიქრით როდია ლრსშესანიშნავი. იგი გვხიბლავს შესრულების მაღალი დონითაც. მასში ბევრი ბრწყინვალე ტრიპასა, რომელიც ცხადყოფენ პოეტის ხალას მხატვრულ ნიჭის. საილუსტრაციოდ ჩვენ ამ მშვენიერი ლექსის მხოლოდ ერთ ტაებს მოვიტანთ.

რა გლოვად ვიყავ, რა დასანახი, ჭოროხს მეწამულ ფერში უცლია, საქართველოში, ალბათ, კალმახი მიტომ სისხლისფრად დაწინწერულია.

მოღვაწეობის თითქმის ოცდათი წლის მანქილზე ფრიდონ ხალვაშმა ბევრი სხვა კარგი ლექსი მიუძღვნა აჭარას, საქართველოს, რომელებშიც გამოხატა ქართველი კაცის დამოკიდებულება ახალი, თავისუფალი და ბედნიერი საშიბლოსადმი. პატრიოტიზმი იყო და არის მისი პოეზიის უმთავრესი წამყვანი მოტივი. „მამულზე ახლოს არ ყოფილა ჩემთან არავნი;“ წერს პოეტი ლექსების უკანასკნელ კრებულში „ნუგეში“. და ჩვენც ეთანხმებით მას. ეს გან სიტყვითაც ცხადყო და საქმითაც დაამტკიცა. მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ფრიდონ ხალვაშის ლექსებს საშიბლოზე, ამ ბოლო ღრმოს, თითქოს შეუმნისად, ერთფეროვნება შეეპარა. იშვიათია ახალი მოტივი — იგივე სამასი წელი თუ როველი, იგივე ვენახი და წარსულის ტკივილების გახსენება, ხიხანის ციხე და სხალთის ტაბარი. სამწუხაროდ, არც რაუზრია ახალი, რომ უკვე ნაცნობ მოტივს სიახლის ელფერი გადაპრავდეს. ჩანს, პოეტი ეყრ ამჩნევს, რომ უნებლიერ იმეორებს ძველ მოტივებს, გამეორება კაგარდულად წარმოშობს ერთფეროვნებას.

პატრიოტულ ლექსებს ფრიდონ ხალვაშის შემოქმედებაში მცილოდ უკავშირდება „მოგზაურული ლექსები“, თუ შეი-

ძლება ასე უწმოდოთ იმ ნაწარმოებებს, რომლებშიც პოეტი გადმოვცემს სხვა ქვეყნებში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს.

მოგზაურის პირველი ჩანახატები ფრილონ ხალვაშის პოზიაში 1948 წელს გაჩნდა. მართალია, მაშინ პოეტი უცხოუში არ ყოფილა, ჩვენსავე ქვეყანაში, შეუა აზის რესპუბლიკებში იმოგზაურა, მაგრამ იგი მაინც პირველი იყო აქარაში მომუშავე მწერლებს შორის, რომელიც სხვა ხალხების ცხოვრებაზე ესაუბრა მკითხველებს. ლექსების ციკლი „ნავოის ქვეყანაში“ გვაცნობს მოძმე უზბეკი ხალხის ცხოვრების ცალკეულ სურათებს. მათგან ჩვენ ძლიერ კოლორიტული გვეჩევნა „წყაროსთან“. მასში პოეტი შესანიშნავად იყენებს ხალხურ წევულებას იმის ნათელსაყოფად, თუ რა ფასი აქვს ამ ქვეყანაში წყლის წვეთსაც კი. მაგრამ ლექსების ეს ციკლი, პირდაპირ უნდა ითქვას, მხატვრული თვალსაზრისით ძლიერი არ არის, არც ერთი ლექსი არ დგას ფრილონ ხალვაშის საუკეთესო ლექსების დონეზე. მიუხედავად ამისა, მან გარკვეული დადგითი როლი შეისრულა პოეტის შემოქმედებით ბიოგრაფიაში. საკმარისია კოქათ, რომ უკვე მასში ჩინიახა ფრილონ ხალვაშის „მოგზაურული ლექსების“ ერთი მთავარი თავისებურება — უცხოეთში ყველაფერს შეხედოს ქართველი კაცის თვალით.

სამოციან წლებში ფრილონ ხალვაშის საზღვარგარეთის ბევრი ქვეყანა მოიარა — იყო ვეოტნამში, ჩინეთში, ამერიკას შეერთებულ შტატებში, პოლონეთში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბოლოს, მეზობელ თურქეთში და თავისი შთაბეჭდილებანი რამდენიმე ლექსების ციკლით გაგვიზიარა — „ვაშა, ვიეტნამი!“, „ჩვენებურები თურქეთის გზებზე“, „მეგობართა გულები“ და სხვა. ამ ლექსებში ჩვენ უფრო დწვრილებით შეეჩერდებით, თურდაც იმიტომ, რომ აქარაში მომუშავე სხვა პოეტების შემოქმედებაში მსგავს ლექსებს თითქმის სრულებით არ ვხვდებით.

ფრილონ ხალვაშის „მოგზაურული ფრილონ ქვეყნებში“ ერთი უმთავრესი ღირსება, ჩვენი მოციანია აზრით, ის არის, რომ ემყარება ცოცხალ სინამდვილეს, ცოცხალ შთაბეჭდილებებს, უშუალოდ ცხოვრებას რომ აღუძრავს მასში. უკლებლივ ყველა ლექსის საუკედლად უდევს რამე კონკრეტული ფაქტი, კონკრეტული შემთხვევა, რომელსაც მწერალი განაზოგადებს და პოეტურ უკონიშვნად აქცევს.

ი ერთი მაგალითი.

ორიოდე წლის წინათ ფრილონ ხალვაში ქართველ მწერალთა გვიფთან ერთად იმოგზაურა მეზობელ თურქეთში და იქ შეხვდა ჩვენებურებს — ამ სახელმწიფო ში მცხოვრებ ქართველებს. ერთმა მათგანმა შინ მიიწვია პოეტები, ქართული ლექსები მომასმენინეთ, თქვენებური ქართული გამაგონებოთ. პოეტები მართლაც ეწვიონ ნასანძელს და ასე გაიმართა ქართული ლექსის დიდი სალამო სტამბოლის ერთ-ერთ ქუჩაზე ქართველი კაცის სახლში. ის ეს კონკრეტული ფაქტი დაედო საფუძვლად ფრილონ ხალვაშის ლექსის „ქართული ლექსის სალამო“, რომელიც შევიდა ციკლში „ჩვენებურები თურქეთის გზებზე“ და გვიმხელს ქართველი კაცის ეროვნულ გრძნობას.

ასევე სხვა ლექსებშიც — კონკრეტული ფაქტის განზოგადებით პოეტი ხატავს აღამიანის სოციალურ, ეროვნულ თუ მოძრალურ სახეს, გვიჩვენებს მისი სულის დიდსა თუ მცირე რხევას.

ქართველი კაცის დიდი და წმინდა ეროვნული გრძნობითა შთავინებული ფრილონ ხალვაშის ლექსი „მითხარ, როგორაა მემლექეთი“ ლექსების ამავე ციკლიდან. მემლექეთი — ეს საშობლოა, ასე ეძახიან საქართველოს თურქეთში მცხოვრები ქართველები. მათ ყველაფერი აინტერესებთ, რაც კი ახალ საქართველოს შეეხება, და პოეტი სიმართლით, თანაგრძნობით გაღმოვცემს ამ ინტერესს, სევდას უნახავ საშობლოზე.

სულ სხვა მხრივ არის საინტერესო ლექსების ციკლი მებრძოლ ვიეტნამზე, ფრილონ ხალვაში, როგორც ვთქვით,

მუდამ გამოირჩეოდა მოვლენის პუბლიკისტური აღქმით, პოლიტიკური სიმახვილით. ეს თავისებურება ჩანს პოეტის „ვიეტნამურ ლიტერატურშიც“ (ძველი რედაქციით „ვაშა, ვიეტნამი!“). ვიეტნამელები უბირველეს ყოვლისა იბრძვიან საშობლის, როგორც ერთიანი ეროვნული ორგანიზმის გამოთიანებისათვის, მაგრამ ბრძოლის ფარველები შორს სცილდება ეროვნულ მისწავლებას. მთავარია სოციალური განთავისუფლება, საიგონის მარიონეტული ჩეუიმის დამხმა. ამერიკის იმპერიალიზმის ყაჩალური ბერესა სამხრეთ ვიეტნამში იმ ბინძურ ზრახვას ემსახურება, რომ არ დაუშვას იქ სახალხო ხელისუფლების გამარჯვება, სოციალიზმის გზით განვითარება. პოეტიც იმ გარემოებას უსვამს ხახს თავის ლექსებში. „ვიეტნამი გლეხისა და მუშისა“ — აი რა სურს მოელ ვიეტნამელ ხალხს.

ფრიდონ ხალვაშის ლექსებს მებრძოლ ვიეტნამზე ფართო საზოგადოებრივი ჩეზონანის ჰქონდა. ქართულ გაზეობები გამოიწვეუნდა საქართველოს ინფორმაცია სათაურით „ვაშა, ვიეტნამი!“. მასში ნათქვამი იყო, რომ „პოეტმა მართლად ასახა თავის ლექსებში მშვიდობისმოყვარე ვიეტნამელი ხალხის გმირული ბრძოლა“, ამასთან ერთად იყო იუწყებოდა, რომ „პოეტის ლექსების ნაწილი ვიეტნამურ ენაზე ითარგმნა და ჰანიოში გამოიწვეუნდა“. ფრიდონ ხალვაშის ლექსები ვიეტნამზე რესულადაც ითარგმნა, რომელთავან ერთი გაზირ „პრავდაში“ დაიბეჭდა.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეით არის შთაგონებული ფრიდონ ხალვაშის ლექსების მეორე ციკლიც „მეგობართა გლეხები“, იგი ედლვნება მომბე სოციალისტურ ქვეყნებში — უნგრეთში, ჩეხისლოვაკიასა და პოლონეთში მოგზაურობას. ციკლის ამ ლექსებს მეგობრულ გრძნობებთან ერთად თან ახლავს საქართველოს მხურგალე სიუვარული. ერთ აღრინდელ ლექსში პოეტი ამბობდა: „თუ წავალ სხვაგან, ვარ საქართველო“ და მართლაც უცხოეთში იგი ყველაფერს უდინერის ქართველი კაცის, საბჭოთა პატრიოტის თვალით, ეძებს მსგავსებას საქა-

რთველოსთან და უპირველეს ყოვლისაც ახარებს, რითაც ესა თუ ის ქვეყანის გვერდის საქართველოს, რაც სამშობლოს მთავრნებს — მიწა იქნება იგი, მღინარე თუ ადამიანი. „ჩვენებურსა ჰგავს აქაურ მიწის დედური სახე. მწიფე ბალები“, ასე იწყებს პოეტი თავის ერთ ლექსს („უნგრეთის მზე“), ხოლო სხვაგან („დუნაის მეორეზეებთან“) დუნაი წარმოსახუაში ენაცვლება მტკვარს: „მეც, ვითომ მტკვარში დაიგიარები, იმის ლანქერში ვისცელებ მუხლებს“.

ეს სტრიქონები ფრიდონ ხალვაშია უნგრეთში დაწერა, მაგრამ ასეთივე განწყობილება, ასეთივე სულისკვეთებაა წამყვანი სხვა სოციალისტურ ქვეყნებში შექმნილ ლექსებშიც. კიდევ მეტი, ზოგჯერ მთელი ლექსი ქართულ თემაზეა ვაშლილი. ასეა, კერძოდ, ლექსებში „ქართულ საფლავთან პრაღაში“ და „პოლონეთში, ბათუმზე“. ია ამოტომ ვჯიქრიბთ, რომ პოეტის „მოგზაურული“ და პატრიოტული ლექსები მშეიღრო კავშირშია ერთმანეთთან, ისევე განუყოფელია, როგორც პატრიოტიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი.

არანაკლებ საინტერესოა ამერიკის შეერთებულ შტატებზე დწერილი ლექსების ციკლი „მოგზაურის ჩანახატები“, რომელშიც ფრიდონ ხალვაში აღმრავს თანამედროვეობის უველაზე საჭირობოროტო პრობლემებს. ამერიკა დღეს უმთავრესი კაპიტალისტური ქვეყნაა, ტექნიკურად დაწინაურებული, მდიდარი და, ბუნებრივია, თავისი საერთაშორისო წონით დიდ გავლენას ახდენს მსოფლიო პოლიტიკზე, კაცობრიობის ბეღზე. პოეტისთვისაც უპირველეს ყოვლისა მით არის საინტერესო ეს კაპიტალისტური „ელდორადო“. გან საკუთარი თვალით ნახა სახელგანთქმული ამერიკული ცათვების ბიბლიოთის გადაუქარებელად მოვითხოვ ისეთ ლექსებში, როგორც „სიყვარული მიჩიგანის ტბასთან“, „ბროდვეი“ და სხვა.

და მაინც, ამერიკის ავ-კარგის ჩვენება სრულიადაც არ არის მთავარი ფრიდონ ხალვაშის ლექსებში. დე, ამერიკელებმა ისე იცხოვონ, როგორც სურთ, როგორც მოსწონთ. ბოლოს და ბოლოს, ეს მათი შინაური საქმეა. მაგრამ ამ დიდ ქვეყანას დიდი პასუხისმგებლობაც აქეცეს მთელი კაცობრიობის წინაშე. და როგორ ეკიდება ივი ჩვენს ქვეყანას, სხვა მშვიდობის მოყვარე ქვეყნებს, თანამედროვეობის ისეთ უაღრესად საჭირობოროტო პრობლემებს, როგორიცაა ომისა და მშვიდობის პრობლემები, — ყველაფერი ეს უკვე არარ არის მატრიცა ამერიკელების საქმე. და პოეტი გულისტკვილით წერს, რომ ბევრ ამერიკელს ჭერ კიდევ ვერ შეუგნია თავისი მოვალეობა, სამეცნიეროდ არ გვიშვდის ხელს და არ ილაშქრებს საკუთარი მთავრობის აგრძესიული კურსის წინააღმდეგ.

ჩვენ ამერიკისა არც არაფერი გვინდა, არც არაფერი გვშურს. ჩვენი ერთადერთი და გულწრფელი სურვილია ორივე ქვეყნის ურთიერთობა, როგორც მშვენივრად თქვა პოეტმა, და-ეფუძნოს საღ პრინციპს:

მეგობრობა — კი,  
ომი კი — არა.

ასე ბუნებრივად, შინაგანი კანონზომიერებით წამოიჭრა ამერიკის შეერთებულ შტატებზე დაწერილ ლექსებში ომისა და მშვიდობის თემა, რომელიც მუდა აღლვებდა პოეტს. იგი ომის დროს გამოვიდა ლიტერატურულ ასპარეზზე და კარგად იცის, თუ რა უბედურებაა, რა საშინელებაა ომი და რა სიკეთეა მშვიდობა.

„მშვიდობა არის სიცოცხლე ჩვენი საბედნიეროდ გახსნილი კარი, მშვიდელ მიწაზე მზის ჩანჩქერების მარადი ცვენა მშვიდობა არია.“

მაგრამ ამ დიდ სიკეთეს ემუქრება ომი, ემუქრებიან ომის გამჩაღებლები და მილიონობით ადამიანს თავის უპი-

რველეს მოვალეობად მიაჩნია იბრძოლოს მშვიდობისათვის, ყოველ ბუნებრივი ნისძიებით გზა გადაულობოს ომის მშვიდობის ხალვაშის მთელი სიმპათია მშვიდობის მომხრეთა მხარეზეა. მას ძაგლი იმი, ძაგლი იმიტომ, რომ ხალხებისათვის მას მხოლოდ უბედურება, ნგრევა და მსხვერპლი მოაქვს. იგი დედების ცრემლი და გოდებაა, ობლად შეუნილი ბავშვების ტირილი და ვაება. ლექსში „ომი იქნება?“ პოეტმა ლრმად განვითარებინა ის შეშფოთება, რასაც დედები განიცდიან ახალი ომის საფრთხის გამო. ომის საწინააღმდეგო პათოსითა გამსცვალული აგრეთვე უხალვაშის ლექსები „ბალადა ორ გზაზე“, „მეომრის დღიურილან“, „გლეხის ნათქვამი“, „მკვდარი ლითონი“ და სხვ. მათგან განსაკუთრებით შთამბეჭდავია „მკვდარი ლითონი“, რომელიც კრიტიკოს გ. ხეხაშვილის დახასიათებით, „ერთეულითი საუკეთესო ლექსია პოეტის შემოქმედებაში და საერთოდ ქართულ პოეზიაში ომისა და მშვიდობის ომისზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის“.

ომის წინააღმდეგ რომ ილაშქრებს, ფრიდონ ხალვაში სიამაყის გრძნობით შეყურებს თავის სამშობლოს, მოსკოვს, რომელიც მშვიდობის სამეცნ ბურჯს, მის დროშას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირს, მოსკოვს სასოებითა და იმედით შესცემერის მილიონობით კეთილი ნების აღმანიანი, დამოუკიდებლად პოლიტიკური რწმენისა, ეროვნებისა და რასისა: ბევრ მათგანს, როგორც მაგალითად, ზანკ მომღერალ რობსონს, იგი თავის სამშობლო მიაჩნია. ლექსში „რობსონი მღერის“ პოეტი სიამაყით ამბობს: „იგი სამშობლოს ეძახის რუსეთს, სინათლის გამჩენს ეძახის მოსკოვს“. თვითონ პოეტისათვისაც მოსკოვი — ეს მზეა, სი-

ნათლეა, მოელს ჩვენს პლანეტას რომ ეფრევევთ. „უახლოედები მე დედა-ქალაქს და მზის ამოსვლას ახლოდან ვხედავ“, წერს იგი ერთ-ერთ ლექსში („მოსკოვი“), ხოლო მეორეში აცხა-დებს: „ლალის ვარსკვლავი თვით ღა-მეში დილას აჩალებს“ („ორმოცდათო-თხმეტის დეკემბერი“).

ცალკე ნაკადს ქმნის ფრიდონ ხა-ლვაშის პოზიაში ლექსები, რომლებშიც იგი აღძრავს მორალის, ეთიკის პრობ-ლემებს და გადაჭრით ილაშქრებს ზო-გვიერთი მავნე გადმონაშთის წინალ-მდევ ადამიანის შეგნებაში. ეს თემაც ისე სრულად და ყოველშერიც არის წა-რმოდგენილი ფრიდონ ხალვაშის შემო-ქმედებაში, რომ ლირს მასზე საგანგე-ბოდ შევჩერდეთ.

პოეტის განსაკუთრებულ გულის-წყრომას იწვევს ყველაზე გამძლე, ყვე-ლაზე მავნე გადმონაშთი — კერძომე-საკუთრული ფსიქოლოგია, მოხვეჭისა და დაგროვების სურვილი. ზოგიერთი ისე გაიტაცა ფულმა, რომ უკვე ფუ-ლით, ქონებით წონის თავისისა თუ სხვის კაცობას. და რაც ისე ფიქრობს, აღარ ეთავისულია მოპაროს, მითვი-სოს, სხვას წაგლოჭოს, მზად არის ყო-ველგვარი სისაძგლე ჩაიდინოს, ოღონდ მეტი ფული იშოვოს, სიმდი-დრე დააგროვოს. ფრიდონ ხალვაშს საბჭოთა ადამიანისათვის შეუფერებ-ლად მიაჩნია მოხვეჭის, დაგროვების სულისკვეთება და გმობს მას რო-გორც უმსგავს საქციელს („რა არის ფული“, „ლექსი საჩუქრად“ და სხვა). ასეთ ადამიანებს არ ესმით, რომ ჩვენს ქვეყანაში პიროვნებას აფასებენ არა ნივთით, არა ფულითა და ქონებით, არამედ სულის სიმაღლითა და სულიე-რი სიმდიდრით. სავსებით მართალია პოეტი, როცა თავის გამდიდრებულ მეზობელს მიმართეს:

„კაცის ნამდვილი სიმდიდრე ფულზე არც იშოვება, არც იყიდება.“

(„სიმდიდრე“).

ასევე მკაცრად გმობს ფრიდონ ხალ-ვაში ბატონებურ დამოკიდებულებური მინიან ადამინებისამი, განლიდების მინიან და მისწრაფებას ჯებირი აღმართონ, ჯებირით გამოყონ სხვებს, თუნდაც უახლოეს, მაგრამ უკვე ყოფილ მეგო-ბრებს („ჩემს ყოფილ მეგობარს“, „უნდა გიყვარდეს“). პოეტის აზრით, ადამიანი მხოლოდ მაშინ არის ლირუ-ლი, როცა ვანიცების, ღელაცების, ერთ ღიმილს მაინც მატებს ცხოვრებას, რო-ცა ეძებს სხვებთან დასაკავშირებელ გზებსა და ხილებს.

ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ ჩვენი შესანიშნავი ადამიანებით, ახალ ცხო-ვრებას რომ ამკილრებენ და კომუნი-ზმი თავიანთ უმაღლეს მიზნად, სიცო-ცხლის აზრად რომ მიაჩნიათ. მათი სა-ხელი მიღიონებია. მაგრამ კარგ ყანა-ზიც არის სარეველები და პოეზიის ერ-თი ამოცანა ისც არის, ხელი შეუწყოს ყანის გაწმენდას მავნე ბალან-ბულახი-საგან. ამ ამოცანას ემსახურება ფრიდონ ხალვაშის ლექსები, რომლებიც მიმო-ვითილეთ, და მთელი მისი პოეზია. „ცუდი რომ იყო, არის ადვილი, კარგი რომ იყო, უფრო ძნელია“, ამბობს პოეტი და მოგვიწოდებს ვაშენოთ ერ-თმანეთთან მისასვლელი ხილები „და გაზაფხულის ყვავილებივთ, ჩვენ ერ-თმანეთის ღიმილი გკრიფოთ“. ღიმილი, სიყვარული, სიცეოთ, მეგობრობა, რწმენა, ნუგეში, — აი რა უნდა ადა-მიანს, რა ამშვენიერებს, რა აღამაზებს მას, რა ხდის ცხოვრებას წარმტაცად და მიმზიდველად.

ლექსების ამ ციკლს უშუალოდ ეპ-ვრის ფრიდონ ხალვაშის პოპულა-რული ლექსი, მისი პოეზიის ნამდვილი გვირგვინი „გვენაცვალე“. მან სავსებით დაიმსახურა ლიტერატურული კრიტი-კის უაღრესად მაღალი შეფასება.

სამართლია ვთქვათ, რომ მისი გამო-ქვეყნებიდან ორიოდე დღის შემდეგ გაზეთ „კომუნისტი“ დაბეჭდა ვიქ-



ტორ გაბესკირიას რეცენზია „ერთი ახალი ლექსი“. თუ არ ვცდებით, ჩვენს ლიტერატურულ პრაქტიკაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა რეცენზია დაწერა ერთ, ცალკე აღებულ ლექსიზე. უკვე ეს ფაქტი მოწმობს, თუ რა ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა პოეზიის მოყვარულებზე „გენაცალემ“. მასში მთელი სისაցით გამოჩნდა პოეტის წიგის ძალა, მისი შემოქმედებითი შესაძლებლობა და უნარი.

ამ ლექსის ძირითად პათოს, როგორც სამართლიანად შენიშნავდა ვიქტორ გაბესკირი, „წარმოადგნს ერთი ლიტებული ქართული სიტყვის „გენაცალეს“ მნიშვნელობის განმარტება, შექება, მაგრამ ამ სულისკვეთების გამხელის განმავლობაში რამდენი სხვა რამეც გვითხრა პოეტმა, რამდენი იდამიანი დაგვანახა, რამდენის კრ-მილამში შევიყვანა, რამდენი ლამაზი პეიზაჟი დაგვიხატა! ამ ლექსმა, თუ მეტი არა, ერთი პატარა მოთხოვნის სათქმელი მაინც გვითხრა კონდენსისირებულად. მან გვაგრძნობინა საქართველოს ბუნების და მისი ხალხის სულიერი სილამაზე“.

ფრიდონ ხალვაში ეკუთხის, აგრეთვე, რამდენიმე პოემა — „ჩაღ-

რი“, „მამა“, „შოთა გონიოში“, „სინამდვილების ლე“, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ჩაღრი“. ეს პოემა ვრცლად განიიღო ღოც. ალ. ჩავლევილმა სტატიაში „აჭარა ფრიდონ ხალვაშის პოეზიაში“. კრიტიკოსის დასკვნით, პოემაში „ჩაღრი“ „ავტორმა გვაჩვენა დრომოჭმულის დამარცხება და ახლის გარდუგალი გამარჯვება. მართალია, ახლის გამარჯვება სქემატურად არის ნაჩვენები, მას აკლია ღრმა მოტივაცია და ეს ჩაითვლება ამ პოემის ძირითად ნაკლებანებად, მაგრამ მოლიანად პოემა უსათუოდ სოციალისტური რეალიზმის მეთოდით არის დაწერილი და ჭანსალი იდეის შთამაგონებელია“.

ფრიდონ ხალვაში ახლა შემოქმედებითი სიმწიფეის პერიოდშია. ერთ-ერთ ლექსში („შენით ცოცხალი“) იგი თვითის წერს: „და, როგორც ვაზი შემოღვმური, სულში სიმწიფეის მტევნებს განვიცდი“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გრძნობის ძალას განსკის ძალაც ემთება და მომავალში პოეტი უფრო ღრმად და სრულად განგვადლევინებს ჩვენი ღროის, ჩვენი სინამდვილის სიდიადეს.



## აკაკი შონია

### აჭარა-მესხეთის გზებზე

წლეულს შემოდგომა როგორ-  
დაც ჯიქურ შემოიტრა ჩვენში. აცი-  
ვდა. სექტემბრის პირველ დღეებ-  
შივე დაიძრნენ საკოლმეურნეო  
ჯოგები საზაფხულო საძოვრები-  
დან. ავტომანქანას, რომლითაც ჭა-  
რთველ პოეტთა ერთი ჯგუფი შე-  
უყვა აჭარის მთიანი რაიონების  
აღმართებს, ძალიან გაუჭირდა.  
ხშირად ნახირს გვერდს ვერ უვ-  
ლიდა და ჩერდებოდა. მწყემსებმა  
თქვეს, კატრიანისა და ყავრიანის,  
გრძელიგორის, ზოტიყელისა და  
კალოთის მიდამოებში თოვლის  
ყვავილი გამოჩნდა, ზამთრის მო-  
ახლოების უტყუარი მაცნე.

აქეთაც, ჭოროხის ნაპირებზე  
ნაზი ფერები შეპარვია არემარეს.  
ზიზილ-პიპილები არც ბუნებას  
უყვარს და არც პოეზიას. ერთიცა  
და მეორეც ხშირად უმარტვესი  
საშუალებებით იპყრობს ადამია-  
ნის გულს და გონებას. მოიგონეთ  
გალაკტიონი:

და ყოველივე როგორ ნაზდება  
როცა ახლა მზე შემოდგომის.

იმ დღეს, როცა პოეტები ჭორო-  
ხის ნაპირს მიჰყვებოდნენ, გვირ-  
გვინოსანი მნათობი არც კი გამო-  
ჩენილა. წვიმდა. წყალვარდნილებს  
მიწის ფერი ედოთ, ნამეტნავად  
ხმაურობდნენ, ახლა უფრო შოოს  
ისროლნენ შეფერდის. მღინარეც მო-  
ძალებული ჩანდა და ნაპარებს  
უტევდა.

ჭოროხი ათასგვარ ფიქრებს აღ-  
უძრავს ჭართველ კაცს. როცა იგი  
შმაგობს, მაშინ უფრო მოგინდება  
ხოლმე მოეფერო, ხელი გადაუს-  
ვა მის აქოჩრილ ტალღებს.

რა იყო ჭოროხო, რა მოგივიდა,  
რად ხარ გულფიცხი, საიდან მოა-  
გორებ ამდენ ქვასა და ღორლსა?

უნდა გაგიმხილო: როცა ჩვენს  
უურნალს შენს სახელს არქმევდ-  
ნენ, ზოგმა თქვა ახლა ჭართულ მი-  
წაზე სულ რაღაც ორმოციოდე კი-  
ლომეტრზე მოედინებაო, მისი ვე-

ტი ნაშილი იქეთა მხარესაა... ეჭ, ჩემო კარგო, სიყვარულს საზომა რად უნდა, ანდა მისთვის საზღვრის დადება ვინ გაიგონა. პოეტებმა კარგად იციან შენი სიგრძე და განი. მათვის შენი ერთი წევეთიც კმარა წამლად და მაცოცხლებლად. ამიტომაც მოგაყარეს ლექსები ბელტ-ბელტად.

ავტომანქანა კვლავ მიჰყვება ჭიარობის ნაპირს. იგი ჭერ კიდევ არ იყო კახაბერს გამოცილებული, რომ გიორგი სალუქვაძემ უკვე მოიმარჯვა სიტყვის ქამანდა. ორი მძლოლი გვყაფსო, მაგრამ ერთი წინა... მძლოლიაო და ფრიდონ ხალვაშ გულიანად გაუღიმა.

მართლაც, პირველად ფრიდონს მოუვიდა აზრად, მოეშეკოთ ჩვენი დიდი ეროვნული დღესასწაულისადმი მიძღვნილი პოეტური ტურნე. ეს აზრი მოეწონათ და მარშრუტად აირჩიეს გზა, რომლითაც 1921 წლის მარტში წითელი კვალერისტთა დივიზიიმ ულობას მეთაურობით გადმოლახა ვოდერძის უდელტეხილი, გამოვლო ხულო, შუახევი, ქედა და ბათუმში შემოვიდა თავისუფლების დროშით.

ახლა, ამ მარშრუტით პირველი გაჩერება ქედაში იყო მონიშნული და ფრიდონ ხალვაშმაც პირველად თავის მშობლიურ ქედას შემოუთვალა „მე არ ვიქნები შენი სტუმარიო“. თუ ასეა, მაშინ წონიარისს ეწვიეთო, უპასუხეს და პოეტები „ვაზისა და სიმინდების გზას“ გაუყენეს.

წონიარისი.

წელს აქ ბუნებამ მაგრა და ბერტყა კალთა. ჩხავერი ისეა დაზურგული, სადაცა დაბარბაცდება. ან ვაშლის ხეები როგორ უძლებენ ამდენ ტვირთს!

სადაც ღვინოს სტურავენ, იქ ულექსოდ და უსიმღეროდ ცხოვრება არ არის. ასეა აქაც. უკვართა პოეზია და ეს სიყვარული ამჯერდაც გამოავლინეს. პოეტებს თაიგულებითა და ტაშით შეხვდნენ. დიდებულ დარბაზში პირველი რიგი საპატიო ადამიანებს ეჭირათ, ამ ნახევარი საუკუნის წინანდელი დიდი სოციალური ქარტეხილების უშუალო მონაწილეებსა და მოწმეებს. ისინიც უკრავდნენ ტაშს.

და ეს ტაში, ღიმილი, სიყვარული ცველგან ახლდა პოეტებს ჩხავერით დალოცვილ გზებზე.

ნიგაზეცული.

საჭირო არაა, მაინცდამაინც ტაპნიმიკოსი იყო და სამეცნიერო ხარისხი გქონდეს, რომ მიხვდე, რატომ ქვია ამ სოფელს ეს სახელი. ნიგვზის ხეების ჩრდილშია აქ თითქმის ცველაფერი. თვით სელიშ ხიმშიაშვილის საგვარეულო ციხედარბაზის გადარჩენილ მაღალ; ქვის საძირკველზე მოუდგამთ ფესვები და ხარობენ, თავმომწონედ გადმოჰყურებენ ყანებსა და ბალებს, ქვითკირით ნაგებ ლამაზ ოდასახლებს.

ძველ, მაგრამ მტკიცე და დიდ საძირკველზე სკოლა აღმუმართავთ. აქვეა კლუბი, ბიბლიოთეკა და პევრი სხვა რამე. სკოლის ფრიცლოსა-

ნთა დაფას მეტწილად ხიმშიაშვილები, ცეცხლაძეები და კეკელიძეები ამშვენებენ. ისინი ცოდნას ისე ელტვიან, როგორც ირგვლივ შემოჯარული ტყეები, მცენარეები მანათობელ მზეს.

ამირან და თამაზ ხიმშიაშვილები საკუთარი ლექსები წაიკითხეს. ტრიბუნაზე არ ასულან, დაიმორცხვეს. ვინ იცის, იქნებ სხვებიც წერენ ლომგულ წინაპრებზე, თანამედროვეებზე; იქნებ უკვე დახატეს სელიმ ხიმშიაშვილის, ჩვენი ერის ერთანაბისათვის მებრძოლი კაცის მოჭრილი თავი, მტრებმა სტამბოლში ფეშქაშად რომ მიაოთვეს ერაგ სულთანს...

სტუმრებსაც და მასპინძლებსაც თითქოს გაეხსნათ ძველი იარა, გაგრამ „ხინანის არწივების“ ავტორის ხმამ წუთიერი დუმილი დაარღვია. „ყოო და მარად იქნებაო“ სამჯერ დაიფიცა მამია ვარშანიძემ თავისი ლექსის ცხრა საყვარო ისე, რომ ხელი სულ გულზე ედო (თურმე გულგიბეში ინახავდა ახალ ლექსთა კრებულს „ყიცს“, რომელიც შემდეგ მესხეთში უსახსოვრა ერთ საყვარელ ადამიანს).

პოეტური ტურნე გრძელდება. აღმართ-აღმართ მიღიან და უახლოვდებიან დიდებულ მესხეთს. მაგრამ ჯერ იქამდე სხალთაა გასავლელი.

სხალთის ტაძარი!

ჩვენთა წინაპართ სინდის-ნამუსი, სამარადეამოდ გადარჩენილი. სხალთის ტაძარი!

სისხლი და რჯული, ურგულებული მიერ ვერდაძლებული. სხალთის ტაძარი!

დედასამშობლოს სიყვარელი, ქვეში სათუთად გაცხადებული.

აქ, ამ ტაძარში დიდხანს მეფობდა დუმილი, სევდა. ახლა კი საუკუნეთა ჩურჩული ისმის.

პატარა მუზეუმი მოუწყვით.

მტრის ცეცხლით შერუჭული კედლები, ფერმიმქრალი ფრესკები მდუმარედ დაჰყურებენ ქვებზე ამოკვეთილ წარწერებს, გრძელულ ჩუქურთმებს, დაუანგულ ბაჭაბელისა და ბრძოლაში გაცემილ-დალებულ სატევრებს, დაგლეგილ ჯაჭვებსა და დამსხრებულ ბორჯილებს...

იმ დღეს აქ თითქოს კვლავ აგუგუნდნენ და დუმებული სამრეკლოები, აენთენ შანდლები და ჭაღები, გაცოცხლდნენ წინაპართა საყვარელი სახეები. ქართულმა ლექსმა, შოთას შაირმა გაათბო და გაანათა ცივი კედლები, მაღლა ასწია ტაძრის თავანი. ქალები, დროული კაცები თუ მოწიფული ვაჟკაცები, ჭაბუკები, ყველანი მოწიწებით იღვნენ ფეხზე და ისმენდნენ ქართულ ლექსს, ხარობდნენ სხალთის დიდებით.

ყველამ, სტუმარმაც და მასპინძელმაც, თავისი სათქმელი თქვა, ერთი-მეორეზე უკეთესი. გამორჩევით მაინც ზაქრო კეცერაძის გამოუქვეყნებელი ლექსი „მზე“ დააგილდოვეს მქუხარე ტაშით. ეს ჯერ კიდევ უცნობი შუახვევლი ყმაშვილი ცნობილ პოეტებთან ერ-

თად ლიტერატურულ საღამოებზე  
პირველად ნიგაზეულსა და სხალ-  
თაში გამოვიდა. მა ტაძარში მიიღო  
ნამდვილი კურთხევა. მან კითხვის  
მანერითაც მიიქცია ყურადღება:  
როცა მზეს მიმართავდა, ისე ბუ-  
ნებრივად, მოკრძალებით აღაპყ-  
რობდა ხელებს, კედლიდან ახლად  
ჩამოსული ფრესკა გეგონებიდათ.

გორგიმ აქ ერთი უსიტყვო მიზანსცენა გაითამაშა — ახალგაზრდაზურაბ გორგილაძეს მრავლის მეტყველად ანიშნა, ხედავ ვინ მოოისო.

მართლა ნიჭიერი ახალგაზრდები მოდიან მწერლობაში, მეტწილად სოფლებიდან, ბუნების წიაღში გაზრდილი ბიჭები. ამ პოეტური მოგზაურობის მონაწილენიც ხომ სოფლებიდან მოვიდნენ სხვადასხვა დროს. მათი ლექსები, პოემები, მოთხრობები და რომანები მეტწილად აქ იშვნენ, ჭოროხისა და აჭარისწყლის ხეობებში, აქაური სურნელი აქვთ, ამაყი მთებისა და მქუხარე ჩანჩქერების, მწვანე ბალახისა და მუობლიური მიწის მადლი სცხიათ.

პოეზიას სიხალვათე და სილა-  
ლე უყვარს. მოღური ავეჯით, ათა-  
გვარი სამშვენისით გაზიზინებულ  
ოჯახში ბავშვი თავისუფლად რო-  
დი გრძნობს თავს. ეს სერიული ნა-  
კეთობანი იქნებ კიდეც ბორეას  
და ბოჭავს მას, იქნებ ამიტომაც ამ-  
ტვრევს და ამსხვრევს!..

პოეტური და კეთილი ოდიოგან-  
ვე ერთიანობაში წარმოედგინა ქა-

ოთველ კაცს. ოუსთაველი ხომ ნიშანი ადაგ იმას ამბობს „ბორტუმანი არ არ არსება შისი სძლია კეთილმან არსება შისი გრძელიაო“. პოეზიის ჰეშმარიტ მოყვარულთა შორის ვის უნაბავს ავისმქნელი და ყიამყრალი. ამი- ტომ იყო სასიხარულო მოსწავლე- თა მოძალება ლიტერატურულ სა- ღამოებზე. პოეზია მათ ოცნებებს ფრთხებს ასხამს, უზადოდ აყვა- რებს დედა-სამშობლოს, შრომა- ში მარჯვენას უმართავს, სულის სიმშვიდესა და მხეობას უნერ- გავს.

ამ ორმოცდათი წლის შენათ,  
როცა წითელი კავალერიისტები  
მშრომელთა მოსარჩევედ გათუმი-  
საკენ მოღიოდნენ, აჭარაში არ  
იყო არც ერთი მშერალი. ახლა კი  
იმდენია, რომ უმათოდ შეუძლებე-  
ლია წარმოიდგინოთ თანამედრო-  
ვე ქართული ლიტერატურა.

აბ ორმოცდათი წლის წინაა  
წითელი კავალერისტები გულდა-  
ად მიიღო ზემოაჭარის მოსახლეო-  
ბაშ. პარტიის ხულოს რაიკომის პი-  
რველმა მდივანმა მიხეილ ბერიძემ  
გვიამბო, რომ, მომსწრეთა გაღმო-  
ცემით, ულელტეხილთან ულობას  
დივიზიას მშრომელთა დელეგაცია  
შეეგება. დელეგაციის წევრმა ხუ-  
ლოელმა შაია ბოლქვაძემ, რომე-  
ლიც მომეთა შორის ჩეულ კა-  
ცად ითვლებოდა, ლაშქრის მეოთხუ-  
რები შინ მიიწვია. მისი უმციროსი  
რძალი მუხთერი ემსახურებოდა  
სტუმრებს. შემდეგში შაიაც და  
მუხთერიც ახალი ცხოვრების მშე-  
ნებელთა წინა რიგებში ჩადგნენ,  
პასუხსაგები პოსტები ეწირათ.



დღეს არც შაიაა ცოცხალი, აღარც  
მუხთერი, მაგრამ არიან მათი მემ-  
კვიდრენი, რომლებიც იღწვიან და  
ქმნიან.

მიხეილ ბერიძემ პოეტებს ერთ-  
ხანს მეგზურობა გაუწია. გზად, მა-  
მისეულ კერიასთან ლამაზად უმას-  
პინძლა, მერმე გოდერძის უღელ-  
ტეხილამდე მიაცილა, გზა დაულო-  
ცა და წარმატება უსურვა მესხე-  
თის მიწაზე...

პირველი თოვლი მოსულა შოე-  
ბზე. ცივი ქარი ქრის. მზე კი ანა-  
თებს, მაგრამ არ ათბობს. ცინისძი-  
რის ყვავილეთში გაზრდილ ჯემალ  
ქათმაძეს მოაგონდა თოვლის ყვა-  
ვილი, გუშინწინ ჭოროხის ნაპირ-  
ზე რომ უხსენეს გრძელიგორიდან  
ჩამოსულმა მწყემსებმა.

და ნახეს იგი ყვავილი, თეორი  
კი არა, წითელი, სისხლივით შითე-  
ლი ყვავილი, ზამთრის სურნელით.

პირველ თოვლზე უფრო ამ ცვა-  
ვილს შეუშინებია მწყემსები; დი-  
დი თოვლის მაცნეაო.

ამიტომ ქვია თურმე თოვლის  
ჟვავილი.

გოდერძის უღელტეხილის სიმა-  
ღლიდან გონების თვალით აჭარაც  
კარგად ჩანს და მესხეთიც.

უკან დარჩა წონიარისი, ნიგაზე-  
ული, სხალთა, თვით ეს პატარა  
თოვლის ყვავილიც...

წინ არის მესხეთი, დიდებული  
მესხეთი, ქართული გენის წმიდა-  
თა წმიდა აკვანი, საოცრებათა მხა-  
რე.

ვარძია!

მსოფლიოს შვიდივე საკვირვე-  
ლება შემოგევლოს.

შენი ამშენებლის რა ბრალი მოვა  
რომ იმ სიაში არა ხარ.  
ვიღაცამ ნებისმიერად მერვედ  
თუ მეცხრედ მიგაწერა, მაგრამ შე-  
ცდა. შენ აგრე იოლად დასანოშრა-  
ვი არა ხარ.

რუსთავი, მესხეთის რუსთავი!  
პოეტური გენის თვალშეუდგა-  
მი მწვერვალი.

ახლა აქეთკენ მოიჩქარიან შენი  
ანასხლეტი მიზრაფები, რომ შენს  
მიწაზე აახმიანონ აჭარაში თქმული  
ქართული საგალობლები, მოვიტა-  
ნონ ამბავი სიცოცხლის გადარჩე-  
ნისა.

და ეს საგალობლები, ეს ამბავი  
საამოდ მოეფონება მესხეთას  
გულს. დღევანდელი აჭარა ხომ ის-  
ტორიული მესხეთის ნაწილია, სუ-  
ლით და ხორცით, ბედითა და უბე-  
დობითაც ერთი.

გოდერძის უღელტეხილის სიმა-  
ღლიდან მანქანა თანდათან დაბლა-  
ეშვება. უსიერ ტევრში გადის სა-  
კმაოდ განიერი და ლამაზი ცზა.  
ცზის ორივე მხარეს თვალს ხაბ-  
ლავს მწვანე ფერის ფაქიზი ნიუ-  
ანსები, სანთელივით ჩამოქნილი,  
ცისკენ ატყორცნილი კორომები.  
ყურათასმენას ატკბობს ჩიტების  
ჭიკჭიკი. მათ ბანს აძლევს წყაროთ  
ჩხრიალი.

აქ ცის გუმბათი ერთობ მაღა-  
ლია, თითქოს მანძილს იჭერს ადა-  
მიანის ხელთქმნილ გუმბათებისა-  
გან.

თვალსაწიერზე გამოჩნდა ზარზ-  
მა.



ირგვლივ მოფუსფუსე სოფელი.  
ბაღ-ვენახები.

ტაძრის კარი ღიაა. პირველი შედის ჯემალ ჯაყელი და გულმოდგონედ ეძებს სამცხის ათაბაგთა — — ჯაყელთა ფრესკებს. პოულობს და მუხლმოდრეკილი, ქედმოხრილი დგას წინაპართა, სამი ღვთის-მოსავი მოხუცის, შორეული აჩრდილების წინაშე.

— ეს ალბათ ამაღამ დასაწერი ლექსის ექსპოზიციაა, — ჩაიცინა ზურაბმა.

— გალაკტიონის „ნიკორშვინდის“ შემდეგ რა უნდა დაიწეროს, არ ვიცი, — ახლა უკვე სერიოზულად, მოწყენითაც კი თქვა ვიორგიმ და ჯადოქრის ხელით ატყორცნილ ალების აადევნა თვალი.

აქ რომ თაღებია,  
სვეტთა შეკონება,  
ისე ნაგებია,  
სიზმრის გეგონება.

ტაძრის გარეთ, ეზოში ერთი სიურპრიზი ელოდათ. ბავშვებმა ფრიდონ ხალვაში იცნეს, წუხელ ტელევიზორის ეკრანზე ვნახეთო. ფრიდონმა ძლივს მოიგონა როდის გადაიღეს, ბავშვებს ღიმილი აჩუქა და პოეტებს აღიგენისაკენ გაუძლვა.

ადიგენი ელოდა სასურველ სტუმრებს. პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ამირან მექვაბიშვილმა, ვიდრე ლიტერატურული საღამო დაიწყებოდა, პოეტებს გააცნო რაიონის ეკონომიკა, კულტუ-

რული ცხოვრება, ახლო მომავალის პერსპექტივები. ბევრი რამ თქვა გულგასახარი.

ლიტერატურული საღამოც გულთბილად წარიმართა. მისალმებები, ლექსები, ტაში, მაღლობა, ნობათები, ცველაფერი იყო.

შემდეგ მესხურ სოფელს უდეს ეწვივნენ. მესხური ოჯახები ნახეს, მესხური პური გატეხეს. ნამდვილი მეზობლური, მეგობრული, ნათესაური საუბარი გააბეს. სიამტკიბილობით დაამთავრეს ცველაფერი, ძვირფას მასპინძლებს გამოემშვიდობენ და ახალციპის გზას გაუდგნენ.

მესხეთის ცენტრი ლრმა ჰილმი იყო, როცა სასტუმროს კარებს მიადგნენ.

დილით მაინც თითქმის ცველას ჩვეულებრივ, დროზე გამოელგიმა. მარტო ზურაბი ახანებდა. როგორც შემდეგ გაირკვა, მას დასიზმრებია წალკოტი, საღაც მშვენიერნი ასულნი კითხულობდნენ ჯერალ ქათამაძის ლექსებს სიყვარულზე და მთელი ბუნება ტაშს უქრავდა, ოვაციას დასასრული არ უჩანდა.

ცველა სიზმარს და მოლოდინს გადააჭარბა ახალციპის თეატრში გამართულმა ლიტერატურულმა საღამომ. ეს იყო ჭკუა-გონებით, გრძნობით, იუმორით, სიხარულით, სიყვარულით შეზავებული, ცველაზე მომხიბლავი საღამო. და ამაში დიდი როლი შეასრულეს ამ რაიონის თაკვაცებმა, პირველ რიგში კი პარტიის რაიკომის პირველ-



მა მდივანმა შალვა გრძელიშვილმა. იგი პოეტისთან ერთად, ხელი-სელჩაკიდებული მივიდა თეატრში, სცენაზეც მათ გვერდით დაჭ-და და უზომოდ ხარობდა, რომ აჭარის შვილთა შემოქმედება ამ-დენ სიამოვნებას ანიჭებდა მესსე-თის საზოგადოებრიობას.

შალვამ მოელი ქალაქი შემოა-ტარა მწერლები. ხშირად ჩერ-ჯებოდა ახალშენებლობათა ხარა-ჩობთან. კარგა ხანს არ მოიცვალა ფეხი იმ აღგიღილან, სადაც მესხე-თის სახელმწიფო თეატრის ახალ შენობას აგებენ. წყენაც შეეტყო -- ამ დიდებულ ნაგებობას ჩვე-ნი ეროვნული ზეიმის წინ უნდა შემოხსნოდა ხარაჩოები, მავ-რამ რაღაც მიაკლეს და ახლა ვე-ღარ მოესწრება.

შესხეთის სახელმწიფო თეატრს მთელი ამ მხარისათვის თავისებუ-რი მძიშვნელობა აქვს და რაიონის ხელმძღვანელობაც ამიტომ არის თავგამოდებული, თეატრის დასა-ყოველმხრივ უწყობს ხელს და ექ-მარება. ღირსიც არის. ეს ცხადყო ამ თეატრის ამასწინანდე-ლმა გასტროლებმა აჭარის დედა-ქალაქში.

არც წარსულია უყურადღებოდ. მწერლებმა ნახეს ახალციხის ფა-შების, მათ შორის ბედკრული სე-ლიმის, რეზიდენცია. ახლა აქ აღ-დგენითი სამუშაოები მიდის. შენ-დება ახალი კორპუსებიც, ცემნება ტურისტული ბაზის მთელი კომპ-ლექსი.

ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით დათვალიერებუ-საფარის ტაძარი, რომელიც მეტა-მეტე საუკუნის ოთხმოციან წლებ-ში აუგია ქართველ ხუროთმოძღ-ვარს. იგი მოხსენიებულია სარკმ-ლის წარწერაში დასავლეთის კა-რიბჭეზე: „სრულ იქნა საყდარი-ეს საძირქულითვე ყოვლითა ფე-რითა ხელითა ფარეზასძისათა. შე-უნდვნენ ღმერთმან“.

ფარეზასძე.

მარჯვენაკურთხეული ქართველი კაცი, რომელსაც შეეძლო ეთქვა: „არ ვეც ძილი თვალთა ჩემთა ვი-დრემდის განასრულებდნენ მონას-ტერსა მას“. ასევე იტყოდნენ სა-ლთის და ზარზმის, ხერთვისის, თმოგვის, ვარძიის... ძველი მესტე-თის სწორუპოვარი მშენებლები.

და გიკვირს, წინაპრები, რომ-ლებიც საოცარს, ღვთაებრივს ქმნიდნენ, მაიც შენდობას, მიტე-ვებას ითხოვდნენ, ვაი თუ რამგ მი-ვაკელით და შთამომავლობამ ვვი-საყვედლუროსო.

ასეთი გრძნობა მხოლოდ უე-მოქმედს აქვს.

ასეთი გრძნობით დიდი გენიის სიმაღლიდან საუკუნეებს გადაანა-თა შოთა რუსთაველმა.

რუსთავი.

რუსთავის სოფელი.

მთელი ჩვენი ხალხის საფიცარი ალაგი.

პოეზიის დღის, რუსთაველის.



დღის ყოველწლიური ზეიმის ას-  
არები. აქ შეეგებნენ ჩვენს პოეტ-  
ებს ასპინძის რაიონის თავკაცები  
ლევან ისაკაძე და ნოდარ ვაკეშე-  
ლი, აქ შეიძინეს ახალი მეგობრე-  
ბი, ძმები.

აქ მუდამ ულერს ძმობისა და მე-  
გობრობის სიმფონია.

ხაშს მოყვარე შოყვისათვის  
თავი ჭირსა არ დამრიდად,  
გული მისცეს გულისათვის,  
სიყვარული გზად და ხილად.

აქ ყველაფერი ძვირფასია — გა-  
ლები და ყანები, შუკები და ორ-  
ლობები, თვალმაყვალა გოგონე-  
ბი და ბიჭები.

ცოტა იქით თვალკამკამა წუნ-  
დის ტბაა.

ვინ იცის, იქნება ამ ტბასთან არ-  
წევდა ნიავი შოთას საკალმე ლერ-  
წამს.

კიდევ იქით ვარძია — კლდეში  
გამოკვეთილი ლეგენდა.

იწყება პოეტური მოგზაურობის  
ყველაზე საინტერესო აღმართი.  
საუკუნეები აღებენ კარებს. მევ-  
ზურობას სწევს მესხეთის ისტორი-

ის შესანიშნავი მცოდნე, არაერთთა  
გამოკვლევის აგტორი ნიკო წათე-  
ნაძე, რომელსაც წლების მანძილ-  
ზე უმუშავნია აჭარაშიც. მან იყი-  
თხა, თქვენს შორის დიასამიძე ან  
თავდგირიძე ხომ არ არისო. ვარ-  
ძის დაცვაში ამ ორმა გვარმა  
დიდად ისახელა თავი. ისევე რო-  
გორც სხალთის ტაძრის კედლები,  
ვარძის ურიცხვი მღვიმები, აპა-  
რტამენტები, თვით ტაძარი ამ ქა-  
ლაქისა მტრის ცეცხლითაა შერტ-  
ჭული.

მესხეთის მზე მეწამულ სხივებს  
აფრქვევს ვარძის ზვიად კეღ-  
ლებს. დღე იწურება.

პოეტებს ასპინძაში მიელიან  
ლიტერატურულ საღამოზე.

კვლავ წრფელი მისალმებები,  
ძმობისა და მეგობრობის, სვებედ-  
ნიერი ჩვენი სამშობლოს საღიღე-  
ბელი სიტყვები, ლექსები, ტაში...

ამ დალოცვილ მიწაზე სიხა-  
რული, სიყვარული უბოლოოა.

მესხეთის მიწაზ, წმინდაო მიწავ  
რუსთაველისა! ასჯერ რომ გნა-  
ხოთ, მაინც ვერა, ვერ ვიჯერებთ  
გულს შენის ტრფობით.





კახეთი ცომაია

## ლენის მუშათა დახვრეტა და მისი გამოქახილი აჭარაში

რევოლუციური მოძრაობის ის-  
ტორიიდან ცნობილია, რომ ყოვე-  
ლთვის, როდესაც რევოლუცია  
მთავრდებოდა მამოძრავებელ ძალ-  
თა დამარცხებით, — იწყებოდა  
პოლიტიკური და იდეოლოგიური  
რეაქციის შავბნელი პერიოდი.

1905 წლის რევოლუციის დამა-  
რცხების შემდგომი პერიოდის,  
აღვირახსნილი რეაქციის წლების  
პირველი თავისებურება რუსეთის  
იმპერიაში, სადაც იმპერიალიზმის  
ყველაზე უარყოფითი მხარეები  
და წინააღმდეგობანი უკიდურე-  
სობამდე მივიდა, იმაში მდგომა-  
რეობდა, რომ დროებით შენელდა  
რევოლუციური მოძრაობა და  
ეს პერიოდი კი არ აცალევებდა,  
პირიქით, აერთიანებდა 1905-1907  
და 1910-1914 წლების რევო-

ლუციურ აღმავლობას.

დეპრესია რუსეთის მრეწვე-  
ლობაში, საშინელი ჩამორჩენი-  
ლობა სოფლის მეურნეობისა, რო-  
მლის ძირითადი მიზეზები კვად-  
რატში აიყვანა თვითმპყრობელო-  
ბის „უკანასკნელმა სარქვე-  
ლმა“<sup>1</sup> — სტოლიპინის აგრარულ-  
მა პოლიტიკამ, 1909 წლის დასა-  
რულიდან მნიშვნელოვანი გამო-  
ცოცხლებით შეიცვალა.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ  
„მრეწველობის ზოგიერთი დარ-  
გის გამოცოცხლება მყისვე იშ-  
ვევს პროლეტარული ბრძოლის  
გამოცოცხლებას“.<sup>2</sup> რევოლუციის  
ახალი ეტაპი რუსეთის ცხოვრების

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხ. 18, 1951, გვ. 291.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხ. 16, 1951, გვ. 445.



ტყვიები დაუშინეს, მოკლეს 270  
და დაჭრეს 250-ზე მეტი მუშა.

ამ სისხლიანი დრომის ამბავი  
ელვის სისწრაფით მოედო მთელ  
რუსეთის იმპერიას და შრისხანე-  
ბით აღავსო მუშათა გული. დაი-  
წყო მასობრივი გაფიცები, დემო-  
ნიტრაციები, მიტინგები.

ვ. ი. ლენინის თქმით „ლესის  
მუშათა დახვრეტა გახდა იმის  
საბაბი, რომ მასების რევოლუცი-  
ური განწყობილება მასების რე-  
ვოლუციურ აღმავლობად გადაქ-  
ცეულიყო“.<sup>3</sup>

ამობოქრდა მუშათა მლელვარე-  
ბის ტალღა. ბოლშევიკური გა-  
ზეთი „ზეზდა“<sup>4</sup> რევოლუციუ-  
რი მოძრაობისაკენ მოუწოდებრა  
პროლეტარიატს. ლენის შემების  
დახვრეტის საპროტესტო გაფიც-  
ებში სამასი ათასამდე კაცი ძო-  
ნაშილეობდა, ხოლო საპირველმა-  
ისო გაფიცებმა ოთხასი ათასამდე  
მუშა გააერთიანა მძლავრ ნაკადა  
თვითმეცყრიბელობის წინააღმდეგ.<sup>5</sup>

„ლენაზე თოფის გასროლამ, —  
წერდა ი. ბ. სტალინი 1912 წლის  
19 აპრილს, — დაამსხვრია მდუ-  
მარების ყინული და დაიქრა სა-  
ხალხო მოძრაობის მდინარე. ლაი-  
ძრა!... ყველაფერმა, რაც კი ბო-  
როტი და დამლუპველი იყო თა-  
ნამედროვე რეჟიმში, ყველაფერ-  
მა რაც აწუხებდა მრავალტახტულ.

3 ვ. ი. ლენინი, თხ., ტ. 18, გვ. 111.

4 გაზეთი „ზეზდა“ გამოდიოდა პეტე-  
რბურგში 1910 წლის 16 დეკემბრიდან  
1911 წლის 22 აპრილამდე.

5 „რუსეთის მუშათა მოძრაობის მოქ-  
ლე ისტორია“, მოსკოვი, 1962, გვ. 442.

შეელა სფეროში შეიჭრა, გაზარ-  
და პროლეტარიატის რევოლუ-  
ციური ენერგიის მარაგი და  
ეგრეთ წოდებული „სამი ვეშაპის“  
მგზნებარე ლოზუნგები — დემო-  
კრატიული რესპუბლიკა, 8 საა-  
თიანი სამუშაო დღე და მემამუ-  
ლეთა მიწების კონფისკაცია —  
სახალხო რევოლუციის მოთხოვ-  
ნებად გადაქცია.

პროლეტარიატის რევოლუციუ-  
რი ბრძოლის აღმავლობას საგრძ-  
ნობი ბიძგი მისცა ციმბირში, ლუ-  
ნის ოქროს მრეწველობის ამხანა-  
გობის „ლენა-გოლდფილდისის“  
სამაღნოებში ინგლისელი აქ-  
ციონერებისა და მათი რუსი კომ-  
პანიონების სამებლად თვითმეც-  
რობელობის მიერ ჩადენილმა სი-  
სხლიანმა ბოროტმოქმედებამ.

1912 წლის 4 აპრილს, შორს,  
მიყრუებულ ტაიგაში, რკინიგზი-  
დან 1700 კილომეტრის დაშორე-  
ბით, მდინარე ბოდაიბოს ნაპირებ-  
ზე დაიღვარა მშვიდობიანი გაფიც-  
ების მონაწილეთა სისხლი. გაფიც-  
ების მთავარი მიზეზები იყო  
შრომის კატორლული პირობები,  
ხელფასის დაკავება აღმინისტრა-  
ციის მიერ, მაღაზიებში ცუდი ხა-  
რისხის პროდუქტების სამაგ-  
ფასებში გაყიდვა, აღმინისტრაცი-  
ისა და პოლიციის ძალმომრეობა,  
თვითნებობა.

და აი, კანონიერი მოთხოვნების  
დაკმაყოფილების ნაცვლად მე-  
ფის არმიის ჯარისკაცებმა რო-  
ტმისტრ ტრეშჩენკოს მეთაურო-  
ბით, გაფიცულთ ნადეუდინსკის  
(ამჟამად აპრელსკი) სამაღნოებში

რუსეთს — ყველაფერმა აშან თავი მოიყარა ერთ ფაქტში, ლენის ამბებში<sup>6</sup>.

ლენის ამბებმა ახალ ვითარება. ში შეისრულა ისეთი როლი, როგორიც 9 იანვრის „სისხლიაბმა კვირამ“. მაშინ, პეტერბურგში, ზამთრის სასახლის მოედასზე დახვრიტეს რწმენა ძველი, რევოლუციამდელი თვითმკყრობელობისადმი, 1912 წლის 4 აპრილს კი დახვრიტეს რწმენა „განახლებული“, პირველი რევოლუციის შემდგომი დროის თვითმკყრობელობისადმი.

მაშინ მღელვარე პეტერბურგში ცეცხლს ნავთი გადასხა გენერალგუბერნატორ ტრეპოვის 14 ოქტომბრის ბრძანებამ — „ფუჭი ზალპი არ მისცეთ, ვაზნები არ დაზოგოთ!“ ასევე იმოქმედა ახლაც იმპერიის შინაგან საქმეთა შინისტრის მაკაროვის ცინიკურმა პასუხმა სახელმწიფო სათათბიროს სოციალ - დემოკრატიული ფრაქციის შეკითხვაზე ლენის ამბების გამო: „ასე იყო, ასე იქნება!“

1912 წლის 22 აპრილს (5 მაისს) პეტერბურგში გამოვიდა მასობრივი ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი „პრავდა“. თავის პირველსავე ნომერში გაზეთი აჭუქებდა ლენაზე მომხდარ ტრაგედიას და წერდა: „ჯერ კიდევ ისმის დაჭრილთა გმინვა, ჯერ კიდევ ისმის მოთქმა დახოცილ მუშათა ცოლ-შვილისა, ჯერ კიდევ თბილია

6 ი. ბ. სტალინი, თხ. 2, 1947, გვ. 254.

დაღვრილი სისხლი მუშებისა. მაგრამ გრამ უკვე აქ, პეტერბურგში, „უძლელეს პალატაში“ ჩქარობენ, გაცხადონ „ასე იყო, ასე იქნება მომავალშიც!“ ასე იყო, მაგრამ იქნება კი ასე მომავალში? — ამაზე უკვე უპასუხეს მთელი რუსეთის მუშებმა<sup>7</sup>?

ლენის ტრაგედიამ გამოაცოცხლა რევოლუციის მთვლემარე ძალები, აამოძრავა მთელი რუსეთი და შიშის ზარი დასცა თვითმკყრობელობას.

საერთო პროტესტს თავიანთი ღლშფოთების ხმა შეუერთეს საქართველოს მუშებმაც. „სისხლის ალში ვევდებით ჩვენ 1 მაის, — წერდნენ თბილისელი მუშები 1912 წელს, — შორეულ ციმბირში მხეცურად დახვრეტილი ჩვენი ხუთასი ძმის ჯერ კიდევ გაუცივებელი სისხლი შურისძიებისაკენ მოვკინებას“.<sup>8</sup>

ახალი რევოლუციური ღლავლობის საერთო ფერხულში ჩაება ბათუმიც, რომელიც ამ დროისათვის პოლიტიკური ბრძოლის მდიდარი გამოცდილების მქონე, განვითარებულ სავაჭრო - სამრეწველო ქალაქს წარმოადგენდა.

ჩვენი საუკუნის პირველ წლებში „ბათუმი მრეწველობის მიხედვით ამიერკავკასიაში მეორე აღ-

7 „პრავდა“ № 1, 1912 წ. 22 აპრილი, 23. 2.

8 საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკევები, თბილისი, 1957, გვ. 261.

გილს იჭერს და ჩქარი ნაბიჯით მიღის წინ“.<sup>9</sup>

საგრძნობლად გაიზარდა ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვა. ეს ნავსადგური „ტექნიკური გაუმჯობესების შემდეგ შავ ზღვაზე პირველობას ჩემულობდა“.<sup>10</sup>

მრეწველობა კი ვითარდებოდა, მაგრამ ეს არავითორ კეთილის-მყოფელ გავლენას არ ახდენდა მუშათა ცხოვრების პირობებზე. მათი საშუალო დღე გრძელდებოდა 14-16 საათს. ქალები და არასრულწლოვანნი მუშაობდნენ როგორც მუშაკაცები, გასამრჩელოს დებულობდნენ კი ორ-სამჯერ ნაკლებს. მუშებისადმი ადამიანურ მოპყრობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

„ჯარიმის, „ვიჩიტექის“ და რაღაც მაქინაციების საშუალებით ორმაგად გვძარცვავდა ჩვენ ქარხნის მეპატრონები“.<sup>11</sup> წერს თავის მოგონებებში ბათუმის ორტშილდის ქარხნის ყოფილი მუშა ი. მანჯგალაძე.

გველაფერი ეს იწვევდა სამრეწველო პროლეტარიატის სიძულვილსა და გულისწყრომას კაპიტალის მფლობელთადმი.

ბათუმის მუშები, ომლებმაც რესეთის პირველი რევოლუციის ქარცეცხლიან დღეებში თვითმშეკრობელობასთან შეურიგებელი

ბრძოლის მდიდარი გამოცდილება მიიღეს, მრეწველობისა და სამრეწველოს შეურნეობის აღმავლობისას (1910-1911 წლებიდან) სათავეში ჩაუდგნენ პოლიტიკური პოძრაობის გამოცოცხლებას და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით შეუპოვრა აღუმტკიცებდნენ ცარიზმის ხელისუფალთ, რომ შავრაზმულმა რეაქციამ ვერ შეაჩერა შასობრივი მოძრაობა, რომ ეს მოძრაობა განუწყვეტლივ ძლიერდება და ბოლომდე მიიტანს თავისუფლებისა და ბედნიერების დროშას.

ბათუმის ფაბრიკა - ქარხნების მუშათა მდგომარეობით, დეპონ-სტრაციებისა და გაფიცვების ზრდით, რეაქციის ღროს თანავდასუსტებული ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციი ის საქმიანობით დიდად იყვნენ დაინტერესებულნი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ბოლშევკიური განხეთები „ზეგზდა“ და „პრავდა“, პარტიის მთელი ხელმძღვანელობა.

გულისხმიერებითა და ინტერესით ეკიდებოდა ბათუშის სამრეწველო პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის აღორძინებას ვ. ი. ლენინი.

1913 წლის 16 (29) იანვარს პოლონეთის ქალაქ კრაკოვიდან<sup>12</sup> გამოგზავნილ წერილში პარტიის სანდო პიროვნებისადმი, ბათუმელი

9 ხ. ახვლედიანი, სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათუმი, 1956, გვ. 161.

10 იქვე, გვ. 162.

12 ვ. ი. ლენინი და ხ. კ. ქრუპსკაია პოლონეთის ქალაქ კრაკოვში ცხოვრილნენ 1912 წლის 21 ივნისიდან 1914 წლის 15 აგვისტომდე.

პატიმრებული იქნებიან”,<sup>15</sup> ნათელ  
ვამი იყო დაღვენილების მეოთხე  
მუხლში.

მეფისხაცვლის კახცელარი ის  
მრავალრიცხვანმა დაღვენილე-  
ბებმა, გუბერნატორის გაძლიერე-  
ბულმა რეპრესიულმა ზომებშა  
ვერა და ვერ შეაჩერეს რევო-  
ლუციური მოძრაობის აღშავლობა.

ლენის უიარალო მუშათა დახ-  
ვრეტით თვითმშეკრობელ ობამ  
კვლავ აჩვენა მსოფლიოს თავისი  
საზიზღლარი სახე. ამ ბოროტბოქმე-  
დებამ ბათუმის პროლეტარიატი  
დიდად ააღვევა და მან მეოთხე  
სახელმწიფო სათათბიროს სოცი-  
ალ-დემოკრატიული ფრაქციისა-  
გან მოითხოვა დამნაშავეთა დაუ-  
ყოვნებლივ გასამართლება. ბა-  
თუმელი მუშები თავიახთ პრა-  
ტესტში წერდნენ: „ჩვენ „ნობე-  
ლისა“ და სხვა ქარხნების შუშები,  
რიცხვით 200-ზე მეტი, ვაცხა-  
დებთ პროტესტს იმ სიმხეცის ვა-  
მო, რომელიც ჩაიდინეს ჩვენი მმე-  
ბის — მუშების მიმართ. ჩვენ მო-  
ვითხოვთ ამ შემთხვევის „გმირე-  
ბის“ საჩქაროდ მიცემას პასუხის-  
მებაში, უდანაშაულოდ დაღურუ-  
ლთა ოჯახების მთლიანად უზრუნ-  
ველყოფას. სამარადისო ხსოვნა  
უიარალოდ დაღუპულთ, ხარბ კა-  
პიტალის მსხვერპლთ“.<sup>16</sup>

ადგილობრივი პრესა თაბმიმ-  
დევრულად აშუქებდა ლენის ამ-  
ბებსა და მის გამომწვევ შიზეზებს.

15 იქვე, გვ. 17.

16 „კრასნი არხი“ № 4 (77), 1935,  
გვ. 46.

მ. ე. სოლომაშვილისადმი 6. კ.  
კრუპსკაია წერდა: „ამბობენ, რომ  
უკანასკნელ დროს ბათუმში გაიხ-  
სნა ქარხნები და დაიწყო გამო-  
ცოცხლება. საინტერესოა გვქონ-  
დეს ცნობები იმის შესახებ თუ  
რა კეთდება თქვენთან“.<sup>13</sup>

რა კეთდებოდა და რა ხდებო-  
და ბათუმსა და ბათუმის ოლქში?

კავკასიის მეფისხაცვალშა ვო-  
რონცოვ-დაშვილმა მიიღო შედვე-  
ლობაში „ბათუმის, როგორც სანა-  
ვსადგურო ქალაქის ცხოვრების  
განსაკუთრებული პირობები“,<sup>14</sup>  
საჭიროდ სცნო ბათუმის ოლქის  
სამხედრო გუბერნატორს რომან-  
გვიარომანკოს 1912 წლის იან-  
ვრის პირველი რიცხვებიდან ეხე-  
ლმძღვანელა საგალდებულო დაღ-  
გენილებით, რომელიც შეფისხაც-  
ვლის კანცელარიამ სპეციალურად  
ბათუმის და კინტრიშის უბნისათ-  
ვის (ქობულეთის რაიონი) გა-  
მოსცა... ეს დადგენილება სასტი-  
კად კრძალავდა სამუშაოს შიტო-  
ვებას ნავსადგურში, მაღაზიებში  
და ქალაქის სხვა დაწესებულებებ-  
ში, ნებადაურთველ თავშორა-  
სა და შეკრებებს ქუჩებში, მოე-  
დნებზე, სასაფლაოზე და სხვა  
საზოგადოებრივ ადგილებში დე-  
მონსტრაციებისა. და გაფიცვების  
მოწყობის მიზნით... „ამ დადგენი-  
ლების დარღვევაში შენიშნულები  
აღმინისტრაციული წესით და-

13 ა. სურგულაძე, 6. კ. კრუპსკაიას კუ-  
რილი ბათუმშელ მ. სოლომაშვილისადმი,  
გაზ. „საბჭოთა აქადა“, 1960 წლის 22 აპ-  
რილი, № 80.

14 აქარის სახელმწიფო არქივი, ფონ-  
დი 1, საქმე 513, გვ. 13.

„ბათუმის გაზეთი“ 1912 წლის 22 ივნისის ნომერში იტყობინებოდა: „მაღაროებში თვით ელემენტარული ტექნიკის მოთხოვნილებაც არ ყოფილა დაცული და მუშაობა ყოვლად შეუძლებელ პირობებში სწარმოებდა“.<sup>17</sup>

მეორე გაზეთი „ბატუშსკაია პრავდა“ ამავე წლის 19 ივნისს ნომერში წერდა: „გვამების დათვალიერებისას ბევრი ჭრილობა ცხადყოფდა, რომ სროლა სჭარმებდა მწოლიარე მუშების მიმართ“.

1912 წლის აპრილის დაძლევს (ლენის ტრაგედიის შემდეგ) ი. პ. სტალინი მოსკოვში წერს პროკლამაციას „გაუმარჯოს პირველ მაისს“, რომელმაც დაბეჭდვისთანვე დიდი პოპულარობა მოიპოვა ფართო მასებში.<sup>18</sup> რსდმპ ბათუმის კომიტეტმა მასების რევოლუციური სულისკვეთებით გათვითცნობიერების საქმეში იშდროისათვის ეს პროკლამაცია სახელმძღვანელოდ ცნო. პროკლამაცია მიუთითებდა, რომ პროლეტარიატი ძველებურად საპყრობილებს, ცემა - ტყეპასა და აბუჩად აგდებას ვერ შეურიგდება. დასასრულს იგი პროლეტარიატს მოუწოდებდა: „ვიბრძოლოთ შეფის მონარქიის სრული დაძნობი-

სათვის, მივესალმოთ რუსეთის მომავალ რევოლუციას“.<sup>19</sup>

1912 წლის ივნისში გაიფიცნენ ბათუმის ნაგსადგურის მტვირთავი მუშები. მართალია, ეს არაორგანიზებული გაფიცვა ბუშათა დამარცხებით დაძთავრდა, მაგრამ შეშინებული აღძინისტრაცია იძულებული ჟეიქნა გაფიცვის მეორე დღეს, 5 ივნისს მაინც გაეფრთხილებინა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი საიდუმლო ბარათით: „თუკი პროპაგანდა შემდეგშიც ასე გაგრძელდება, ვერ გასჭრის ვერავითარი საშუალებები და მალე დადგება ისეთი მომენტი, როცა ბუშები გაიფიცებიან და ბათუმის ნაგსადგურში ყოველგვარი საძუშაო შეჩერდება. ეს საშიშროებას უქმნის როგორც საბირუო არტელს, ისე ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს“.<sup>20</sup> საგრძნობლად დაიძაბა მდგომარეობა ამავე წლის შემდგომ თვეებში. ართვინის ოლქის ჯანსულ-მურღულის სპილენძის საბადოებში მუშათა მღლვარებას, რომელიც 1912 წლის აგვისტოში დაიწყო, სათავეში ჩაუდგა ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია<sup>21</sup> და მას შევნებული, ორგანიზებული გაფიცვის ხასიათი მისცა.

19 პროკლამაციის ერთი ეგზემპლარი დაცულია ბათუმის რევოლუციის მუშების არქივში, ფონდი 4, საქმე 1, გვ. 31.

20 პარის სახელმწიფო არქივი, ფონდი 1, საქმე 552, გვ. 5.

21 პ. ცეციტრია, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ნარკევები, გვ. 326.

17 „ბათუმის გაზეთი“, № 138, 1912 წლის 22 ივნისი.

18 პროკლამაცია იძებედოდა თბილისშიც, ფარულად, ლეგალურ სტამბაში.

ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის სახელზე მოხსენებით ბარათში ართვინის ოლქის უფროსი, პოლკოლკოვნიკი შემერლინგი ამ მღელვარების შესახებ წერდა: „მუშათა შორის შეინიშნება უკმაყოფილება ქარხნის ადმინისტრაციის მიმართ... მნიშვნელოვან როლს თამაშობს გაზეთის ცნობები ლენის ამბების შესახაბ“.<sup>22</sup>

საბადოების ადმინისტრაცია დათმობაზე წავიდა და მუშათა მოთხოვნილებების ზოგიერთი მუხლი დაკმაყოფილა. სამსახურიდან გაათავისუფლეს კავკასიის სპალენძის მრეწველობის საზოგადოების თარჯიმანი, ინგლისელი ჭონკუკი, რომელიც მუშებს უხეშად ეჩცეოდა. ართვინის ოლქის უფროსი იძულებული გახდა მისთვის ბოროტი და მავნე ადამიანი ეწოდებინა.<sup>23</sup>

საბადოების ტერიტორიაზე მოგვარდა სავაჭრო დაწესებულებათა საქმიანობა, მუშათა მონაწილეობით შეიქმნა კომისია საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, სხვა ქარხნების მაგალითისამებრ საბადოებში გაძლიერდა საავადმყოფო სალაროების საქმიანობა, ამაღლდა მისი ავტორიტეტი, მოწესრიგდა სასწრაფო სამედიცინო დახმარება...

1912 წლის 3 ოქტომბერს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა მეფისნაცვლის ქანცე-

ლარიას დამამშვიდებელი ტონით აცნობა: „ახლა შეიძლება დაწესენებული ვიყოთ, რომ ამ რაიონში სიმშვიდე უზრუნველყოფილია“.<sup>24</sup> სამხედრო გუბერნატორის იმედი ფუჭი აღმოჩნდა. ამას, ალბათ, გრძნობდა თვით კავკასიის მეფისნაცვალი, რომელიც ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის ბარათის მიღების შემდეგ. სულ მალე, ამავე წლის 16 ოქტომბერს, მაინც აფრთხილებდა: „მთელი სერიოზულობით გაამახვილეთ ყურადღება და გამოიჩინეთ განსაკუთრებული სიუხიზლე იმ მუშათა ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც შეიძლება გახდნენ რევოლუციური პროპაგანდის კერვები“.<sup>25</sup>

მეფისნაცვლის ამ ღონისძიებამ ვერ შეაჩერა კავკასიაში, კარძოდ, ბათუმსა და ბათუმის ოლქში რევოლუციური აღმავლობა. ის დღითი დღე, სულ უფრო ძლიერდებოდა.

„უზარმაზარი ქვეყანა, ვეებერთელა სივრცეზე გაფანტული, დაქსაქსული, დაბეხავებული, უუფლებო, უვიცი, უამრავ ხელისუფალთა, პოლიციელთა, ჯაშუშთა მიერ „მავნე გავლენათაგან“ გამიჯნული 150-მილიონიანი მოსახლეობით, —მთელი ეს ქვეყანა ამოძრავებას იწყებს“,<sup>26</sup> წერდა ვ. ი. ლენინი 1912 წელს.

ახალი რევოლუციური აღმავლობა შეაჩერა პირველმა მსოფ-

<sup>22</sup> აჭარის სახელმწიფო არქივი, ფ. 1, საქმე 573, გვ. 3.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 10.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 7.

<sup>25</sup> იქვე, საქმე 583, გვ. 9.

<sup>26</sup> ვ. ი. ლენინი, თხ. ტ. 18, გვ. 113.



ლიო ომშა. დრომოჭმული ძველი სამყარო ომში ეძებდა ხსნას. მაგრამ ხსნა არსაიდან ჩანდა. იმპერიალისტურმა ომმა უკიდურესად გაამწვავა ყველა წინაღმდეგობა.

„ომი, რომელსაც აურაცხელი უბედურება და საშინელება მოაქვს მშრომელი მასებისათვის, — შენიშნავდა ვ. ი. ლენინი 1914 წელს. — ათვითუნობიერებს და აკაებს მუშათა კლასის საუკეთე-

სო წარმომადგენლებს“.<sup>27</sup> ეს მუშა გაიცის მათა კლასის ამ საუკეთესო წარმომადგენლებმა ხალხთა მასებთან მჰერიდრო კავშირით, ბოლშევიკური პარტიისა და მისი გენიალური ბელადის ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით 1917 წლის ოქტომბერში დასაბამი მისცეს ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში.

---

27 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 451.



# ალექსი ტოლსტოის სამი ინტერვიუ

## პშერაზე

ბევრი გამოჩენილი ადამიანი მწვევია ჩვენს მხარეს და ღიდი სიობო, სიყვარული გამოუხატავს აჭარისა და მისი მშრომელებისადმი.

აქ, ჩვენთან სტუმრად ყოფილა ღიდი სამჭოთა მწერალი, ცნობილი რომანების „პეტრე პირველი“, „გზანი წამებისანი“ და სხვა მრავალი ბრწყინვალე ნაწარმოების ავტორი ალექსი ტოლსტოი (1883-1945).

პირველად იგი ბათუმში პირველი მსოფლიო ომის დროს 1915 წლის თებერვალში ჩამოვიდა, როგორც სამხედრო კორესპონდენტი და გონიოს ციხის ტერიტორიაზე დაბინავდა, რუსეთის არმიის ყაზახმებთან ახლოს. მწერალი აქ შეხვდა კავკასიის ფრონტის სარდალს, შემდეგში ცნობილ თეთრგვარდიელ გენერალ იუდენისა და ინტერვიუ აიღო მისგან.

— ჩვენ აქ, ამიერკავკასიაში იძულებული ვართ ანგარიში გავუწიოთ ეროვნულ თავისებურებებს. ჩამოვაყალიბეთ ქართული პოლკი. ჯარისკაცებს ჩავაცვით ეროვნული სამოსი და უფლება მივეცით იმღერონ ქართული სიმღერები. აბა სხვა რა უნდათ მათ?

— ქედმალლურად, დამკინავი კი-

ლოთი განუცხადებია იუდენის მწერლისათვის.

იუდენის შეეცადა „დაემტკიცებინა“, რომ საფრონტო ზოლის (გადიოდა აჭარის სამხრეთით) მოსახლეობა, განსაკუთრებით ქურთები, არასაიმედონი არიან. შემდეგ მე გავიგე, ამბობდა ა. ტოლსტოი, რომ რუსეთის არმიის მხედართმთავრებმა ეჭვმიტანილად სცნეს ყველა ე. წ. „ინოროდეცი“. ამით მეფის სატრაპეზი ცდილობდნენ გაემართლებინათ საფრონტო ზოლის მოსახლეობის აწიოკებასახლება და რამდენიმე ასეულა კაცის დახვრეტა.

შემდეგში იუდენის იძულებული იყო ელიარებინა, რომ სოფლებში ფუტკირის სკები ძირს ჩამოყარეს, ფორთოხლის ბალები აჩეხეს, არსად შეხვედრიან „არც ადამიანსა და არც ცხოველს“.

რა მიზნებს ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის აყრა და თურქეთში გადასახლება? ამ კითხვას ა. ტოლსტოიმ ჯერ კიდევ მაშინ გასცა ამომწურავი პასუხი: „თვალწარმტაც მიწის ნაკვეთებს აჭარისწყლისა და ჭოროხის გაყოლებით, ზღვის სანაპიროზე კონფისკაცია უყვეს და შექმნეს ამ უმშვერიერესი ადგილების ყიდვა-გაყიდვის სა-

ზოგადოება. გენერალი იუდენიჩი უმსხვილესი მიწათმფლობელი და მესაკუთრე გახდა", შენიშნავდა მწერალი და იქვე დასძენდა: „აი ამიტომ იყო, რომ გატჩინოში ყოფნისას და იქიდან რევოლუციურ პეტროგრადზე გალაშქრები ს დროს იუდენიჩს არაერთხელ და-სიზმრებია აჭარის ეს თვალშრმტაცი ადგილები, რომლებიც მათ ხელთ იგდო".

სხვათა შორის იუდენიჩის ავანტიურასა და მხეცობაზე ცნობილი საბჭოთა მწერალი ვსევოლოდ კოჩეტოვიც მიუთითებს: „მას შეეძლო დაეხვრიტა და ჩამოეკიდა შეუიარაღებელი სომხები მთებში და მშვიდობიანი ბათუმელები".

მაგრამ იუდენიჩსა და სხვა ბნელ ძალებს მალე დაუდგათ ოსასარული. კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ მოკლე დროში აღკვეთეს წარსულის ბევრი უკუღმართობა და შექმნეს დიდი მრავალეროვანი ოჯახი — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. ამით მოიგო აჭარა-მაც. მან მხოლოდ საბჭოთა ხელი-სუფლების გამარჯვების შემდეგ მიაღწია ნამდვილ თავისუფლებასა და ბედნიერებას. აქაც მთელი ფრონტით გაჩაღდა ახალი ცხოვრების მშენებლობა. ყოველივე ეს თვალნათლივ დაინახა ა. ტოლსტოიმ ბათუმში მეორე ჩამოსვლის დროს, 1932 წლის შემოდგომაზე.

ამჯერად მან ინტერვიუ აიღო არა მეფის რუსეთის გენერალებისაგან, არამედ საბჭოთა აჭარის თავისუფალი მშრომელებისაგან, კო-

მუნისტებისაგან. ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სახალისეურია ზო კომისართან ს. ლორთქიფანი-ძესთან ერთად მას უმოგზაურია სოფელ მახუნცეთში, საღაც აჭარისწყლის ჰიდროელექტროსა-დგურს აგებდნენ. ჩვენ იქ წავე-დით იმ გზით, რომლითაც 1915 წელს მომისხდა მოგზაურობაო, წე-რდა ა. ტოლსტოი.

მწერალი მშენებლობაზე გაეცნო მოწინავე ადამიანებს, დათვალიერა გვირაბი, რომელიც იმ დღეებში უნდა შეერთებინათ.

ბათუმში დაბრუნებულმა ა. ტოლსტოიმ მოიარა ბათუმისა და ქობულეთის რაიონების სოფელები, გაეცნო სუბტროპიკულ კოლექტიურ მეურნეობებს. ჩაი აჭარის ახალი მატერიალური ბაზაა. სალიბაურის, ბობოვისათის, ჩაქვისა და ხუცუბნის ჩაის ფაბრიკები ყოველწლიურად ქვეყანას ხუთ მილიონ კილოგრამ პროდუქციას აწვდიან, წერდა იგი. მწერალმა აღნიშნა აგრეთვე ზღვისპირა აჭარის მშრომელთა მიღწევები მეციტრუსების დარგში. რა თქმა უნდა, მხედველობიდან არ გამორჩენია კულტურული გარდაქმნები, განათლების ფრონტზე მოპოვებული წარმატებები.

ა. ტოლსტოის თვალში მოხვდა აგრეთვე ჩვენი მხარის დამახა-სიათებელი თავისებურებანი: „ოდა-სახლები მიმოფანტულია, როგორც მეტცხელების ბუღალები. ხეობებში მოედინებიან მდინარე აჭარისწყალი და ჭოროხი. აქ მრავლად არის ციხე-სიმაგრე, ჭვის

ძველი ხიდები, რომლებიც მო-  
ხერხებულად გაუღვიათ მდინარე-  
ზე”.

ძველთაძველი აჭარა — ჩანჩ-  
ქერების, ცხვრის ფარების, ფორ-  
თოხლის ბალებისა და პრიმიტიუ-  
ლი მიწათმოქმედების ქვეყანაა,  
ამბობს მწერალი, აქ ჯერ კიდევ  
იგრძნობა უგზოობა, სპეციალისტ-  
თა ნაკლებობა, კულტურულ და-  
წესებულებათა სიმცირე, მაგრამ  
ყოველივე ეს წყეული წარსულის  
ნაშთს წარმოადგენს, რომელიც  
მაღლ მოლიანად გაქრებაო.

თავისი მოგზაურობის შესახებ  
ა. ტოლსტოიმ დაწერა ნარკვევი  
„აჭარისწყალი“, რომელიც გაზეთ  
„იზვესტიის“ 1933 წლის 1 იანვრის  
ნომერში დაიბეჭდა. აქვეა ცნობი-  
ლი მწერლების მარიეტა შაგინია-  
ნისა და კონსტანტინ ფედინის  
სტატიები, ჰიდროელექტროსად-  
გურის კასკადის ჩანახატი.

ჩვენს მხარეში ა. ტოლსტოის  
ყოფნაზე 1932 წელს მკითხვე-  
ლებს მოუთხრეს ადგილობრივმა  
გაზეთებმაც.

მესამეჯრ მწერალი აჭარას  
1938 წელს ეწვია. იგი აქ ჩამოვიდა  
თბილისიდან, სადაც წაუკითხავს  
ნაწყვეტები ახალი პიესიდან „14  
სახელმწიფოს ლაშქრობა“.

ცნობილია, რომ ბათუმი ინგლი-  
სელი და თურქი ინტერვენტების  
აქტიური მოქმედების ზონას წარ-  
მოადგენდა. ეტყობა, მწერალმა  
ეს ნაწყვეტები ჩვენს ქალაქშიც  
წაიკითხა. ადგილობრივი გაზეთე-

ბი ამაზე კონკრეტულად არ მიუ-  
თითებენ. „ბატუმსკი რაბოჩის 1938  
წლის 13 ივნისის ნომერში  
ნათქვამია: გუშინ ბათუმში ჩამო-  
ვიდა ორდენისანი მწერალი ა. ნ.  
ტოლსტოი და დაათვალიერა ქალა-  
ქი, ბოტანიკური ბალი, ციხისძირი.  
ასეთივე ცნობა გამოუქვეყნებია  
მრავალტირაჟიან გაზეთ „ბა-  
ტუმსკი ვოლინიკსაც“. ორივე გა-  
ზეთში მოთავსებულია ა. ტოლს-  
ტოის ფოტოსურათი.

მწერალმა ამჯერადაც თავისი  
ინტერვიუ გაზეთ „იზვესტიაში“  
გამოაქვეყნა. იგი აღირთოვანებით  
ყვება ჩვენი მხარის მიღწევებზე,  
ჩაისა და ციტრუსოვანთა კულტუ-  
რების ახალ ბალებზე, კულტუ-  
რულ მშენებლობასა და აღმაინ-  
თა შევნებულობის ამაღლებაზე.

ა. ტოლსტოი საქართველოს  
1940 წელსაც სწვევია, მაგრამ აჭა-  
რაში ჩამოვიდა თუ არა, ამის შე-  
სახებ ცნობები არ მოვდებოვება.

„აჭარა საბჭოთა ქვეყნის ერთ-  
ერთი საუკეთესო კუთხეა. იგი  
თავის დროზე ძლიერ გადაურჩა  
გენერალ იუდენიჩისა და მისი  
დამქაშების ჯიბეში ჩავარდნასო“,  
ამბობდა რუსი ხალხის დიდი შვი-  
ლი.

კომუნისტური პარტიის, პირა-  
დად ვ. ი. ლენინის დახმარებისა  
და ზრუნვის მეოხებით ჩვენი მხა-  
რე არავის ჯიბეში არ მოხვდა და  
საბჭოთა ხალხების დიდ ოჯახში  
ნამდვილი ბედნიერება ჰპოვა.



# ნიგერის მიმოხილვა



## საინტერესო გამოკვლევა

მიწათმოქმედებასთან ერთად მესაქონლეობა მეურენობის უძველესი დარგია. საუკუნეების მანძილზე ქართველმა ხალხმა შექმნა და განავითარა მესაქონლეობის ტრადიციული ფორმები და სისტემები, რომელთა გამოვლენა-შესწავლა ისტორიული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია. ამ მხრივ უკანასკნელ ხანს გამოცემული ლიტერატურიდან ყურადღებას იპყრობს ვ. შამილაძის ვრცელი და საინტერესო მონოგრაფია „ალპური მესაქონლეობა საქართველოში (აჭარის მესაქონლეობის ეთნოგრაფიული შესწავლა)“. იგი დაწერილია აჭარის ხეობებში ავტორის მიერ შექრებილი ეთნოგრაფიული მასალე-

ბის საფუძველზე, ხოლო მიღებული დასკვნები, ალპური მესაქონლეობისათვის დამახასიათებელი სპეციალური მხარეები და თავისებურებანი, სავსებით სწორად, განზოგადებულია საქართველოსა და კავკასიის მთიანეთის შესაბამისი მონაცემების შუქზე.

ნაშრომის შესავალში გაშუქებულია მესაქონლეობის გენეზისის ზოგადთეორიული საკითხები მრავალფეროვანი პალეოზოოლოგიური, ოსტეოლოგიური და არქეოლოგიური მასალის, აგრეთვე ისტორიული წყაროების საფუძველზე ნაჩვენებია კავკასიის, კერძოდ საქართველოს ადგილი და როლი ცხოველთა მოშინაურებასა და მესაქონლეობის განვითარებაში. ავტორი განიხილავს მესაქონლეობის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფორმებს, მიუთითებს მათ გენე-

<sup>ვ.</sup> შამილაძე, „ალპური მესაქონლეობა საქართველოში (აჭარის მესაქონლეობის ეთნოგრაფიული შესწავლა)“, თბილის, გამოშემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ზისში კონკრეტული სამეურნეო-  
გეოგრაფიული და კულტურულ-  
ისტორიული ფაქტორების მნიშვ-  
ნელობას, ხაზგასმით აღნიშნავს  
ქართულ-კავკასიური ე. წ. მთიუ-  
ლური, ალბური მესაქონლეობის  
უპირატესობას მომთაბარე, მოხე-  
ტიალე ცხოვრების წესზე დაკვა-  
დრებულ მესაქონლეობასთან შე-  
დარებით.

ქართული ძროხეულის წარმო-  
მავლობის საკითხებთან დაკავში-  
რებით ნაშრომში განხილულია ხა-  
ლხური საჯიშე-სანაშენო საქმია-  
ნობა. საქონლის შემოყვანა, აკლი-  
მატიზაცია, შეჯვარება, ადგილობ-  
რივი ჯიშების შეჩრევა და აჭარის  
საჯიშე-სანაშენო ცენტრების მოლ-  
ვაწეობის შესწავლა შუქს პფენს  
ეთნოზოოლოგიის მნიშვნელოვან  
საკითხებს, ეხმაურება ქართულ-  
კავკასიურ პალეოზოოლოგიური  
და ოსტეოლოგიური მასალის სა-  
ფუძველზე გამოთქმულ მოსაზრე-  
ბას ქართული მთიულური ჯიშის  
ძროხეულის უშუალოდ ამიერკავ-  
კასიის ტერიტორიაზე მოშინაურე-  
ბისა და ღონისალური ჯიშების ის-  
ტორიულად ჩამოყალიბების შესა-  
ხებ.

წიგნში გამოვლენილია და შეს-  
წავლილია მესაქონლეობის მეურ-  
ნეობრივი ფორმები, კერძოდ აჭა-  
რის ალბური მესაქონლეობის, ბა-  
რის, გარდამავალი და მთის სამე-  
ურნეობუნებრივი ზონალობა,  
რაც შესაბამისი საცხოვრებელი  
და სამეურნეო ნაგებობით შეფარ-  
ლებულია ადგილობრივ პირობებ-  
სა და კულტურულ-ისტორიულ

გითარებასთან. ნაშრომში სწორი გადა-  
და მითითებული მიწათმოქმედე-  
ბა-მესაქონლეობის შერწყმული  
ხასიათი, რაც ამ დარგების სიძ-  
ველისა და ტრადიციული კულტუ-  
რის მაჩვენებლია. ასეთ სიმბიოზს  
კი თვით ამ დარგების ინტენსიუ-  
რი წარმოება განსაზღვრავდა. იგი,  
ერთის მხრივ, გულისხმობდა სა-  
ქონლის ნაკელით ნიადაგის მორწ-  
ყვა-გაპატივებას, ხოლო, მეორე  
მხრივ, საქონლის უზრუნველყო-  
ფას საზამთრო საკვების მარაგით.  
მაშასადამე, აქ ჩანს საერთოდ სა-  
ქართველოსათვის დამახასიათებე-  
ლი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი  
მოვლენა — მიწათმოქმედებისა და  
მესაქონლეობის მჭიდრო კავშირი  
და ურთიერთსარგებლობა.

მონოგრაფიაში ნაჩვენებია, რომ  
შეურნეობის ასეთი სპეციფიკუ-  
რობა განსაზღვრავდა საქართვე-  
ლოს მთიანეთის, კერძოდ აჭარის  
ალბური მესაქონლეობის ძირითად  
ნიშნებსა თუ ქვეფორმებს. ამი-  
ტომ ვერტიკალურ ზონალობაში  
წარმოდგენილი ალბური მესაქო-  
ნლეობის ძირითად ფორმასთან  
ერთად ნაშრომში შესწავლილია  
შინაალპური მესაქონლეობ-  
ის, დამატებით სამეურნეო ბაზებ-  
ში — ყიშლებში საქონ-  
ლის დაზამთრების, ბარუ-  
ლი ანუ საკარვო მესაქონლეობის  
დამახასიათებელი ნიშნები და თა-  
ვისებურებები, დადგენილია თი-  
თოეული ამ ქვეფორმის გავრცე-  
ლების არეალი, მათთან დაკავში-  
რებული წლიური სამეურნეო კა-  
ლენდარი და ის ფუნქციები, რო-

მლებიც ეკისრება მეურნეობის აქ ქვეფორმებს ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო ყოფაში.

ნაშრომში სწორადაა აღნიშნული, რომ აჭარის სამეურნეო-გეოგრაფიული პირობებით გამოწვეული ალბური მესაქონლეობის თავისებურებანი პირდაპირ ასახვას პოულობს მესაქონლეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმებში. მართლაც, აჭარაში საქონლის მოვლა-პატრონობა და რძის მეურნეობა ხორციელდებოდა მეასორების (საქონლის მოვლა-პატრონობა ბაგური კვების დროს), მემთევრობის (რძის მეურნეობის წარმოება), საქონლის დაბმადიზიარება ბარის სოფლებიდან მთაში ზაფხულობით) და მენახირების (სასოფლო-სათემო გაერთიანება საქონლის სამწყემსაც ალბურ საძოვრებზე) ინსტიტუტების მეშვეობით. შრომის ორგანიზაციის ეს ფორმები საქონლის მოვლა-პატრონობის წლიურ ცეკლში ქმნიდა, ავტორის სამართლიანი შენიშვნით, ფართო სამეურნეო-კულტურულ და ეკონომიურ ურთიერთობას, რაც ყველაზე მეტად ალბური მეურნეობის პერიოდში ვლინდებოდა. საქონლისა და მესაქონლეობის პროდუქტების გაცვლა - გასაღებასთან ერთად ვევდებოდით მეურნეობრივი ცოდნა-გამოცდილების გაზიარებას, სხვადასხვა სახის გართობებს, დღესასწაულებს და ა.შ.

მონოგრაფიაში ვრცლადაგუმავის შექებული საზაფხულო საძოვრების მფლობელობა-ექსპლოატაცია და საძოვრებზე დაწესებული გადასახადები, ალბური მეურნეობის ორგანიზაცია, საძოვრების მორიგეობითი ძოვების სისტემა, მესაქონლეობასთან დაკავშირებულ სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსი და ა. შ. ცალკეა განხილული რძის მეურნეობა, ტყავის დამუშავების ხალხური ხერხები, აგრეთვე შესვილფეხა საქონლითა და მესაქონლეობის პროდუქტებით ვაჭრობა. მოტანილი კონკრეტული ეთნოგრაფიული მასალის საფუძვლზე დასაბუთებულია ზოგიერთ აღრინდელ ავტორთა (ვ. ბაგრატიონი) მიერ გამოთქმული მოსახურება აჭარაში წველა-დღვებასთან დაკავშირებული საქმიანობის მაღალი ოსტატობის შესახებ. ნაჩვენებია რძის პროდუქტების სხვადასხვა სახეობის დამზადება-შენახვისა და კონსერვაციის წესები (მშრალად შენახვა, წათხში და გუდაში ჩადება და ა. შ.), რომელთაგან ყველის გახმობა აღნიშნული პროდუქტის შენახვის ერთერთ უძველეს ხერხს წარმოადგენს. ჭურჭლეულის სპეციალურად შესწავლით ავტორმა საინტერესოდ წარმოაჩინა რძის პროდუქტების დამზადების სიძველე და ტრადიციულობა. ამ მხრივ საყურადღებო აჭარული საღლვებლები, რომლებიც საქართველოს მთიანეთში შემორჩენილ საღლვებლებთან ერთად ანალოგიას პოულო-

ბენ მცხვეთა-სამთავროს გათხრებისას მიკვლეულ ძველი წელთაღრიცხვის საუკუნეების ასეთივე თახის ჭურჭელთან და სხვ.

ნაშრომში სრულადაა გამოყენებული ქართულ-კავკასიური მესაქონლეობის შესახებ არსებული ლიტერატურა. ავტორი არ იზიარებს ამ დარგის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ცალკეული საკითხების ტრადიციულ გავებას და კრიტიკულად განიხილავს მათ. ამის შედეგად წიგნში მოცემულია განსახილველი თემის სრულყოფილი,

ნოგ შემთხვევაში ორიგინალური გადაწყვეტა, რაც მონოგრაფიას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის. ამიტომ ვ. შამილაძეს აღნიშნული ნაშრომი მეცნიერული ლიტერატურის საინტერესო შენაძენია. ამასთან წიგნს პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, რადგან მესაქონლეობის, მასთან დაკავშირებული ხალხური წესჩვეულებებისა თუ ფორმების შესწავლით გარკვეულად დაეხმარება სახალხო მეურნეობის მუშაკებსაც.

აგელ სურგულაძე





66/3

ვასი 40 ვაკ.

ЛITERATURNO-HUDOZHESTVENNYYI  
I OБЩESTVENNO-POLITICHESKYY JURNAL  
„ЧОРОХИ“  
ORGAN SOYUZA SOVETSKIX PISATELEJ  
GRUZII I ADJARSKOGO OTDELENIJA  
ИНДЕКС 76118